ISSN 1987-5789

ეკონომიკა და ბიზნესი



ECONOMICS and BUSINESS
ЭКОНОМИКА и БИЗНЕС

მარტი-აპრილი
MARCH-APRIL
МАРТ-АПРЕЛЬ
2010

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

International refereed and reviewed scientific and practical journal of the Faculty of Economics and Business, Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Международный реферируемый и рецензируемый научно-практический журнал факультета Экономики и Бизнеса Тбилисского государственного университета имени Ив. Джавахишвили



გამოდის 2008 წლის იანვრიდან ორ თვეში ერთხელ
Published since January, 2008 once in two month
Выходит с Января 2008 года раз в два месяца

რედაქციის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №1, თსუ მთავარი კორპუსი, მე-13 სართ., ტელ. 30-36-68, 899-10-38-16
e-mail: info@tsu.ge, info@tsu.ge

ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეგია

რევაზ გოგოხია – მთავარი რედაქტორი,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტები, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები: **ვლადიმერ პაპავა, ავთანდილ სილაგაძე, ლეო ჩიქავა.**

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: **გურა ანანიაშვილი, ნიკო ბაკაშვილი, ხიმონ გელაშვილი, რევაზ გველესიანი, ნუგზარ თოდუა, გოჩა თუთბერიძე, ირაკლი კოვზანაძე, პაატა კოღუაშვილი, რეზო მანველიძე, მურთაზ მაღრაძე, ელგუჯა მექვაბიშვილი, ნუგზარ პაიჭაძე, მირიან ტუხაშვილი, ჟან ლაღიძე, ეთერ ხარაიშვილი, ელენე ხარაბაძე, რომან ხარბედია, ნოდარ ხაფური, ლერწმა ყორღანაშვილი, თემურ შენგელია, გიორგი შიხაშვილი, ჯამლეტ ჯანჯღავა, ემზარ ჯგერენაია, ფიქრია წოწკოლაური.**

EDITORIAL BOARD

Revaz Gogokhia – Editor-in-chief Doctor of Economic sciences, professor.

Corresponding members of Gerogian National Academy of Sciences, doctors of Economic Sciences: **Vladimer Papava, Avtandil Silagadze, Leo Chikava.**

Doctors of Economic Sciences, professors: **Iuri Ananiashvili, Niko Bacashvili, Gia Gaganidze, Simon Gelashvili, Revaz Gvelesiani, Nugzar Todua, Irakli Kovsanadze, Paata Koguashvili, Larisa Korghanashvili, Murtaz Magradze, Rezo Manvelidze, Elguja Mekvabishvili, Nugzar Paichadze, Mirian Tukhashvili, Fikria Tsotskolauri, Gocha Tutberidze, Roman Kharbedia, Nodar Khaduri, Elelne Kharabadze, Eter Kharaishvili, Temur Shengelia, Giorgi Shikhashvili, Jamlet Janjgava, Emzar Jgerenaia.**

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Реваз Гогохиа – главний редактор, доктор экономических наук, профессор.

Члены – корреспонденты Национальной Академии наук Грузии – **Владимер Папава, Автандил Силагадзе, Лео Чикава.**

Доктора экономических наук, профессора: **Юрий Ананиашвили, Нико Бакашвили, Симон Гелашвили, Реваз Гвелесиани, Джамлет Джанджгава, Гиа Гаганидзе, Ираклий Ковзанадзе, Паата Когуашвили, Лариса Корганашвили, Муртаз Магрдзе, Резо Манвелидзе, Элгуджа Меквабишвили, Нугзар Пайчадзе, Нугзар Тодуа, Гоча Гутберидзе, Мириан Тухашвили, Темур Шенгелия, Георгий Шихашвили, Эмзар Джгеренаия, Етер Харашвили, Элене Харабадзе, Роман Харбедия, Нодар Хадури, Никрия Цопколаури.**

სარედაქციო კოლეგიის უცხოელი წევრები.

ვოლფგანგ ვენგი – ბერლინის (გერმანია) უნივერსიტეტის პროფესორი, ჰარალდ კუნცი – ბრანდერბურგის (გერმანია) უნივერსიტეტის ეკონომიკური თეორიის კათედრის გამგე, კიმ ტაქსირი – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ჯოზეფ ხასიდი – პირეუსის (საბერძნეთი) უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი, იოჰან ციმერმანი – ბრემენის უნივერსიტეტის (გერმანია) პროფესორი, ტომას ჰალდმა – ტარტუს (ესტონეთი) უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

FOREIGN MEMBERS OF THE EDITORIAL BOARD OF ECONOMICS:

Wolfgang Weng – Professor at Berlin University (Germany), Harald Kunz – Head of department of Economic theory at Branderburg University (Germany), Kim Taksir – Academician of Russian Academy of Sciences, Joseph Hassid - Dean of the Faculty of Economics Piraeus University (Greece), Professor, Johan Zimmerman – Professor Bremen University (Germany), Toomas Haldma – Tartu University's Dean Faculty of Economics and Business Administration, professor (Estonia).

ИНОСТРАННЫЕ ЧЛЕНЫ РЕДАКЦИОННОЙ КОЛЛЕГИИ:

Волфганг Венг - Профессор Берлинского Университета (Германия), Кунц Гаралд – зав. кафедрой экономической теории Брандербургского Университета (Германия), Ким Таксир – Академик Российской Академии Наук, Джозеф Хассид – декан экономического факультета Пирейсского Университета (Греция), Иоган Цимерман - профессор Бременского Университета (Германия), Тоомас Халдма - Декан факультета экономики и администрирования бизнеса Университета Тарту (Эстония), профессор.

შინაარსი

ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

გრიგოლ ონოღაშვილი. ეკოლოგიური და რეკოლოგიური პროცესების ერთიანობის გარდაუვალობა და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესი 11

ელგუჯა მექვაბიშვილი. სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში . 21

რევაზ გოგიჩაია. ხაბაზრო სისტემის ეფექტიანობისა და პერსპექტივების საკითხისათვის 29

ჯემალ ხარებავაშვილი. ერთხელ კიდევ მალთუსის სალხინო-სახლეობის თეორიის შესახებ 41

მაკროეკონომიკა

მურმან ცარციძე. შრომის ბაზარი და სიღარიბე საქართველოში თანამედროვე გლობალური ეკონომიკური კრიზისის პირობებში 53

მალხაზ ჩიქობავა. თანამედროვე გლობალურ ეკონომიკური კრიზისი: მიზეზები, შედეგები, პერსპექტივები 73

გიული ქევანიშვილი. საერთაშორისო პროექტების როლი აბრეშუმის გზის ქვეყნების ინტეგრირებულ განვითარებაში 87

ლელა ხამაგიძე. ტრანსნაციონალური კორპორაციების ინვესტირება განვითარებად ქვეყნებში გლობალური კრიზისის ფონზე 93

ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ

ᲔᲚᲓᲐᲠ ᲘᲡᲛᲐᲘᲚᲝᲕᲘ. ცენტრალური ბანკის ქმედების ნაციონალური ვალუტების ყოლუცია: საერთო და განსაკუთრებული (რუსულ ენაზე) 102

ᲮᲔᲕᲐᲚ ᲗᲐᲛᲘᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲜᲘᲜᲝ ᲮᲛᲘᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲚᲔᲕᲜᲐ ᲗᲐᲛᲘᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ. ინტერნეტ-ბანკინგი საქართველოს საბანკო სისტემაში და მისი განვითარების ტენდენციები (ხოციოლოგიური გამოკვლევის მიხედვით) 133

ᲛᲔᲜᲔᲯᲛᲔᲜᲢᲘ. ᲛᲐᲠᲙᲔᲢᲘᲜᲒᲘ. ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘ

ᲡᲘᲛᲝᲜ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ. ეკონომიკური განუსაზღვრელობისა და რისკის თეორიული შეფასება 145

ᲞᲐᲐᲢᲐ ᲙᲝᲚᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ. სურსათის მოხმარების კულტურა, კვების ტიპები და ნორმები 157

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲨᲘᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘ. ხელფასების პროცესში სტუდენტური გუნდური პროგრამების მოშზადება - პრეზენტაციის მეთოდური საკითხები 169

ᲞᲐᲠᲛᲔᲜ ᲚᲔᲛᲝᲜᲯᲐᲕᲐ. ბუნებათსარგებლობის მენეჯმენტის ამოცანები და მექანიზმები 183

ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲑᲔᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ. მცირე მეწარმეობის როლი საერთაშორისო ბიზნესში (ინგლისურ ენაზე) 194

CONTENTS

ECONOMIC THEORY AND ECONOMIC POLITICS

GRIGOL TODUA. Necessity of unity of evolutionary and revolutionary processes and social-economic progress 11

ELGUJA MEKVABISHVILI. Regulating role of the state in a modern global financial-economical crisis 21

REVAZ GOGOKHIA. To a question of efficiency and prospects of market system 29

JEMAL KHARITONASHVILI. Once again about the Malthus's theory of popultion 41

MACROECONOMICS

NURMAN TSARTSIDZE. Labour market and poverty in Georgia in under the conditions of modern global economic crisis 53

MALKHAZ CHIKOBAVA. Modern global economical crisis: causis, rezults and perspectives 73

GIULI KESHELASHVILI. Economical role of the internation projects for integrated development of the silk Road countries 87

LELA JAMAGIDZE. Investments of transnational corporations in developing countries against global crisis 93

FINANCES AND BANKING

ELDAR ISMAILOV. Evolution of national currencies of the Central Eurasian countries: general and especific features (in Russian) 102
JEMAL SHATIRISHVILI, NANI KHITARISHVILI, LEONA SHATIRISHVILI. Internet banking in Georgian banking system and its developing tendencies (on sociological research) 133

MANAGEMENT. MARKETING. TOURISM

SIMON GELASHVILI. Theoretical estimation of economic uncertainty and risk 145
PAATA KOGUASHVILI. Culture of consumption of using nature.... 157
GIORGI SHIKHASHVILI. Methodical questions preparation - presentations of student's group programs in the course of teaching of economic disciplines 169
PARMEN LEMONJAVA. Tasks and mechanisms of management of using nature 183
KHATUNA BERISHVILI. Small enterprice role in international business (in English) 194

СОДЕРЖАНИЕ

ЭКОНОМИЧЕСКАЯ ТЕОРИЯ И ЭКОНОМИЧЕСКАЯ ПОЛИТИКА

ГРИГОЛ ТОДУА. Необходимость единства эволюционных и революционных процессов и социально-экономический прогресс.....11
ЭЛГУДЖА МЕКВАБИШВИЛИ. Регулирующая роль государства в условиях глобального финансово-экономического кризиса 21
РЕВАЗ ГОГОХИЯ. К вопросу эффективности и перспектив рыночной системы 29
ДЖЕМАЛ ХАРИТОНАШВИЛИ. Ещё раз о теории народонаселения Мальтуса 41

МАКРОЭКОНОМИКА

МУРМАН ЦАРЦИДЗЕ. Рынок труда и бедность в Грузии в условиях современного глобального экономического кризиса 53
МАЛХАЗ ЧИКОБАВА. Современный глобальный экономический кризис: причины, последствия, перспективы 73
ГИУЛИ КЕШЕЛАШВИЛИ. Роль международных проэктов в интегрированном развитий стран шелковых дорог 87
ЛЕЛА ДЖАМАГИДЗЕ. Инвестирование транснациональных корпораций в развивающихся странах на фоне глобального кризиса 93

ФИНАНСЫ И БАНКОВСКОЕ ДЕЛО

ЭЛДАР ИСМАИЛОВ. Эволюция национальных валют стран Центральной Евразии: общее и особенное (на русском языке)..... 102
ДЖЕМАЛ ШАТИРИШВИЛИ, НИНО ХИТАРИШВИЛИ, ЛЕОНА ШАТИРИШВИЛИ. Интернет-банкинг в банковской системе Грузии и тенденции его развития
(по социологическому исследованию) 133

МЕНЕДЖМЕНТ. МАРКЕТИНГ. ТУРИЗМ

СИМОН ГЕЛАШВИЛИ. Теоретическая оценка экономической неопределённости и риска 145
ПААТА КОГУАШВИЛИ. Культура потребления продовольствия, типы и нормы питания 157
ГЕОРГИЙ ШИХАШВИЛИ. Методические вопросы подготовка - презентации студенческих групповых программ в процессе преподавания 169
ПАРМЕН ЛЕМОНДЖАВА. Задачи и механизмы менеджмента природопользования 183
ХАТУНА БЕРИШВИЛИ. Роль малого предпринимательства в международном бизнесе (на английском языке) 194

ევოლუციური და რევოლუციური პროცესების ერთიანობის გარდაუვალობა და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესი

გრიგოლ თოდუა
ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენათა განვითარების ბუნებრივ-ისტორიული პროცესი ძირითადად ევოლუციურია, მაგრამ რევოლუციებიც არაა გამორიცხული ამ პროცესიდან. რევოლუციები ისეთივე გარდაუვალი აუცილებლობაა, როგორც თვისებრიობისა და რაოდენობრიობის ურთიერთგადასვლის კანონის მოქმედება ანუ ზომა. მაგრამ რევოლუცია შეიძლება იყოს ძალდატანებითიც და მშვიდობიანიც. ამიტომ რევოლუციების უარყოფა კი არ უნდა ხდებოდეს, არამედ მათი მოქცევა პუმანისტური დიალექტიკის ნარჩოებში.

ყოველი ზომა, თვისებრიობის ყოველი ხაზღვარი პირობითი და მოძრავია. რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებანი ერთიანობაში განსხვავებული მოძრაობის ფორმებია. რაოდენობრივი ცვლილებანი თანდათანობითი, ევოლუციური ფორმით მიმდინარეობს, ხოლო თვისებრივ ცვლილებებს ნახტომისებური ხასიათი აქვს. „რაოდენობის ცნება, - წერდა ჰეგელი, – შეიცავს წინააღმდეგობას და ეს წინააღმდეგობა შეადგენს სწორედ რაოდენობის დიალექტიკას, მაგრამ ამ დიალექტიკის შედეგია არა თვისებრიობაში უბრალოდ უკან დაბრუნება, ისე რომ თვისებრიობა ეითომც ჭეშმარიტი ყოფილიყოს, ხოლო რაოდენობრიობა – არაჭეშმარიტი, არამედ ამ ორივეს ერთიანობა და ჭეშმარიტება, თვისებრივი რაოდენობა – ანუ ზომაა".[1]

რაკი რაოდენობრივ და თვისებრივ ცვალებადობათა ურთიერთგადასვლის კანონი მოქმედებს, ამიტომ განვითარება არ შეიძლება მიმ-

[1] ჰეგელი. ლოგიკის მეცნიერება. თარგმანი გერმანულიდან შალვა ბაბუაშვილისა, თბ., 1962, გვ. 245.

დინარეობდეს ან მხოლოდ ეგოლატიურად ან მხოლოდ ნახტომისებურად. ეგოლატია მოვლენებსა და პროცესებში ნაწილობრივ ცვლილებებს გულისხმობს, არ ხსნის მათ არსს. ნახტომი კი ნიშნავს ერთი თვისებრიობიდან მეორეში გადასვლას. ასეთ განუყოფელობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს როგორც ზომიდან ზომაში გადასვლის დროს, ასევე ზომის შიგნით. ზომას, ისევე როგორც თვისებრიობას, გრადაცია ახასიათებს, მთავარი ზომების შიგნით არსებობენ პატარა ზომებიც, რომელთა შეცნიერული შემეცნების გარეშე ეკონომიკურ სტრუქტურათა არსს მათ განვითარებაში ვერ გავაცნობიერებთ. ეკონომიკურ სტრუქტურათა შიგნით კი უცილობლად არსებობს შინაარსეული კერძოსა და შინაარსეული ზოგადის დამოკიდებულება. მაგალითად, ხაჭორელი მოცულობით ზოგადია ფულზე, ვინაიდან ხაჭორელში ფულის გარდა სხვა ხაჭორელთა სახეობანიც შედის, მაგრამ შინაარსეულად ფული ხაჭორელზე უფრო ზოგადია, რამდენადაც ფული ნებისმიერი ხაჭორელობაა და უფრო მეტიც - ხაჭორელთა ხაჭორელიც. ხაჭორელთა სამყაროს უნივერსალური მხატვრიც.

როცა მონათმფლობელური წყობილების შინაგანი წინააღმდეგობის გამწვავებამ ანტიკურ რომში მიაღწია უკანასკნელ მოზღვარს, რომლის გადალახვა მას უკვე აღარ შეეძლო, მოხდა ამ წყობილების უარყოფა და გადასვლა მის დაპირისპირებულში – ფეოდალიზმში. ეს პროცესი დაიწყო გერმანელების მიერ რომის დაპყრობამ. ფეოდალიზმის მზა ფორმები კოლონატის სახით უკვე ღრმად იყო ფესვგადგმული მონათმფლობელური წყობილების წიაღში. იგი ამ წყობილებისთვის წარმოადგენდა პირველ განსაზღვრული არსის სახით ნამოყალიბებულ საკუთარ სხვას, რომლის გადასვლა დამოუკიდებელ არსებობაში განხორციელდა ზომაში. მაგრამ ამ ზეაღმავალ გადასვლამდე მრავალ თვისებრივ ცვლილებას ქონდა ადგილი, რამდენიმე პატარა ზომა შეიცვალა.

რომის რესპუბლიკის უკანასკნელი ხანიდან,ჭარდა ენგელსი, ლატიფუნდიურმა მეურნეობამ იწყალის თითქმის მთელი ტერიტორია მოიცვა. მაგრამ დროთა მსვლელობაში მონურ შრომაზე დამყარებული მამულების ამ უზარმაზარი კომპლექსების შემოხავლიანობა მეტისმეტად დაეცა. მისი შენარჩუნება უკვე აღარ შეიძლებოდა. ლატიფუნდიები

ჯერილ პარცელებად დაჭუცმაცდა, რომლებიც უმთავრესად კოლონებს გადაეცათ. ამასთანავე ისინი მონათმფლობელი გარკვეულ წლიურ თანხას უხდიდნენ, მიმაგრებული იყვნენ მიწის ნაკვეთზე და თავიანთ პარცელებთან ერთად ეიწყო-გაეყიდვის საგანს წარმოადგენდნენ, თუმცა მონები არ იყვნენ, მაგრამ არც თავისუფალ მოქალაქეებად ითვლებოდნენ. ლატიფუნდიები კოლონატმა შეცვალა. კოლონები შეა საუკუნეების ყმების წინამორბედნი იყვნენ.[1]

კოლონატს მოსდევს ფრანკების სახელმწიფო თემები. „რომაელ კოლონსა და ახალ ყმას შეა თავისუფალი ფრანკი გლეხი იდგა".[2] სწორედ ფრანკთა თავისუფალი თემი შეცვალა მძლავრ მიწათმფლობელებსა და მათზე დამოკიდებულ გლეხებს შორის ურთიერთობამ. მეურნეობის ეს ფეოდალური ფორმა „რომელმაც, რომაელთა ანტიკური სამყარო გამოუვალ ნისში მოაქცია–და დალუპა, ახლა ახალი განვითარების ამოსავალ წერტილს წარმოადგენდა.[3] თვისებრივ ცვლილებებს ქონდა ადგილი ფეოდალიზმის ეპოქაში, რამაც ამ წარმოების წესის შიგნით განვითარების განსხვავებული საფეხურები წარმოქმნა. თვისებრივი ცვლილებანი მოხდა კაპიტალისტური წარმოების წეს'ში. თავისუფალი კორპორაციის შეცვლა მონოპოლიების ბატონობით იყო სიღრმისეული თვისებრივი ცვლილება, კაპიტალიზმის გადასვლა უფრო მაღალ ეკონომიკურ სტრუქტურაზე, რომელიც ზომის შიგნით განსხვრეულდა. ასევე ზომის შიგნით თვისებრივ ცვლილებას წარმოადგენს მონოპოლისტური კაპიტალიზმის გადაზრდა სახელმწიფო-მონოპოლისტურ კაპიტალიზმში, ღრმა თვისებრივ ცვლილებას ნიშნავს თანამედროვე დაწინაურებულ ქვეყნებში სისოშიური ეკონომიკის ნამოყალიბება,რომელმაც გაარღვია მთავარი ზომა და პრინციპულად ახალი თვისებრიობის დამკვიდრება გამოიწვია. სწორედ ზომა ახასიათებს ამა თუ იმ ეკონომიკურ წყობილებას და, საერთოდ, ყოველი ეკონომიკური მოვლენის ბუნებას მთელი სისრულით. ამიტომ თავიდან ბოლომდე მცდარია კონცეფციები, რომელნიც ცურადღების მიღმა ტოვებენ თანმიმდევრული რევოლუციური გარდაქმნის აუცილებლობას.

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები, ტ. 11, 1950. გვ. 359.
[2] იქვე. გვ. 366.
[3] იქვე.

ყოველი ერი უნდა ერიდებოდეს ნახევრადრეჟოლუციური ღონისძიების გატარებას. ასეთი აქცია შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს სახელმწიფოსთვის.

იდგა 1860-იანი წლების დასაწყისი რუსეთში. ყირიმის ომში დამარცხებამ, (1853-1856წწ.) საფუძველი გამოაცალკა იმპერიის სოციალურ-პოლიტიკური ხასიათისა და ეკონომიკური სტრუქტურის ნამორჩილობა, რომელმაც მძლავრი ბიძგი მისცა ქვეყნის პროგრესულ სახოგადოებრივ ძალთა ამოძრავებას, რეფორმატორული მისწრაფებების ნამოყალიბებას მათში. ან ბატონყმობის გაუქმება ზემოდან ან მოახლოებული რევოლუციური ტალღების მიერ ბატონყმური რუსეთის გარდაუვალი წალეკვა – აი ისტორიული აუცილებლობით დადგენილი ალტერნატივა, რომლის წინაშე ცარიზმი სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენათა ლოგიკამ მიიყვანა. ალექსანდრე მეორემ, საუბედუროდ, სამართლიანად რეფორმის ზემოდან გატარება აირჩია. მაგრამ ეს რეფორმა ნახევრად რევოლუციური იყო.

ლიბერალური მემამულეებისა და ბურჟუაზიის აშკარა მოთხოვნას, გლეხთა გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის ვითარებაში 1861 წელს განხორციელდა ბატონყმობის გაუქმება. იმპერატორის ხელმოწერით გამოქვეყნდა ე.წ. „19 თებერვლის დებულება", რომელშიც აისახა ნაგლეხო რეფორმის ბურჟუაზიული შინაარსი. საქართველოში ბატონყმობის გაუქმება დაიწყო 1864 წელს და 1871 წლამდე გაგრძელდა.

ნაგლეხო რეფორმა მემამულეებმა თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს, რასაც გლეხთა მდგომარეობის გაუარესება მოჰყვა. თუმცა მანიფესტი თუ წესებოდა ბატონყმობის სამუდამოდ მოსპობას, მაგრამ ამავე დოკუმენტის მესამე პარაგრაფი ნაქვეყნად აცხადებდა თავადაზნაურთა განსაკუთრებულ უფლებას მიწაზე. მანიფესტის ძალით გლეხებს მიუხომეს მხოლოდ ნაწილი იმ მიწებისა, რაც მუდამ მათ მფლობელობაში იყო, ნება დართეს მემამულეთაგან წინასწარი შეთანხმებით მიზომილი მიწების - „ჩამონაჭრების" გამოსყიდვისა, მაგრამ მათ უმეტეს შემთხვევაში ამის შესაძლებლობა არ ჰქონდათ. ამიტომ ფართობების დიდ ნაწილს ვაკრები და სოფლის ბურჟუაზია ფლობდა ხელში ან მსხვილი მემამულეები ინარჩუნებდნენ.

საქართველოში საგლეხო რეფორმა გატარდა განსაკუთრებით შეფიცოთან პირობებში მემამულეებისთვის და მეტად არახელსაყრელ პირობებში გლეხებისთვის. ეს ფაქტი თვით მეფის ნაცვალმა ვორონცოვ-დაშკოვმაც ვერ დაფარა.[1] მიწა გამოცხადებული იქნა მემამულეთა შეუვალ საკუთრებად. საკუთრება მანამდე გლეხის სარგებლობაში არსებული ფართობების მნიშვნელოვანი ნაწილი მემამულეებმა მიითვისეს. ნიშანდობლივია ისიც, რომ გლეხკაცობას გაცილებით უფრო მეტი ფართობები ჩამოაჭრეს, ვიდრე ეს მანამდე იყო გათვალისწინებული. ამიტომ რეფორმის წყალობით მათ დაკარგეს იმ მიწების ნაწილი, რომელსაც ადრე ფლობდნენ. ამასთან, „ადგილობრივი დებულებით" მცირემიწიან მემამულეს შეეძლო უმიწაწყლოდ გაეუნათავისუფლებია ყმა-გლეხი.

რეფორმამ საქართველოს საშინელ მემკვიდრეობად დაუტოვა დროებით ვალდებულ გლეხთა ინსტიტუტი. 1917 წლის რევოლუციამდე შემორჩა ქვეყანას ბატონყმობის ეს მძიმე ვადმონაშთი.[2]

ქართველი გლეხკაცობის ნაცვრახა და გალატაკების კიდევ უფრო აძლიერებდა ცარიზმის ფისკალური პოლიტიკა, რომელიც დიდ დაბრკოლებებს უქმნიდა გლეხური მეურნეობის საერთო აღმავლობას განსაკუთრებით იმპერიის განაპირა მხარეებში რუსეთის შიგა გუბერნიების გლეხობასთან შედარებით საქართველოს გლეხობა გაცილებით მძიმე გადახადებით იბეგრებოდა. ამ მიზეზით გამოწვეულმა შფოთებმა ქართული სოფლის ისედაც მცირემიწიანი მშრომელი მასები, რომელნიც შიგა რუსეთის გუბერნიის გლეხობასთან შედარებით გაცილებით ნაკლები მიწის ფართობების ფლობდნენ, უკიდურეს განძნაგებაშეც მიიყვანა.

გლეხური მეურნეობის უდიდესი ნაწილი ოჯარით აღებულ მიწაზე იყო მოწყობილი. მოჯარე გლეხი მიწათმფლობელს წლიური შემოსავლის 60%-ს უხდიდა. მოუხალისან წლებში ხაოჯარო ქირა მოსავლის ღირებულებას აღემატებოდა. ოჯარის ვადა ერთი წლით განისაზღვრებოდა. ასეთი მდგომარეობა, ერთი მხრივ, ხრდიდა ხაოჯარო

[1] ი. სუცოშვილი. 1905-1907 წლების რევოლუცია საქართველოში. თბ., 1955, გვ. 4.
[2] კ. ბაბალოძე. აგრარული ურთიერთობა საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში. ბათუმი, 1. [illegible] 1950, გვ. 30.

ქორახ, ხოლო, მეორე მხრივ, მიწის გამოფიტვის პირობების ქმნიდა. ეზოზე მოკლევადიანი თუ არა მეტისმეტად უშლიდა ხელს სოფლის მეურნეობის საერთო აღმავლობას. საიჯარო ქირის ზრდის გამო იზრდებოდა მიწის ფასი, რაც გამოისახებოდა ოპერაციების დაწესების დროიდანვე იგრძნობოდა. იბნელისის გუბერნიაში I დესეტინა მიწა 1850 წელს 84,5 მანეთი ღირდა, 1960 წელს – 111,8 მანეთი, 1910 წელს – 149,8 მანეთი.[1]

შექმნილ მძიმე ვითარებას მოჰქონდა გლეხთა ბოლომოულებელი აჯანყებები, რაც უფრო მწვავდებოდა. ამ პროცესმა მეტ-ნაკლები ზომით არსებითად მთელი იმპერია მოიცვა. გლეხობისათვის მხოლოდ თერიტორიული თავისუფლების მინიჭებას, ე.ი. ფაქტობრივად ნაწილობრივი რეფორმის გატარებას და გლეხობის უმძიმეს ეკონომიკურ პირობებს, ბუნებრივია, მოჰყვა რევოლუციური სიტუაციის გამწვავება. აქტიური მოღვაწეობის ახპარეზზე გამოვიდნენ ნაროდნიკები, რომლებმაც რევოლუციურ-ტერორისტული თეორია და პრაქტიკა გაავრცელეს ხალხთა მასებში. ყოველივე ამან უარყოფითი მუხტი შეიტანა მთელ საზოგადოებრივ ყოფაში.

გაბატონებულ მმართველ ძალებს დრმაგონიერული წინასწარხედვა რომ გამოეჩინათ და გლეხობა გაეთავისუფლებიათ მიწიანად ყოველგვარი გამოსყიდვის გარეშე, უნდა ვივარაუდოთ, რომ რევოლუციური მოძრაობა რუსეთში სულ უფრო განსხვავებულ ხასიათს მიიღებდა. შესაძლებელია 1917 წლის რევოლუციასაც განსხვავებული შინაარსი ჰქონოდა.

ვიდრე აშკარად მერყევი, ნახევრად რეფორმისტული პოზიცია ექნება ნახელმწიფოს, იგი წარმატებას ვერ მიაღწევს, ხშირად ნეგატიური ელფერის მქონე ფენების ბევრი წარმომადგენელი ჯერჯერობით იმეორებს, რომ 1921 წელს, თითქოს, ევროპამ საქართველოს უდალატა და მიატოვა ბედის ანაბარა. სინამდვილეში ევროპამ კი არ მიატოვა, არამედ ვერ დაადგინა ქვეყნის ხელისუფლების ორიენტაცია. საქართველოს მთავრობა იმჩანად ხან რუსეთს ეთამაშებოდა, ხან კიდევ, დახალეთი ევროპის ქვეყნებს და თუ ახლო მომავალში ევროპამ მხარი არ დაუჭიჭირა მტკიცედ, ამის მიზეზი ნეგატიური პოზიციის არათანმიმდევრულობა

[1] ა. გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XXსს., ტ. მეორე, თბ., 1956, გვ. 730.

იქნება. შესაძლებელია იყო ნახევრად ფრანგი და ნახევრად არაბი, მაგრამ შინაგანად ნახევრად ქრისტიანი და ნახევრად მუსულმანი არ შეიძლება არსებობდეს.

მართალია, ქართული სოციალ-დემოკრატები და, საერთოდ, დასავლეთის სოციალისტები არსებითად კოსმოპოლიტები იყვნენ, კლასობალური სოციალურ-ეკონომიკური ხედვის შექმნისკენ მისწრაფოდნენ, მაგრამ როგორც გამონაკლისი მკვლევარი მიხ. წერეთელი მიუთითებდა, ყველანი ეროვნულ ნიადაგზე მოქმედებდნენ. ნიშანდობლივია, რომ დასავლეთელი პარლამენტარები, რომლებიც ეროვნული კონსტიტუციის საქმიანობაში მიღებულებდნენ, შინაგანად ეროვნული სოციალიზმის მომხრეები იყვნენ; ამასთან, - გაორებული იდეების მატარებლნი. ბევრ ქვეყანაში უკიდურეს კოსმოპოლიტთა შორისაც ღიღიდა და ღვიძის ერისადმი დიდი პატივისცემა. ბევრად უმჯობეს ხარისხშია ამჟამინდელი ეს გრძნობა,სოციალისტები ყველგან თავიანთ ეროვნულ საქმეს აკეთებდნენ. საქმე ისაა, რომ ადამიანი სოციალური არსებაა, ხოლო საზოგადოება – სოციალური ფენომენი. კაცობრიობა არ არის არსებითად სოციალური ფენომენი, ამიტომ კაცობრიობისა და ერის გაერთიანება ერთ ცნებაში გაუმართლებელია, ვინაიდან ერში ჩაშენარიტი საზოგადოებრივი შინაარსია მოცემული, კაცობრიობას კი ასეთი შინაარსი არ გააჩნია.[1] ცალმხრივმა კოსმოპოლიტიზმმა დააბნია საზოგადოება, თავისკენ გაუწია მხოლოდის ხალხებს.

კაცობრიობა ადამიანია გარკვეული რაოდენობრივი განსაზღვრულობაა, ამ ასპექტით მას არსებითად არავითარი სოციალური არსი არა აქვს. რიცხოვნება სინამდვილეა მხოლოდ. ცხოველთა საყაროსაც გააჩნია გარკვეული რაოდენობრივი განსაზღვრულობა, მაგრამ მასში არავითარი სოციალური შინაარსი არ არსებობს თუ რიცხოვნების მხედველობაში მივუღებთ საზოგადოებას, მაშინ თავს ვერ დავაღწევთ ანთროპოლოგიური კვლევის არეალს, ვინაიდან ადამიანი როგორც ბიოლოგიური არსება, ბიოლოგიური მეცნიერების საგანია და არა სოციოლოგიისა.

კოსმოპოლიტები და დიდი გლობალიზაციის მომხრეები იმ დასკვნამდე მიდიან, რომ უნდა მოისპოს მრავალფეროვნება და შეიქმ-

[1] მიხ. წერეთელი. ერი და კაცობრიობა. თბ., 1990, გვ. 35-39.

ნის ერთიანი სახელმწიფოებრივი ინტერესების იგნორირებით. ერთგვარი კონფლიქტი ჩნდება ეროვნული ინტერესების იგნორირებასა და ეროვნული ინტერესების ფეტიშიზაციას შორის. ეროვნული ინტერესების ფეტიშიზაციის ტენდენციები ხშირად ვლინდება ეროვნული სახელმწიფოების ფორმირების პროცესში, როდესაც

ეროვნული თვითშეგნება არის საკაცობრიო კულტურათა მრავალფეროვნების არსებობის უცილობელი პირობა. ევროპის ერები 1500 წელზე მეტია არსებობენ დღევანდელი სახით. ახლანდელი ევროპის მანძილზე იცვლებოდა მათი სოციო-გეოგრაფიული სივრცეები. დროთა განმავლობაში ადგილი ჰქონდა ეროვნული ორგანიზმების ძალდატანებითი დაშლის მცდელობას. მაგრამ კულტურულმა ერებმა მაინც მტკიცედ შეინარჩუნეს ეროვნული თვითმყოფადობა. ამიტომ მოსაზრება, რომ თითქოს ევროპაში ეროვნული თვითმყოფადობა იძირება და მიჩნეულობს ერების გათქვეფა, თავიდან ბოლომდე მცდარია.

რიცა ემსჯელობთ დასავლეთზე რიგორც ორიენტირზე, ამ ცნებაში უწინარეს ფუძეისხმება კულტურულ ფასეულობათა მთელი სისტემა. ევროპელთა დიდი უმრავლესობისათვის უმთავრესია ღმერთი, ტრადიციები, პარლიამენტები და არსებითად უცვლაყვარი, რაც ქართული ადამიანის არსებაში არის ჩასაიდუმლოებული. ამიტომ ვამბობთ, რომ განსხვავებათა მიუხედავად, საქართველო ევროპული გარემოს განუყოფელი ნაწილია. დასავლეთან ინტეგრაციით ჩვენ უცხო გარემოში კი არ შევდივართ, არამედ ვიკავებთ იმ ადგილს, რომელიც გვქონდა და წაგვართვეს. ამ ინტეგრაციით ჩვენ უნდა მოვიღოთ უსაფრთხოებისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისეთი გარანტიები, რომელიც ისტორიული ძნელბედობის გამო არ გვქონდა და ახლა მოგვეცა. შეიქმნა ვითარება, რომელიც შესაძლებლობას იძლევა საბედად უხრწნელყოთ ქართველი ერის საბედნიერო მერმისი. მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობა.

გაორებული სოციალურ-პოლიტიკური სტრატეგია, სანახევროდ გატარებული რეფორმები არ იძლევა სასურველ შედეგებს. მოქნილი დიპლომატიით გაჯერებული სტრატეგია და ტაქტიკა უნდა იყოს ჩვენი ერის მომავალი მოქმედების ნიშანსვეტი.

სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში

ᲔᲚᲒᲣᲯᲐ ᲛᲔᲯᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი გლობალიზაციის ეპოქის ქვეშ მწვავე და ხერხიანი კრიზისია. მის ანალოგად შეიძლება დახასიათდეს გასული საუკუნის 30-იანი წლების ე. წ. „დიდი დეპრესია“[1]. ამასთან ერთად, მიმდინარე კრიზისი, ჩვენი აზრით, განსხვავებული უნდა იქნეს არა როგორც გლობალიზაციის კრახი, არამედ გლობალური მასშტაბით ეკონომიკური ზრდით გამოწვეული სართულე და გლობალიზაციის ახალ ეტაპზე (საყვირზე) გადასვლის აუცილებელი მომენტი.

გლობალიზაციის შედეგად ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება ძლიერდება, რაც საერთაშორისო მასშტაბით მაკოორდინირებელი ინსტიტუტებისა და მექანიზმების განვითარება-სრულყოფას მოითხოვს. იგივე შეიძლება ითქვას ეროვნულ-სახელმწიფოებრივ დონეზე რეგულირების აუცილებლობის შესახებ.

როგორც ცნობილია, მსოფლიო ეკონომიკის და ცალკეული, განსაკუთრებით კი ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის ქვეშ წწრაფად მზარდი ხელოვნური ფინანსური სექტორია, რომელმაც უკანასკნელ ხანებში კოლოსალურ მასშტაბებს მიაღწია. ასე მაგალითად, აშშ-ში თუ 80-იან წლებში მთელი კორპორაციების მხოლოდ 10% მოდიოდა ფინანსურ კორპორაციებზე, 2007 წელს ეს მაჩვენებელი 40%-მდე გაიზარდა[2]. ამავე ქვეყნის ფინანსური კაპიტალიზაცია დაახლოებით 48 ტრლნ დოლარს შეადგენდა, რაც სამჯერ აღემატება აშშ-ს მთლიან

[1] ვ. ნაჭყებია. თანამედროვე ეკონომიკური კრიზისი – „დიდი დეპრესია“- 2. ჟურნ. ეკონომიკა და ბიზნესი. 2009, №5, გვ. 77.
[2] О. Т. Багомолов. Роль государства в современной экономике. Кого и чему учит глобальный кризис, журн. Международная экономика, 7/2009, с. 66.

შიგა პროდუქტს. ალნიშნულიდან გამომდინარე, ორი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს: პირველი, თანამედროვე გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია მსოფლიო ეკონომიკის და ცალკეული ქვეყნების ეკონომიკაში წარმოქმნილი სტრუქტურული დისბალანსი, რაშიც იგულისხმება ფინანსური სექტორის მოწვეტა რეალური ეკონომიკისგან, ანუ დისბალანსი „ფინანსურ ეკონომიკასა" და „ფიზიკურ ეკონომიკას" შორის. როცა ფულის უმეტესი ნაწილი „მიბმულია" სხვადასხვა ფინანსურ აქტივზე, ფინანსური ბაზრის რომელიმე სეგმენტში მომხდარი ჩავარდნა, რასაც ადგილი ჰქონდა 2007 წლის მეორე ნახევარში აშშ–ის იპოთეკურ ბაზარზე, მთელ ეკონომიკურ სისტემას აყენებს კრიზისულ მდგომარეობაში. აქედან გამომდინარეობს მეორე დასკვნა: ფინანსური ბაზრის დაბალანსებასა და სახელმწიფოს მხრიდან მის ეფექტიან დარეგულირებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მთელი ეკონომიკის სტაბილური განვითარების საქმეში.

გლობალიზაცია და ეკონომიკური ზრდის პოსტინდუსტრიული სტადია ის ორი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომლებიც თანამედროვე პირობებში განსაზღვრავს მაღალტექნოლოგიურ ქვეყნებში სახელმწიფოს ეკონომიკურ როლსა და ფუნქციებს, ეკონომიკაში მისი ჩარევის სახეებს, მასშტაბებს, ფორმებსა და მეთოდებს. გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფოს ეკონომიკური როლი, იმე როგორც სახელმწიფოს სუვერენიტეტი, კი არ ქრება, არამედ სახეცვლილებას განიცდის. თანამედროვე სახელმწიფო იმყოფება არა ბაზრის მიღმა, ან ბაზრის ზევით, არამედ ორგანულადაა ნაშენებული საბაზრო სისტემაში და წარმოადგენს საბაზრო ძალთა თამაშის უმნიშვნელოვანეს მონაწილეს, რომელიც პასუხისმგებელია მთელი სახოგადოების ინტერესთა რეალიზაციაზე[1]. სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები, რომლებშიაც მისი როლი ვლინდება, „წარმოქმნის საბაზრო ეკონომიკის ფუნდამენტს და სახელოებს"[2]. გლობალიზაციის ეპოქაში სახელმწიფოს პრიორიტეტულ ფუნქციად იქცევა არა მხოლოდ და არა იმდენად ეროვნული ეკონომიკის დაცვა გარე ფაქტორთა ზემოქმედებისაგან, რაც პრქტიკულად შეუძლებელია, არამედ საერთაშორისო ეკონომიკურ კავშირებში ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანი ჩართვა, გლობალური მასშტაბებით მისი კონკურენტუნარიანობის მიღწევა და განმტკიცება.

პოსტინდუსტრიულ სახოგადოებაში სახელმწიფოს ეკონომიკური როლის შესრულების ძირითადი ფუნდამენტია სახელმწიფო ფინანსების სისტემა, რომელიც მოიცავს ცენტრალური სელისუფლების, რეგიონული და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ბიუჯეტებს, ზოგიერთ ქვეყანაში კი – განსახლვრულ ბიუჯეტგარეშე ფონდებს. სახელმწიფოს ეკონომიკური როლის ზრდაზე მიუთითებს განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო ხარჯების მაღალი ხვედრითი წონა მშპ–ში. კერძოდ, ევროკავშირის ქვეყნებში მან შეადგინა დაახლოებით 50 %, აშშ–სა და იაპონიაში - 33% და 35%. სოციალური მიმართულების დანახარჯებში განსაკუთრებით იმატა ტრანსფერებმა განათლებაზე, რამაც განვითარებულ ქვეყნებში მშპ–ს 6–8% შეადგინა. პოსტინდუსტრიულ ქვეყნებში თანაფარდობა სახელმწიფო ხარჯების ორ ძირითად მიმართულებას – სამხედრო ხარჯებსა და სოციალური შინაარსის ხარჯებს შორის - შეადგენდა 1:6, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ თანამედროვე პოსტინდუსტრიული სახელმწიფო გადაიქცა სოციალურად ორიენტირებულ სახელმწიფოდ. ქვეყნებს შორის განსხვავება კი მდგომარეობს ამ „სოციალურობის" მხოლოდ ხარისხში.

ყოველივე ალნიშნულის ფონზე, გაუგებრად და უსაფუძვლოდ გვეჩვენება ორთოდოქსალური ლიბერალიზმის მომხრეების სისტემატური თავდასხმები სახელმწიფოს ეკონომიკური როლის რეალისტურ შეფასებაზე. ჩვენი აზრით, გლობალური ეკონომიკური კრიზისი გახდა ის გარდამტეხი მომენტი, რომელმაც არსებითად შეცვალა სახელმწიფოს ეკონომიკურ როლზე წარმოდგენა და მისი უარყოფის იდეოლოგიზებულ მოსაზრებებს დაბალანსებული შეხედულებები დაუპირისპირა. ამ თვალსაზრისით მეტად ნაშანდობლივია საფრანგეთის პრეზიდენტის ნ. სარკოზის გამოსვლა ევროკავშირის სამიტზე 2008 წლის ოქტომბერში, სადაც მან პირდაპირ განაცხადა, რომ ულტრალიბერალურმა კაპიტალიზმმა კრახი განიცადა და საჭიროა სოციალური საბაზრო მოდელი[1]. ეს უკანასკნელი კი, როგორც ცნობილია, სახელმწიფოს მიერ მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სოციალური ფუნქციების შესრულებას გულისხმობს. კრიზისმა არსებითად შეცვალა სახელმწიფოს პრობლემისადმი დამოკიდებულება „საბაზრო ფუნდამენტალ-

[1] ჯ. მექკაბიშვილი. გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექტივები. თბ.,2009, გვ. 144.

[2] В. С. Малахов. Государство в условиях глобализации. М., 2007. с. 73.

[1] The Economist, October 11. 2008. p. 12.

[2] აქ უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ აშშ–ში ეკონომიკური ზრდის 80% მოდის ერთობლივი მოთხოვნის ფაქტორზე.

იზმის" ისეთ „ცივილიზებულში", როგორიცაა აშშ. აქ დაიწყო ამ ქვეყნისთვის არატრადიციული ანტიკრიზისული ღონისძიებების გამოყენება. ერთ-ერთი მათგანია კერძო სექტორის მნიშვნელოვანი სუფსიდირება. ამ მიზნით მთავრობის მიერ გამოყოფილი იქნა 168 მლრდ დოლარი, რომლიდანაც 100 მლრდ დოლარი წარიმართა საშუალო კლასში შემავალი მოქალაქეების შემოსავლების გაზრდაზე ერთობლივი მოთხოვნის წახალისების მიზნით[2], ხოლო დანარჩენი თანხა განკუთვნილი იყო მცირე და საშუალო ბიზნესის დახმარებლად.

ნაკლებად გამოყენებულ მექანიზმებთან ერთად აშშ-ს მთავრობამ დაიწყო მისთვის სრულიად უჩვეულო მარეგულირებელი მექანიზმების გამოყენებაც. მან საკუთარი კონტროლის ქვეშ აიყვანა და ფაქტობრივად ნაციონალიზება გაუკეთა ორ უმსხვილეს იპოთეკურ კომპანიას – Fannie Mac da Freddie Mac-ს, რომლებზეც მოდიოდა ქვეყანაში იპოთეკური ვალების ნახევარი. გაკოტრებული 5 ინვესტიციური ბანკიდან 3, მათ შორის ისეთი უმსხვილესი საბანკო დაწესებულება, როგორიცაა Lehman Brothers, ახევე დაექვემდებარა ნაციონალიზაციას. სადაზღვევო გიგანტის - American National Group (საერთო აქტივებით 1.05 ტრლნ დოლარი) - დახმარებლად აშშ ფინანსთა სამინისტრომ გამოყო 152 მლრდ დოლარი. აქედან: 60 მლრდ დოლარი 5 წლიანი ვადის სესხის სახით, 52,5 მლრდ დოლარი კი-პრობლემური ფასიანი ქაღალდების შესაძენად. უფრო მოგვიანებით ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ დამატებით გამოყო 800 მლრდ დოლარი სამომხმარებლო კრედიტის მხარდასაჭერად. ყოველივე ალნიშნულის გამო აშშ-ს სახელმწიფო ვალი საგრძნობლად გაიზარდა და ქვეყნის მშპ-ს 82%-ს მიაღწია[1]. კერძო სექტორისათვის სახელმწიფო მხარდაჭერის გაძლიერება მარტო აშშ-სთვის არ ყოფილა დამახასიათებელი. ეგივე შთაბეჭდილება ჩნდება ინდუსტრიულად განვითარებულ სხვა ქვეყნებშიაც. კერძოდ: დიდი ბრიტანეთის მთავრობამ განახორციელა ორი მსხვილი გაკოტრებული - Northern Rock da Bradford & Bingley ბანკების ნაციონალიზაცია და შეიძინა Bank of Scotland-ის საკონტროლო პაკეტი და Lloyds Banking Group-ის აქციების 43 %. მთლიანობაში ბანკებიდან მთავრობამ გამოისყიდა 50 მლრდ გირვ. სტერლინგის პრობლემური აქტივები, 250 მლრდ გირვ. სტერლინგი გასცა ბანკთაშორისი კრედიტების გარანტიებზე. 10 მლრდ გირვ. სტერლინგი გამოყო მცირე და საშუალო ხაწარმოების მიერ აღებუ-

[1] ჟურნ. Мировая экономика и международные отношения. 2009, 7, გვ.15.

ლი კრედიტების დახაზგრავად. გერმანიის მთავრობა ფინანსურად დაეხმარა ქვეყნის ერთერთ უმსხვილეს დაწუხებულებას Hypo Real Estate - ს. ბენილუქსის ქვეყნებმა საკუთარი ფინანსური რესურსები გაანაწილეს უმსხვილესი ბელგიური ბანკის Fortis-ის გადასარჩენად. მას შემდეგ, რაც ფინანსური კრახისა გაღრმავდა ევროპაში გადაწყდა, რომ ინდივიდუალურად განვითარებულ ქვეყნებში ღრმა რეცესია დაიწყო რეალური ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში. მთავრობათა მხარდაჭერის ობიექტად ეს სფეროებიც იქცნენ. აღნიშნული გარემოება ყველაზე რელიეფურად გამოისახა ჩვენთვის საინტერესო მრეწველობაში, რომელიც განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა მოსახლეობის მეოდენობითანაწილობის მკვეთრი დაქვეითების გამო. ასე მაგალითად, დიდი ბრიტანეთის მთავრობამ გადაწყვიტა დამატებული ღირებულების 17,5 %-დან 15%-მდე შემცირება ამ დარგის პროდუქციაზე. მსგავსი გადაწყვეტილებები იქნა მიღებული ხოგიერთ სხვა ქვეყანაშიაც. კერძო სექტორისათვის აქტიური ფინანსური მხარდაჭერა მიზნისწრაფობდა ზესახელმწიფოებრივ დონეზე. ევროკავშირის ცენტრალურმა ბანკმა დიდი ბრიტანეთის, იაპონიის, კანადის, შვეიცარიის ცენტრალურ ბანკებთან და აშშ-ს ფედერალურ სარეზერვო სისტემასთან ერთად მხარდაჭერა გამოუცხადა ფინანსურ ბაზარზე ლიკვიდურობის პრობლემის მოსაგვარებლად გამოყო 640 მლრდ აშშ დოლარი. ევროკავშირის წევრი ქვეყნების მთავრობებმა მხარდაჭერა გამოუცხადეს იმ ფინანსური ინსტიტუტებისათვის 1,3 ტრლნ ევროს გამოყოფის თაობაზე, რაზეც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ეკონომიკის, როგორც ერთიანი სისტემის, ნორმალური ფუნქციონირება.

მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ აშშ-ს პრეზიდენტი ადმინისტრაცია სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის გაძლიერებას განიხილავს არა მხოლოდ დროებით ანტიკრიზისულ მოვლენად, არამედ მას მიიჩნევს გრძელვადიან პერიოდში ფუნდამენტური ხასიათის პრობლემების გადაჭრის საშუალებად და ამ უკანასკნელს პირველხარისხოვან როლს ანიჭებს სახელმწიფოებრივი სისტემის ნორმალური ფუნქციონირების საქმეში. ბ. ობამას სტრატეგიულ გეგმაში აღნიშნულია: „ჩვენ ადამიანებს სჭირდებათ მოცემი XXI საუკუნეში სკოლების, ლაბორატორიებისა და ბიბლიოთეკების შენებლობაზე"[1]. ამერიკის ეროვნულ მეცნიერებათა

[1] О.Т. Богомолов. Роль государства в современной экономике. Кого и чему учит глобальный кризис? журн. «Международная экономика». 2009, N 7, с. 12.

გალაქტიკაში გამოსვლისას კი მან აღნიშნა: „ჩვენ დღეს შეცნიერება გვჭირდება ისე, როგორც არასდროს, ჩვენი შემდგომი კეთილდღეობისათვის, უსაფრთხოებისათვის, ჩვენი ხაარსებო გარემოს დაცვისათვის და ჩვენი ცივილიზების მაღალი ხარისხისათვის". ყოველივე ალნიშნული, ჩვენი აზრით, ნიშნავს თანამედროვე ამერიკული პოლიტიკური ისტებლიშმენტის ერთ ნაწილში ეკონომიკური ანრიღვნების პარადიგმის შეცვლას ორთოდოქსალური ხაბაზრო ფუნდამენტალიზმიდან ხოციალურად ორიენტირებული რეგულირებადი შერეული ეკონომიკური მოდელისაკენ. ბ. ობამის ადმინისტრაციის დღევანდელი კურსი შეიძლება შევადაროთ XX საუკუნის 30-იან წლებში ფდ. რუზველტის „ახალ ეკონომიკურ კურსს". რომელიც ადიდი დეპრესიის" დაძლევისა და პოსტკრიხისული განვითარების პრინციპულად ახალ დოქტრინად ჩამოყალიბდა.

მხოლოდ ცალკეებები, რათქმა უნდა, უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობს. პირიქით, იგი უდიდეს წინააღმდეგობას აწყდება ნეოკონსერვატორების და მათი იდეური მარდამჭერების მხრიდან. ამ თვალსაზრისით, ალ ანაშრაია ერთი შეხვედით ორი ურთიერთგამომრიცხავი ფაქტი. კერძოდ: აშშ-ში ფინანსური კრიზისის „მორევის შეგუბულში" ნიუ-იორკის ტუნებში გამოსნდა ობამას კარიკატურა - „ჯოკერი" ობამას სახით და წარწერით - „ხოციალიზმი". ნ. სარკოზის ჩვენს მიერ ზემოთ ციტირებული გამოხვლიდან რამდენიმე დღეში გავლენიან ჟურნალ „The Economist"-ში კარიკატურა - სარკოზი კ. მარქსის „კაპიტალით" ხელში და იგივე წარწერით - „ხოციალიზმი". თანამედროვე ლიბერალების მიერ გამოთქმის მოსაზრება, რომ ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევა შეხაძლებელია მხოლოდ კრიზისულ ხიტუაციაში, ორდინარულ ხიტუაციაში ჩარევა კი დაუშვებელია. პროფ. ვ. ზაგაშვილი ეკონომიკის რეგულირების დახაშვებად მიიჩნევს მხოლოდ ფინანსურ და არა რეალურ ხექტორში. „უცნაურია, რომ კრიზისის პერიოდში ფინანსური ბაზრების რეგულირების პრობლემა ეროვნული ეკონომიკის რეალურ ხექტორში სახელმწიფოს ჩარევის ხაბაბად იქცა"[1], აღნიშნავს იგი. ჩვენი აზრით, ეკონომიკა მთლიანი ხისტემაა და მისი ხექტორების ასეთი მკვეთრი გამოყენა, მით უმეტეს მათი ურთიერთდაპირისპირება, ხრულიად არასწორია.

[1] კურს. Мировая экономика и международные отношения. 2009, 7, с.50.

ამრიგად, გლობალური კრიზისის გამოცდილება ნათლად გვიდვენებს, რომ ხახელმწიფოს, როგორც „უკანასკნელი ინხტანციის მაშველს", ბადალი არ ძევს ექხტრემალურ ხიტუაციებში.

თანამედროვე ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლა უნდა განხორციელდეს არა ტრადიციული, არამედ პრინციპულად ახალი გზებითა და მეთოდებით. გატარებული ღონისძიებების ხახით და მიმართულება უნდა განაპირობოს მოდერნიზაციის აუცილებლობამ, რაც გულისხმობს ეკონომიკის არაეფექტიანი ბალაკების ხანაცას. გამოცდილება გვ ითვნებს, რომ კრიზისის და მისი დაძლევის პერიოდებში წარმოთშობა არსებული ნაკლებად ეფექტიანი ეკონომიკური ხტრუქტურების შეცვლის ხოციალური მოთხოვნა და ხტიმული, თუმცა ეს ცვლილებები ავტომატურად არ განხორციელდება. ხაქართველოს ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანისათვის აუცილებელია განხორციელდეს ღონისძიებათა კომპლექხი, რომელიც:

- ხაბაზრო ინხტიტუტების განმტკიცება. უპირველეს ყოვლისა, კერძო ხაკუთრების რეალური და არადეკლარირებული დაცვა. რისთვისაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ჭეშმარიტად დამოუკიდებელი ხასამართლოს ჩამოყალიბებას;
- ეკონომიკის დემონოპოლიზაცია და კონკურენტული ბიზნეს-გარემოს ჩამოყალიბება; ბიზნეხის განვითარებისათვის დაბრკოლებათა ხტრუქტურის შექმნა;
- ხელხყობასა და ბიზნეხს შორის ურთიერთობის დებიუროკრატიზაცია, „ელიტარული კორუფციის" წინააღმდეგ აქტიური ღონისძიებების გატარება, ხახელმწიფო რეგულირების აღმოფხვრა. მკაცრ და ხაშიალო ბიზნეხის დაცვა და, ზოგადად, ბიზნეხზე ხაგადახახადო წნეხის შემცირება;
- ხოციალურ ხფეროში ძირეული რეფორმების გატარება, ხოციალურად შეკირვებული ფენის მხარდაჭერა, ჯანდაცვის, ხაპენხიო ხისტემის, განათლების პრიორიტეტული განვითარება; შრომის ეითელუზებელი ბაზრის ჩამოყალიბება.

აშკარაა, რომ ზემოთდნიშნული და რიგი სხვა ღონისძიების გატარება შეუძლებელია ხახელმწიფოს აქტიური კონხტრუქციული როლის გარეშე.

ეკონომიკური კრიზისი უხახრულოდ არ გრძელდება და ეს კრიზისიც გარკვეული დროის შემდეგ დამთავრდება. ორთოდოქხი ლიბერალები, ალბათ, კვლავ გააგრძელებენ „მინიმალური ხახელმწიფოს" დოქტრინ-

საბაზრო სისტემის ეფექტიანობისა და პერსპექტივების საკითხისათვის

რევაზ ბერიშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

დასავლეთის ქვეყნებში სრულყოფილი კონკურენციის ბაზრის განვითარებისა და ფორმირების პროცესი გრძელდებოდა ახ.წლ.ეულების მანძილზე და საბოლოოდ წარმოიშინდა საბაზრო სისტემის „იდეალურ მოდელად". ასეთად ის მიჩნეულია იმის გამო, რომ მასში ბაზრის კანონები და კანონზომიერებები ვლინდება ყველაზე სრულად, რაიმე შესწორებების გარეშე. ამასთან, მან სრულად გამოავლინა თავისი პლუსები და მინუსები და ისტორიული განვითარების კვალობაზე ტრანსფორმირდა რეგულირებად ბაზრად. სწორედ ამ სახით ფუნქციონირებს ის ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ქვეყნების უმეტესობაში.

საბაზრო სისტემის ეფექტიანობა გაპირობებულია მისი ისეთი საბაზრო კომპონენტებით, როგორიცაა: 1. წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება; 2.მეწარმეობისა და ეკონომიკურ პარტნიორთა არჩევის თავისუფლება; 3. პირადი ხარჯებული; 4. სახელმწიფოს (მთავრობის) მინიმალური ჩარევა ეკონომიკაში.

ამასთან, როგორც ა. სმითს მიაჩნდა, საბაზრო ეკონომიკაში მოქმედებს „უხილავი ხელის" მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც, თავისი სამეწარმეო ორიენტაციიდან გამომდინარე, თითოეული მწარმოებელი თავისი რისკით განსაზღვრავს - რა, როგორ და ვისთვის აწარმოოს. თუმცა, მათი საქმიანობა მიზანმიმართულად კი არ არის ორიენტირებული ადრესულ (კონკრეტულ) მომხმარებელზე, არამედ ბაზარი „ამოსტერიორის" (წარმოების შემდეგ) წესით განსაზღვრავს ამ პროდუქციის სახეობრივ მნიშვნელობას.

ასათვის სიტყვის შესმას. თუმცა ეს კრიზისი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც ხელს შეუწყობს ადამიანებში განმტკიცებას მოსახრებას, რომ ეკონომიკის, განსაკუთრებით მისი ფინანსური სექტორის სახელმწიფო რეგულირება პოსტინდუსტრიული სისტემის ნორმალური ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა[1]. უკვე აშკარაა, რომ მომავალი ცვლილების რეგულირებაც, ხასიათდება ორიენტირებულ შერეულ ეკონომიკურ სისტემას, რომელიც უკვე ალარაა აშშ-ისა და ევროპის ქვეყნებში, ეს უკვე თვისებრივად „რაღაც სხვაა"[2].

Regulative Function of State in a Modern Global Financial-Economical Crisis

E. Mekvabishvili

Globalization and postindustrial stage of economical growth determines state's economical function in the developed countries. This role of state increases especially in the conditions of modern global crisis and serves as a main "antirecessionary manager" in the whole world. Article is designated to the USA and other developed countries governments undertakings against modern crisis; also is given the conclusion about crisis influence on a complex transition process from orthodoxal - liberal market economy to socially oriented regulative mixed economy.

[1] ძნელია არ დაეთანხმო ავტორიტეტულ ეკონომიკურ ჟურნალ „American Economic Review"-ში გამოთქმულ შეხედულებას. „უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე გლობალიზაცია თავისუფალი ბაზრის კაპიტალიზმის ანგლო-საქსური მოდელის გაძლიერების დემონსტრაცია. გლობალური ისტორია, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენდა ხასელმწიფოზე ბაზრის ტრიუმფს. ამჟამად მათ შორის თანაფარდობა იცვლება და არა მხოლოდ ფინანსურ სფეროში". დასახელებული ჟურნ. 2008. N-22. გვ. 76.

[2] ი. არცუნა „არამედ რაღაც სხვა"... რა ეწერება იმას, რაც ჩამეუბალად არ იქნება არც სოციალიზმი და არც „ახალბერი" კაპიტალიზმი? გაზ. „ხალხთავისუფლების რესპუბლიკა". 16 იანვარი. 2009 წ.

ა. სმითი თვლიდა, რომ ინდივიდთა განცალკევებული მოქმედებით, რაც გამოიწვევდა ფასების მექანიზმს, ყალიბდება საზოგადოებრივი წესრიგი, რისი შედეგიცაა წარმოებული პროდუქციის სტრუქტურის შესაბამისობა საზოგადოების მოთხოვნილებათა სტრუქტურასთან.

მაუხვადაც იმისა, რომ ა. სმითის შეხედულებაში „უხილავი ხელის" შესახებ ცოტა კორექტივები შეიტანა საბაზრო სისტემის რადიკალურმა ევოლუციამ ინფორმაციულ საზოგადოებაში, მწვრთნელობის თავისუფლება ის ფუნდამენტია, რომელიც აღკვეთური ძალისხმევის პირობებში უზრუნველყოფს: ა) საბაზრო სისტემის სუბიექტთა ეფექტიანი და ეკრგიელიანი მეურნეობრიობის შესაძლებლობას; ბ)არაეფექტიანი და არახალირო წარმოებისაგან თავის დაღწევას; გ) სამართლიანი ხარჯების ოპტიმიზაციას; დ) დაბოლოს, სამეურნეო საქმიანობით პირადი დაინტერესებულობის სტიმულირებას.

ამასთან, დამოუკიდებლად პირადი შესაძლებლობებისა და მცდელობისა, რაც ხელს უწყობს ბაზრის სუბიექტთა ქმედებებს, შეიძლება გამოვყოთ ობიექტური ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავს საბაზრო სისტემაში ურთიერთკავშირის ხასიათს. მას უწინარესად მიეკუთვნება ინფორმაცია – სიგნალი საბაზრო სიტუაციის შესახებ, რაც ბაზრის სუბიექტებს აღკვეთური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას აძლევს.

ჟ. ტიროლი თავის ფუნდამენტურ ნაშრომში - „ბაზარი და საბაზრო ძალაუფლება", ინფორმაციას უკავშირებს საბაზრო სისტემის სამ უმნიშვნელოვანეს პარამეტრს: 1. ინფორმაცია და ხარისხი; 2. ინფორმაცია და კონკურენცია; 3. ინფორმაცია და დანახარჯები. ასეთი ინფორმაცია საქონელთა გამყიდველებისა და მყიდველების ინტერესების, ხარისხისა და დანახარჯების, დანახარჯებისა და ფასების და ა.შ.[1] ინტეგრირების ფაქტორებია, რის საფუძველზეც ყალიბდება და ფუნქციონირებს საბაზრო სისტემა, თავისი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტებითა და დეფექტებით.

კონკურენტული ბაზრის სოციალური ეფექტი, სოციალური საბაზრო მეურნეობის კონცეფციის ერთ-ერთი შემქმნელის – ა. მიულერ-არმაკის ხატოვანი გამოთქმით, ეფექტიანის ეწვევდა გაკეთრების, რაც გამოწვეულია ბაზრის მექანიზმის უნარით, რომელიც თავისი ნეიტრალურია სოციალური ფასეულობებისადმი, მაგრამ ხელს ეწყობა განცალკევებული ეკონომიკური სუბიექტების კეთილდღეობის ზრდას.[1]

ასეთი მიდგომა შესაძლებლობას გვაძლევს ბაზრის სოციალური ეფექტი განვიხილოთ როგორც ბაზარზე მექანიზმის ფუნქციონირების თანმდევი შედეგი, რომელიც განურჩეველია ეთიკური ნორმებისადმი, რაცა ეკონომიკური სუბიექტები გამოხატული არიან ერთ შედეგზე (პირადი სარგებლობა), ურთიერთმოქმედების შედეგად დებულობენ უფრო გაფართოებულ და წონად შედეგს – არა მხოლოდ პირადი, არამედ საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდის სახით. ე.ი. კონკურენტული ბაზრის სინერგიული (ურთიერთმოქმედი, შეთანხმებულად მოქმედი) ეფექტი, რის შედეგადაც განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში მოსახლეობის კეთილდღეობამ მიაღწია მაღალ დონეს, აისახება ბაზრის უნარით ისე გაანაწილოს შეზღუდული ეკონომიკური რესურსები, რომ მინიმალური დანახარჯებით მიღებულ იქნეს მაქსიმალური შედეგი. რესურსების ასეთი განაწილების შედეგად მიიღწევა ბაზრის სოციალური ეფექტიანობა მოსპარებაში.

აქედან გამომდინარე, ბევრი მკვლევარ-ეკონომისტი ამტკიცებს, რომ თუნდაც მხოლოდ ამის გამო საბაზრო ეკონომიკა უნდა დახასიათდეს როგორც სოციალური, რომ მისი კონკურენტული მექანიზმი ორიენტირებულია ადამიანთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე.

მიგვანია, რომ ეს, ცოტა არ იყოს, გაზვიადებული დასკვნაა. საქმე ისაა, რომ კოორდინაციის საბაზრო პროცესს ინდივიდუალური (და არა ეგოისტური) ინტერესები დაყავს საზოგადოებრივზე. სოციალურად სასურველ შედეგებზე არა ავტომატურად, არამედ მხოლოდ მაშინ, თუ:

1. ბაზარი უზრუნველყოფს ყველა ინდივიდისათვის, გამონაკლისის გარეშე, ერთიანი ეკონომიკური სივრცის ხელმისაწვდომობას;

2. ეკონომიკურ სუბიექტებს შორის ურთიერთობები არ მოითხოვს დამატებით დანახარჯებს ურთიერთკავშირის დასამყარებლად და გაცვლის განსახორციელებლად;

[1] Тироль Ж. Рынок и рыночная власть. Перевод с англ. СПБ. 1996. с. 83.

[1] Мюллер-Армак А. Принципы социального рыночно хозяйства. В книге: Социальное рыночное хозяйство. СПб, с.269.

3. თავისუფალი ბაბახრო ფასები ჭრის მალალეფექტიან, თვითრეგულირებად საინფორმაციო გარემოს, რომელზეც ყველა ინდივიდს თანაბრად მიეწვდება ხელი ნულოვანი დანახარჯებით;

4. არ არსებობს უარყოფითი გარეგანი ფაქტორები და ა.შ.

რა თქმა უნდა, ბაზრის ფუნქციონირების ასეთი იდეალური პირობები არ არსებობს და არც მისი მექანიზმი შეიძლება დახასიათდეს როგორც „სოციალურად ორიენტირებული".

რეალურ სინამდვილეში, ბაბახრო მექანიზმი მეურნეობის ორგანიზაციის ისეთი ფორმაა, რომლითაც ეკონომიკის ძირითადი პრობლემების (რა, როგორ, ვისთვის) რეალიზაციის მიზნით, მოქმედებენ და მწარმოებლები ერთმანეთზე ზემოქმედებენ და თავიანთი პირადი ინტერესებისათვის ხელსაყრელ გადაწყვეტილებებს იღებენ. ბაბილონი ანგარიშით, ასეთი ოპტიმალური გადაწყვეტები მოლიანად ბაზოგადებისთვისაც ხასარგებლოა. ამის საფუძველია ის, რომ ბაბახრო ეკონომიკა არის კონკურენციისა და ფასების სისტემის მეშვეობით ეკონომიკური სუბიექტების ქცევათა კოორდინაციის შედეგად გამოყენების მექანიზმი.

ეკონომიკური სისტემის დღემდის ცნობილ ტიპებთან შედარებით, ბაბახრო სისტემას ახასიათებს რიგი უპირატესობა. როგორიცაა:

- წარმოების ეფექტიანობის უწყვეტი სტიმულირება: ყველაზე ეფექტიანი ტექნოლოგიის გამოყენებით იწარმოება ის, რასაც მომხმარებლები მოითხოვენ;

- ბაბახრო სისტემა ფუნქციონირებს და კონკურენციულია ავტომატურად – ინდივიდუალური, დეცენტრალიზებული გადაწყვეტილებების მეშვეობით და არა - მთავრობის ცენტრალიზებული გადაწყვეტილებებით; ე.ი. ბაზარი ეჩვარება მწარმოებლებისა და მომხმარებლების არჩევანის თავისუფლებას;

- უზრუნველყოფილია ფირმათა შორის კონკურენცია, რაც აიძულებს მათ მიაღწიონ წარმოების მაღალ ეფექტიანობას, რათა ბაზრიდან არ იქნენ გამოძევებული. ამის საფუძველი კი შეცვლილი პირობებისადმი მათი მაღალი ადაპტურობაა;

- სისტემის მართვა არ საჭიროებს დიდ აპარატს და შეხაბამისად – მაღალ დანახარჯებს;

- სისტემა დიდ უფლებებს ანიჭებს მომხმარებლებს: ის ფირმები მაჯავრობენ, რომლებიც მომხმარებლებს აწვდიან მათთვის არასრულ საქონელს, ე.ი. ბაზარს გააჩნია ადამიანთა სხვადასხვა მოთხოვნილებების სწრაფად და ეფექტიანად დაკმაყოფილების შესაძლებლობა;

- ბაზრის თვითრეგულირებადი მექანიზმის ფუნქციონირების ღირებულება, რაც მოთხოვნის საფუძველზე წარმოების კაპიტალდაბანდების ორიენტირებს;

- ბაზარი ეკონომიკურ რესურსებს ანაწილებს ეფექტიანად – რესურსებს წარმართავს უწინარესად იმ საქონლისა წარმოებაზე, რომლებიც მოთხოვნით სარეგებლობენ, რაც გულისხმობს ფირმის კუთვნილი რესურსების რაციონალური გამოყენებით წარმოების მაქსიმალურ ეფექტიანობას;

- ბაბახრო მექანიზმი ქმნის სტიმულების ძლიერ სისტემას მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევათა ფართოდ გამოყენებისათვის: მოგების გამოდევნებული მწარმოებლები წარმოებაში ნერგავენ მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებს, რაც კონკურენციის მექანიზმის მეშვეობით უწყვეტი და შეუქცევადი პროცესია;

- ბაბახრო სისტემის მექანიზმს მინიმუმამდე დაჰყავს მოხაელისმის შესაძლებლობები თუ ტენდენციები;

- ბაბახრო სისტემის სუბიექტები მაქსიმალურად ფლობენ მათთვის საჭირო ინფორმაციებს მიწოდებისა და მოთხოვნის, ფასების, მოგების ნორმის, შრომისა და კაპიტალის ბაზრებზე სიტუაციის, ქვეყანაში ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის შესახებ;

- ბაბახრო ეკონომიკა უდეფიციტო ეკონომიკაა – ბაბახრო მექანიზმი, როგორც წესი, ყველა სიტუაციაში უზრუნველყოფს მოთხოვნისა და მიწოდების წონასწორობას.

[3] იხ. საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №23 "ხელფასთან და უმუშევრობის შემწეობის დანიშნისა და გაცემის წესის შესახებ".2002წლის 25 იანვარი; საქართველოს პარლამენტის დადგენილება №1489 "დასაქმების კერძო სააგენტოების შესახებ". კონვენციის რატიფიცირების თაობაზე. 2002წლის 7 ივნისი; საქართველოს პარლამენტის დადგენილება №1488 "დასაქმების სამსახურის ორგანიზების შესახებ" კონვენციის რატიფიცირების თაობაზე", 2002წლის 7 ივნისი.

იქნა რიგი კანონები[1]. 2005 წლის აპრილიდან ამოქმედდა ცვლილებები საგადასახადო კოდექსში, რომლის თანახმად, ინდივიდუალური მეწარმეები, რომელთა წლიური ბრუნვა არ აღემატება 30 000 ლარს, გათავისუფლებულნი არიან მოგების გადასახადის გადახდისაგან. ამ ცვლილებების ძალაში შესვლის შედეგად, 2005 წლის 1 ივლისიდან, 2006 წლის 1 იანვრამდე პერიოდში, 12 000 ლარამდე ბრუნვის მქონე 30 000-ზე მეტი ინდივიდუალური მეწარმე გათავისუფლდა მოგების გადასახადის გადახდისაგან. ამ ცვლილებების ამოქმედებამდე, 2005 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე პერიოდში, მოგების გადასახადის გადამხდელთა რაოდენობა 2 ჯერ აღემატებოდა ამ ცვლილებების ამოქმედების შემდგომ პერიოდში მოგების გადასახადის გადამხდელთა რაოდენობას.

2005 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდა ცვლილებები, რომლის თანახმად, ინდივიდუალური მეწარმეები, რომელთა წლიური ბრუნვა არ აღემატება 100 000 ლარს, გათავისუფლებულნი არიან დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდისაგან. ამ ცვლილებების ამოქმედებამდე, 2005 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე პერიოდში, დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელთა რაოდენობა 2 ჯერ აღემატებოდა ამ ცვლილებების ამოქმედების შემდგომ პერიოდში დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელთა რაოდენობას.

2005 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდა ცვლილებები, რომლის თანახმად, ინდივიდუალური მეწარმეები, რომელთა წლიური ბრუნვა არ აღემატება 100 000 ლარს, გათავისუფლებულნი არიან საშემოსავლო გადასახადის გადახდისაგან. ამ ცვლილებების ამოქმედებამდე, 2005 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე პერიოდში, საშემოსავლო გადასახადის გადამხდელთა რაოდენობა 2 ჯერ აღემატებოდა ამ ცვლილებების ამოქმედების შემდგომ პერიოდში საშემოსავლო

წვაუხი სოციალურ-ეკონომიკური მიღწევა და ფენომენი, რომელიც ნათლად ახასიათებს ცალკეული ქვეყნის განვითარების საკითხებს. ჩვენი გაანგარიშებით, უმუშევრობით გამოწვეულმა ეკონომიკურმა დანაკარგებმა 2008 წლის განმავლობაში, ქვეყნის მასშტაბით მინიმუმ 5007.2 მლნ ლარი შეადგინა, რაც მშპ-ის (19075.0 მლნ ლარი) 26.25% და ქვეყნის 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის (6578.2 მლნ ლარი შემოსავლების ნაწილში) 76.12%-ია[1].

უმუშევრობასთან ერთად სიღარიბის განმაპირობებელი მთავარი მიზეზებია:

- არაფორმალური დასაქმება;
- შრომის ანაზღაურების დაბალი დონე და სალაროსის ძირითადი ფუნქციების შესუსტება;
- ქვეყანაში სოციალური დაცვისა და უზრუნველყოფის სისტემის გარეშეთარებლობა.

შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის (იხ.სქემა 2) და მისი ფორმირების ეტაპების ანალიზიდან გამომდინარე გამოიკვეთა სხვა რიგი მნიშვნელოვანი დასკვნები:

- რეორგანიზაციის მთელი პერიოდის განმავლობაში დასაქმების სახელმწიფო სამსახურების საქმიანობა ძირითადად შემოიფარგლებოდა შრომის ბაზარზე პასიური პოლიტიკის გატარებით და მასობრივი უმუშევრობის დასაძლევად რეალური, ქმედითი ღონისძიებები ვერ განხორციელდა–ფაქტობრივად ვერ ტარდებოდა დასაქმების აქტიური პოლიტიკა. დაბალი იყო დასაქმების ხელშეწყობილი ბული პროგრამების ეფექტიანობა;
- პრაქტიკულად არ არსებობს შრომის ბაზრის კვლევის, ანალიზის და პროგნოზირების მექანიზმი;
- არადამაკმაყოფილებელია საქართველოს შრომის ბაზრის საინფორმაციო ინფრასტრუქტურა, რაც გამოიხატება შრომის ბაზრის

[1]გაანგარიშებულია: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, სტატისტიკის დეპარტამენტი, თბილისი, 2009წ. www.statistics.ge; წერეთელი გ.,ბიბილაშვილი ნ.,უმუშევრობა პოსტკომუნისტურ ქვეყნებში და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგების განსაზღვრის მეთოდიკური საფუძვლები, საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში. სამეცნიერო შრომების კრებული, ტომი II. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 2002წ. გვ 27-40.

ერთიანი საინფორმაციო სისტემის არარსებობაში და საინფორმაციო ასიმეტრიაში;

- სუსტი კავშირების არსებობა დასაქმების ცენტრალურ და რეგიონულ სამსახურებს შორის, რაც ინფორმაციის ურთიერთგაცვლის სისტემის არარსებობაში გამოიხატება, შედეგად ნამოყალიბდა არაინტეგრირებული, ლოკალური შრომის ბაზარი,რომელიც იმყოფება განვითარების პროცესში. ყოველთვის უფრო დაბალი იყო დასაქმების რეგიონულ ცენტრალური, ისე რეგიონული სამსახურების ტექნიკური აღჭურვილობის დონე.

შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის ღრმა ანალიზი საშუალებას გვაძლებს დავასკვნათ, რომ იგი ჯერ კიდევ ფორმირების სტადიაშია და ვერ ახორციელებს თავის ძირითად ფუნქციას. კერძოდ: ქმედითად ხელს ვერ უწყობს მოსახლეობის შრომით მოწყობას, პროფესიულ ორიენტაციას, პროფესიულ მომზადება–გადამზადებას, შესაბამისობის მიღწევას სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის, კონტაქტის უზრუნველყოფას დამქირავებლებსა და მომუშავეებს შორის, სხვადასხვა ორგანოების საქმიანობის კოორდინაციას, ხაბოლოო ჯამში ეფექტიანი დასაქმების მიღწევას.

თანამედროვე ეტაპზე ეროვნული შრომის ბაზრის მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ სამუშაო ძალაზე მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობიდან გამომდინარე, ჭარბობს **კონიუნქტურის შერეული ტიპი**. კერძოდ, მახობრივი, ქრონიკული უმუშევრობის პირობებში ადგილი აქვს გარკვეული პროფესიისა და კვალიფიკაციის მქონე სამუშაო ძალის დეფიციტს, რაც განპირობებულია პროფესიული კადრებისა და სპეციალისტების მომზადება-გადამზადების სათანადო სისტემის არარსებობით. ამას თან დაერთო ისიც, რომ ქვეყანაში ფაქტობრივად ნამოყალიბდა ნაკლებად შრომის ბაზარი, სადაც დამქირავებლები დამოუკიდებლად, დასაქმების სამსახურების გვერდის ავლით წყვეტენ კადრების დაქირავების საკითხს. აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტა მოითხოვს მუშათა კადრებსა და სპეციალისტებზე ეკონომიკის მხრიდან მოთხოვნის განსაზღვრის და საერთოდ შრომის ბაზრის ანალიზისა და მონიტორინგის სათანადო მეთოდიკის შემუშავებას.


შრომის ბაზრის ელემენტებისა და განსაკუთრებით საქართველოს მოსახლეობის დახარჯების კომპლექსური ანალიზის შედეგად გამოვლინდა აღნიშნულ სფეროში არსებული მდგომარეობა და გამოიკვეთა რიგი ტენდენციებისა:

- დახარჯებულთა სულიერი ზრდა თვითდახარჯებულთა ხვედრითი წონის გადიდებით, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში;
- ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის დახარჯება არასრული სამუშაო დროით;
- ფარული უმუშევრობისა და არაფორმალური დახარჯების დიდი მასშტაბები;
- მოსახლეობის მაღალი ეკონომიკური აქტივობის პირობებში დახარჯების დაბალი დონე **(იხ. ცხრილი 2)**;
- არაპროფესიული შრომით დახარჯება, პროფესიონალი კადრების გადადინება ხსვა სფეროში, მათი დაკავება არაპროფესიული შრომით, რაც გამოწვეულია შრომის ანაზღაურების დაბალი დონითა და სამუშაო ადგილების დეფიციტით;
- მომუშავეთა პროფესიულ-კვალიფიკაციური სტრუქტურის გაუარესება, მუშათა კადრებისა და სპეციალისტების მომზადება-გადამზადების ორგანიზაციის დაბალი დონე, რაც შესაბამისად ასახა შრომის ბაზრის კონიუნქტურაზე;
- მეორადი დახარჯების დიდი მასშტაბები, არასრული სამუშაო დროით მუშაობა, მისწრაფება შრომის მიმდინარე ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლებისაკენ;
- მოსახლეობის უმრავლესობის პროფესიის მისწყვეთ დაუხარჯებლობა, რის გამოც დიდია დისბალანსი მომუშავეისა და სამუშაოს თანრიგს, კვალიფიკაციას შორის.

შრომის ბაზრის ფორმირების პროცესში დახარჯების თავისებურებების სისრმისუნულად შესწავლის მიზნით გაანალიზებულ იქნა დახარჯების დონის ურთიერთკავშირი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მახასიათებელ მაკროეკონომიკურ მანვენებლებთან. კერძოდ, მთლიანი შიგა პროდუქტის, დახარჯების დონისა და შრომის მწარმოებლურობის დინამიკა გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა.

შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის ძირითადი ელემენტები და მასა და გარე კავშირები მათ შორის

სქემა 2



საქართველოს შრომის ბაზრის თანამედროვე მდგომარეობის მახასიათებელი მაჩვენებლების დინამიკა 1998-2008 წლებში[1]

ცხრილი 3

მაჩვენებლები			1998	2005	2006	2007	2008
15 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობა (ათასი კაცი)			3016.7	3159.9	3169.8	3103.8	3062.9
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა-სამუშაო ძალა (ათასი კაცი)			1972.8	2023.9	2021.8	1965.3	1917.8
მათ შორის:	დასაქმებული		1728.5	1744.6	1747.3	1704.3	1601.9
	მათ შორის:	დაქირავებული	724.4	600.5	603.9	625.4	572.4
		თვითდასაქმებული	987.1	1143.3	1141.6	1078.8	1028.5
		გაურკვეველი	17.0	0.8	1.8	0.1	1.1
	უმუშევარი		244.2	279.3	274.5	261.0	315.8
უმუშევრობის დონე (%)			12.4%	13.8%	13.6%	13.3%	16.5%
ეკონომიკური აქტიურობის დონე (%)			65.4%	64.0%	62.2%	63.3%	62.6%
დასაქმების დონე (%)			57.3%	55.2%	53.8%	54.9%	52.3%
საშუალოთვიური ხელფასი (ლარი)			55.4	204.4	277.9	368.1	534.9

საუბარია მასზე, რომ ეკონომიკური ზრდის ტემპები პირდაპირ ასახა დასაქმების მდგომარეობასა და შრომის მწარმოებლურობაზე. 1996 წელს ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის მიუხედავად, დასაქმების დონე მცირდება 2,4%-ით. ანალოგიური მდგომარეობაა 2003, 2004, 2005, 2006 და 2008 წლებში. იქმნება შთაბეჭდილება, რომ 2000-2008 წლებში ეკონომიკური ზრდა უზრუნველყოფილია შრომის მწარმოებლურობის ზრდის ხარჯზე, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით ერთვნული ეკონომიკის ბევრ მნიშვნელოვან დარგზე. ასე მაგალითად, შრომის მწარმოებლურობის დაცემა და არაეფექტიანი დასაქმება განსაკუთრებით თვალშისაცემია საქართველოსათვის ტრადიციულ დარგში – სოფლის მეურნეობაში, რომ არაფერი ითქვას, მრეწველობაზე (იხ. ცხრილი 4).

[1]საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საკუთარი დაწესებულება სტატისტიკის დეპარტამენტი. 2009წ. www.statistics.ge.

სოფლის მეურნეობაში მოსახლეობის დასაქმების დონისა და მთლიანი შიგა პროდუქტის ურთიერთშესაბამისობის დინამიკა 1990-2008 წლებში[1]

ცხრილი 4

წლები	სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობა		პროდუქციის წარმოება	
	ათასი კაცი	%-ობით	აბსოლუტური	%-ობით შშპ-ის მიმართ
1990	695.0	25.2	4454.0 მლნ მანეთი	29.8%
2000	910.0	52.1	1197.0 მლნ ლარი	20.1%
2002	989.0	53.8	1436.4 მლნ ლარი	20.6%
2004	962.0	53.9	1589.7 მლნ ლარი	16.2%
2006	1132.2	64.8	1544.3 მლნ ლარი	11.2%
2007	1065.8	62.5	1562.7 მლნ ლარი	9.2%
2008	1012.7	63.2	1551.1 მლნ ლარი	8.13%

1990 წლის ჩათვლით სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო 695.0 ათასი კაცი (საერთო დასაქმებულთა – 25,2%), რომლებიც აწარმოებდა შშპ-ს 29,8%-ს, რაც შეადგენდა 4454,0 მლნ მანეთს. 2008 წელს კი მთლიანად ეკონომიკაში დასაქმებული 1601.9 ათასი კაციდან სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო 1012.7 ათასი კაცი, ანუ 63.2%, რომელმაც აწარმოა შშპ-ის მხოლოდ 8.13%. მაშასადამე, თუ 2008 წელს 1990 წელთან შედარებით სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა ხვედრითი წონა გაიზარდა 25,2%-დან 63.2%-მდე, მთლიანი შიგა პროდუქტის საერთო მოცულობაში სოფლის მეურნეობის მიერ წარმოებული პროდუქციის ხვედრითი წონა 29.8%-დან 8.13%-მდე შემცირდა. აღნიშნულიდან გამომდინარე საინტერესოა დასაქმებულთა სტრუქტურის გარკვევაც (იხ. ცხრილი 5).

[1]გაანგარიშებულია: საქართველოს მოსახლეობის დასაქმება. სტატისტიკური კრებული, ნაწილი II. თბილისი, 1991 წ., გვ. 8-9. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ეროვნული ანგარიშებისა და მაკროეკონომიკური ანალიზის განყოფილების მონაცემები. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საკუთრების დეპარტამენტი. თბილისი, 2009წ. www.statistics.ge.

საქართველოს მოსახლეობის დასაქმების სტრუქტურა სტატუსის მიხედვით 2008 წელს სულ ეკონომიკაში და სოფლის მეურნეობაში (ათასი კაცი)

ცხრილი 5

დასაქმების სტატუსი	სულ ეკონომიკაში		მათ შორის სოფლის მეურნეობაში	
	ათს.	%	ათს.	%
დასაქმებული	1601.9	100.0	1012.7	63.2
დაქირავებული	572.4	100.0	163.7	28.6
თვითდასაქმებული	**1028.5**	**100.0**	**848.3**	**82.5**
დასაქმებული	1601.9	100.0	1012.7	100.0
დაქირავებული	572.4	35.7	163.7	16.2
თვითდასაქმებული	1028.5	64.2	848.3	83.3

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, სულ ეკონომიკაში დასაქმებული მოსახლეობის 64.2% თვითდასაქმებულია, ხოლო რაც შეეხება სოფლის მეურნეობას, აქ დასაქმებული მოსახლეობის 83.3%-ია თვითდასაქმებული. ამ უკანასკნელთა უდიდესი ნაწილი (დაახლოებით 80.0% და მეტი) ოჯახურ მეურნეობაში, საკუთარ მამულში ან ახლობლებისათვის უსახელფასოდ დამსმარე პირებია.

ფორმირების პროცესში მყოფი ეროვნული შრომის ბაზრის თავისებურებებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა არაფორმალური დასაქმების ზრდა როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორში. მასში აქტიურად არის ჩაბმული მოსახლეობის თითქმის ყველა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფი. თუმცა რამდენადმე განსხვავებულია არაფორმალურ საქმიანობაში მათი მონაწილეობის მიერთი ხაოხსნა. საშუალებების მოპოვება, ცალკეულ შემთხვევებში კი სწრაფვა დამოუკიდებლობისა და პროფესიული შრომითი დასაქმებისაკენ, შრომის მოქნილი რეჟიმისაკენ, სალიდური შემოსავლის მიღებისაკენ და სხვა. არაფორმალური დასაქმების თავისებურებებისა და მიზეზების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ დასაქმებულთა დიდი ნაწილისათვის არაფორმალური დასაქმება ფიზიკური არსებობის შენარჩუნების

საშუალებას წარმოადგენს, აყურხებს მოსახლეობის ცხოვრების დონის უფრო მკვეთრად დაცემას და უმუშევრობის ზრდას. ამიტომ, არაფორმალური დასაქმების დადებით მხარეებზე საუბარი მიზანშეწონილია მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში სახელმწიფომ ორიენტაცია უნდა აიღოს მის ლეგალიზაციასა და მინიმუმამდე შემცირებაზე, რაც საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია და სახელმწიფოს მხრიდან მოითხოვს კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიებების გატარებას.

სხვა უარყოფით მოვლენებთან ერთად, რომელმა სოციალურ-ეკონომიკურმა პირობებმა, თავის მხრივ, მოსახლეობის იძულებითი მიგრაცია გამოიწვია, რამაც მასობრივი, უპრეცედენტო სახითა მიიღო. ქართველ სპეციალისტთა შეფასებით, დღეს ქვეყნის გარეთ ემიგრაციაში მყოფი მოსახლეობის რაოდენობა ერთ მილიონს აღემატება და შესაბამისად მიგრაციის უარყოფითმა სალდომ 1990-1996 წლებში 1006.3 ათასი კაცი შეადგინა[1]. ეს პროცესი ამჟამადაც მიმდინარეობს ყოველგვარი რეგულირებისა და კონტროლის გარეშე და მნიშვნელოვნად აუარესებს ქვეყნის შრომით პოტენციალს, რამდენადაც ემიგრანტთა უმრავლესობა შრომისუნარიანი, საშუალო ასაკის, მაღალკვალიფიციური სპეციალისტია.

ჩვენი მსჯელობიდან და ანალიზიდან გამომდინარე, დღევანდელ ეტაპზე ეროვნული შრომის ბაზრისათვის ნიშანდობლივია:

- შრომის ბაზრის ბუნების ადეკვატური ინფრასტრუქტურის არარსებობა;
- არაეფექტიანი დასაქმება და დასაქმების არარაციონალური სტრუქტურა;
- სამუშაო ძალის ჭარბი მიწოდება მასზე მოთხოვნის შეზღუდულობის პირობებში;
- უმუშევრობის მაღალი დონე, ხანგრძლივი, ქრონიკული უმუშევრობის არსებობა;
- სამუშაო ძალის მიწოდებასა და მასზე მოთხოვნის სტრუქტურის შეუსაბამობა;
- შრომის ანაზღაურებისა და სტიმულირების ეფექტიანი სისტე-

[1] *Б.Н. Кутелия, Г.Г. Меладзе, Г.Е. Цуладзе. Эмиграция из грузии в постсоветский период. Массовые опросы, эксперименты, монографические исследования, с. 3-7. http://www. nir.ru, 2001г.*

მის არარსებობა, ხელფასის დაბალი დონე, მოსახლეობის რეალური შემოსავლების სიმცირე;

- შრომითი ემიგრაციის დიდი მასშტაბები;
- შრომის ბაზრის მდგომარეობის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის არარსებობა;
- კადრების მომზადებისა და გადამზადების სათანადო პროფესიული სისტემის არარსებობა;
- არაფორმალური დასაქმების დიდი მასშტაბები;
- ფარული უმუშევრობის, არასრული და არასრულფასოვანი დასაქმების მასშტაბების ზრდა;
- ახალგაზრდებისა და ქალთა შრომითი მოწყობის სირთულეები;
- დასაქმებისა და სოციალურ-შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელი არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა;
- მთლიანად ეროვნულ მეურნეობასა და განსაკუთრებით ხოფლის მეურნეობაში შრომის მწარმოებლურობის უკიდურესად დაბალი დონე.

საქართველოში თანამედროვე, ცივილიზებული შრომის ბაზრის ფორმირება მოითხოვს სოციალურ-შრომითი ურთიერთობების სფეროში რიგი გადაუდებელი ღონისძიებების გატარებას. სახელდობრ, საჭიროა:

1.შრომის ბაზრის ინსტიტუტებისა და მისი ადეკვატური ინფრასტრუქტურის, ეფექტიანად მოქმედი დასაქმების სამსახურის შექმნა და განვითარება. სწორედ შრომის ბაზრის თანამედროვე ინფრასტრუქტურამ უნდა შექმნას მისი ეფექტიანად ფუნქციონირების აუცილებელი პირობები, ხელი შეუწყოს მოთხოვნისა და მიწოდების შორის ბალანსის მიღწევას. შრომის ბაზრის განვითარების ხარისხი, მისი ცივილიზებულობა დამოკიდებულია არა მარტო იმაზე, თუ რამდენადაა ჩამოყალიბებული მისი ინფრასტრუქტურა, არამედ იმაზეც, თუ როგორ ახორციელებს იგი თავის ძირითად ფუნქციებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, უპირველესად აუცილებელია შრომის ბაზრის ერთიანი საინფორმაციო სისტემის ფორმირება.

2.დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის კარდინალური ცვლილება. <u>დასაქმების პოლიტიკა</u> – უნდა გახდეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ხერხემლის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი და იგი ფორმალურ სახეთან კი არ უნდა აბარებდეს, არამედ მიმართული უნდა იყოს ადამიანის პირადი ინტერესების რეალიზაციისაკენ, მოსახლეობის კეთილდღეობისა და განვითარებისაკენ, სოციალური პროგრესისაკენ. მხოლოდ მასშტაბით გამოკვლეულია და ცნობილია სოციალური სტრატეგიის ძირითადი პრინციპები:

- შრომითი მორალი და საქმიანი ეთიკა, პიროვნული და საზოგადოებრივი ინტერესების შერწყმა, შრომისა და საკუთრების მჭიდრო კავშირი;
- მინიმალური სახელფასო სოციალური სტანდარტების (ნორმების) დაწესება;
- სოციალური პროგრამების მონიტორინგი და ცალკეული სოციალური მანკვნებლების ანალიზის გაძლიერება, იმ მანკვნებელთა გამოყოფით, რომლებიც იწვევენ სოციალურად ფეთქებად სიტუაციას.

ქვეყნის მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმებისათვის აუცილებელია მისი ძირითადი მოტივისა და სოციალური შინაარსის გათვალისწინება. კერძოდ, ეფექტიანმა დასაქმებამ უნდა უზრუნველყოს:

- შრომის კონსტიტუციური უფლების რეალიზაცია;
- ცხოვრების მაღალი დონე და ღირსეული არსებობის პირობები;
- მაღალეფექტიანი, მაღალმწარმოებლური შრომის სტიმული სათანადო ანაზღაურების საფუძველზე;
- სამუშაო ძალის, ადამიან-კაპიტალის ნორმალური აღწარმოება, მისი პროფესიულ-კვალიფიკაციური და საგანმანათლებლო პოტენციალის (ცოდნის) მუდმივი განახლება, პიროვნების, ადამიან-კაპიტალის განვითარების სტიმულირება;
- საკუთარი თავის მნიშვნელობის, ღირსების შეგრძნება, აღიარება.

3.შრომის ბაზრის ანალიზის, პროგნოზირების, კვლევისა და მონიტორინგის მეთოდიკის შემუშავება. შრომის ბაზრის, მოსახლეობის დასაქმების, უმუშევრობის და საერთოდ სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მართვის მექანიზმის შემუშავება;

4.ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის, დასაქმებისა და უმუშევრობის აღრიცხვის სისტემის მოწესრიგება, მით უმეტეს, რომ მოქმედი საერთაშორისო მეთოდოლოგია ზოგიერთ ასპექტში არ შეესაბამება ქვეყნის სტატისტიკას;

5.ქვეყნის მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია დასაქმების აქტიური პოლიტიკის გატარება, დასაქმების სახელმწიფო და რეგიონული პროგრამების შესრულების მკაცრი კონტროლის, ანალიზისა და მონიტორინგის განხორციელება.

სრულყოფილი, ცივილიზებული შრომის ბაზრის ფორმირებისა და დასაქმების რეგულირების ეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისათვის საჭირო იქნება: ბაზრის თვითრეგულირებისა და სახელმწიფო რეგულირების მექანიზმის ოპტიმალური შეხამება შრომის ბაზრის რეგულირების პოლიტიკასთან. უმუშევრობისა და დასაქმების პრობლემები აქვანილ უნდა იქნეს სახელმწიფო პოლიტიკის რანგში. მხოლოდ ასე შეიძლება ქვეყანაში სიღარიბის დაძლევა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება.

Global Crisis: Labour Market and Poverty in Georgia

M. Tsartsidze

Poverty reduction and raising standards of living still remain one of the most challenging tasks. Then problem become more active in the global financial and economic crisis. The main reasons causing poverty are the factors, like unemployment, low level of income of the population, undeveloped social protection system. Unemployment is considered as the toughest social-economic case, which clearly describes the trends of country's development. This problem is particularly vigorous for Georgia, as the social and economic waste is mostly derived from unemployment.

Forming the labour market and its relevant infrastructure can play significant role in reducing poverty. Normally functioning labour market should become the supporter of effective employment generation, the basis of improving labour activity and generally increase standards of living. On the other side, labour market formation and functioning is affected by economic and political situation in the country, economic growth rates and other macroeconomic factors.

Accordingly, the paper presents an overview of the main mechanisms through which the crisis is impacting the labour market. It analyzes of labour market elements and the factors affecting it. The research of current condition of the labor market infrastructure and poverty problem are particularly emphasized. Based on the study, the conclusions are stated towards poverty and unemployment reduction, directions for effective employment.

თანამედროვე გლობალური ეკონომიკური კრიზისი: მიზეზები, შედეგები, პერსპექტივები

მალხაზ ციქოძაჯა
ოსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი

ანალიტიკოსთა უმრავლესობა, რომლებიც 2007 წლის ბოლოსთვის უარყოფდნენ კრიზისის ალბათობას, დღეისთვის მსოფლიო ეკონომიკაში ნეგატიურ პროცესებს სხვას,როგორც აშშ-ში ობოთქული კრიზისის შედეგს. ნეოლიბერალურ ეკონომისტთა აზრით, თანამედროვე კრიზისი, უბრალოდ, მთელი რიგი კომპანიების ხელმძღვანელთა კოლექტიური შეცდომებითაა გამოწვეული და დასრულდება ფინანსურ სფეროში სიტუაციის გაუმჯობესებისთანავე. ანალოგიურ პოზიციას ემხრობა პრაქტიკულად ყველა ქვეყნის მთავრობა. რაც შეეხება საქართველოს ხელისუფლებას, მან არავრთხელ გამოხატა რწმენა იმისა, რომ ფინანსური კრიზისი არ შეეხებოდა საქართველოს, პირიქით, იმპორტულ საქონელზე, განსაკუთრებით უნერგომატარებლებზე ფასების ვარდნის გამო, მას მოახდენდა დადებით ზეგავლენას. მაგრამ, გლობალური კრიზისის წარმოშობის განხილვისას აშკარად ჩანს, თუ რაოდენ ზედაპირულია მსგავსი განცხადებები.

2007 წლის განმავლობაში პრაქტიკულად მსოფლიოს ყველა ბირჟაზე შეიმჩნეოდა წაჩქარი კორპორაციების აქციების კურსის ზრდა. აშშ-ს აქციების ბაზარმა, რომელიც უმსხვილესი და ყველაზე მნიშვნელოვანია მსოფლიოში, მხოლოდ 2007 წლის ბოლოსთვის გამოავლინა ობოთქული კრიზისის ნიშნები. აქტიური ზრდა დაფიქსირდა გერმანულ საფონდო ბაზარზე - DAX-ის ინდექსმა ანგარიშვალდებულ შედეგი — 22%-იანი ზრდა. ბრიტანული აქციები გაიზარდა 3,8%-ით, ფრანგული – 1,3%-ით[1]. რუსული საფონდო ბაზარიც, მათ შორის განსაკუთრებით ელექტროენერგეტიკული კომპანიების, წარმატებით ვითარდე-

[1] В.Колташов. Кризис глобальной экономики. М., 2009, с.17.

ბოდა ამ პერიოდში. მაგრამ, 2007 წლის განმავლობაში მსოფლიო ეკონომიკაში სულ უფრო მეტად იკრძნობოდა პრობლემები, რომლებიც გარეგნულად დაფარული იყო კორპორაციათა ემრავლესობის ანალიტიკოსებისთვის.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის მოახლოებას მიუწოდა მთელი რიგი ფაქტორი. ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებში (ჩინეთი, ტაივანი, ინდონეზია, საუდის არაბეთი და სხვ.) წარმოების ზრდის შედეგად უნდა მომხდარიყო, უპირველეს ყოვლისა, აშშ-სა და ევროკავშირის ქვეყნებში სამომხმარებლო საქონლით უზრუნველყოფა. მაგრამ, ამ ძველი ინდუსტრიული ქვეყნებიდან (აშშ, იაპონია, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი) მრავალი წარმოების გატანის გამო, მათში განუხრულად მცირდებოდა რეალური ხელფასი, ძლიერდებოდა არასრული და არახელსაბალური დასაქმების ტენდენცია. ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში კარგი სამუშაო ადგილები იკეცლებოდა პერიფერიულ ქვეყნებში არსებული დაბალანაზღაურებადი სამუშაო ადგილებით, სადაც არ არსებობდა პროფკავშირები, სოციალური და შრომითი კანონმდებლობა. თუკი განვითარებული ქვეყნების მთავრობების მიერ 1949-1973 წლებში განხორციელებულმა დასაქმების პოლიტიკამ, უმუშევრობაზე მაღალ შემწეობებთან ერთად, უზრუნველყო მდგრადი მოთხოვნა სტაბილური ცხოვრების დონის პირობებში, თანამედროვე დასავლურ ეკონომიკაში თვით მომუშავე ოჯახებისთვისაც კი დამახასიათებელი გახდა შემოსავლების არასტაბილურობა. მაგალითად, თუკი საშუალო ამერიკელი 1990-იანი წლების დასაწყისში ახალი ბინების შეძენაზე ხარჯავდა თავისი შემოსავლის 25%-ს, 2005 წლისთვის ეს წილი 50-60%-მდე გაიზარდა[1]. დასავლეთ ევროპის მუშათა ორგანიზაციები, რომლებიც ადმიანებს 1949-1973 წლებში პირდებოდნენ შედარებით მაღალი ცხოვრების დონის გარანტიას, არარეალური აღმოჩნდა სოციალური ბაზის შეცვლის გამო, რაც გამოიწვია ზოგიერთი დარგის პერიფერიის ქვეყნებში გადატანამ[2].

მსუბუქი მრეწველობის გადატანის იდეალურ ადგილად მიჩნეულ იქნა ჩინეთი, რომელიც უზრუნველყოფდა 20%-იან ფასდაკლებას საკუ-

[1] В.Колташов. Кризис глобальной экономики. М., 2009, с.19.
[2] И.И. Вьюгина. Некоторые особенности экономических и финансовых кризисов в процессе мировой интеграции. М., 2009, с.12.

თარ სამუშაო ძალაზე. ე.წ. „მესამე სამყაროში“ ინდუსტრიული ბუმი მიმდინარეობდა ერთდროულად ასობით მილიონი გლეხის ნაცურალური მეურნეობისგან ნამოშორებით. ისინი გადაიქცნენ დაქირავებულ მოშუშავეებად და მომსახურებლებად. წარმოების კონცენტრაცია სულ უფრო ხდებოდა სამხრეთის ქვეყნებში (შორეულ აზიასა და არაბეთში), მაშინ, როდესაც გასაღების მთავარი ბაზრები რჩებოდა ჩრდილოეთის ზონაში. აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, ევროკავშირსა და სხვა ქვეყნებში მოთხოვნის შემცირების კომპენსაცია შეუძლებელია მომსახურიეო მესამე სამყაროს (ე.წ. გლობალური პერიფერიის) ქვეყნებში ერთობლივი მოთხოვნის (ძირითადად სამომსახურებლო ხარჯების) ზრდის ხარჯზე. მოხმარების შემცირება ცენტრში წარმოების გარდაუვალ შეჩერებას იწვევდა პერიფერიებში, რაც განაპირობებდა უმუშევრობის ზრდას და ადგილობრივი საშუალო ფენის მეიდეველობითი უნარიანობის შემცირებას.

1982-2008 წლებში ძველ ინდუსტრიულ ქვეყნებში გაიზარდა მოშუშავე ქალთა რიცხოვნობა, რაც (განსხვავებით 1950-1960-იანი წლებისა) სოციალურ ნორმად იქცა. მოშუშავეები იძულებულნი გახდნენ ხშირად ხელმეორედ ჭიშავათ ან შეეთავსებინათ რამდენიმე სამუშაო, რათა შეენარჩუნებინათ თავიანთი მატერიალური მდგომარეობა. 1990-იანი წლების ბოლოსათვის კი თანდათანობით შემცირება იწყო მოსახლეობის ხელმრიობის წონამ, რომელიც საშუალო ფენას მიეკუთვნებოდა.

2001 წლიდან 2007 წლის ბოლომდე „პირველი სამყარო“ შშრომელთა შემოსავლების ვარდნა იყარებოდა სამომხმარებლო კრედიტების ზრდით, მაგრამ 2007 წლის ბოლოსთვის აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში თავი იჩინა გადაუხდელობის კრიზისმა - „სახალხო დეფოლტმა“, რომლის განმავლობაში კერძო პირებმა, რომლებიც არ ფლობდნენ საკმარის სამუალებებს, შეფერხებით დაიწყეს ან საერთოდ შეწყვიტეს საბანკო კრედიტების გადახდები. ეს კრიზისი აშშ-ს რეგორც სახელმწიფოს, უკიდურესად მძიმე ტვირთად დააწვა, რომელიც სულ უფრო ცუდად არომეულ თავს გლობალური ჰეგემონის როლის შესრულებას. დემოკრატებისა და რესპუბლიკელების ადმინისტრაციის მიერ სისტემატურად ტარდებოდა გადასახადების შემცირების პოლიტიკა, რამაც წინასწარ განსაზღვრა საშუალებათა გადანაწილება კერძო სექტორის სასარგებლოდ და მოახდინა მათი აქტიურობის სტიმულირება, მაგრამ ერთდროულად ხელი შეუშალა მთავრობის უნარს დახმარებოდა ეკონომი-

კას. როცა ახალი დახმარება გახდა საჭირო. დოლარის ემისიამ, რომლითაც ბუშის ადმინისტრაცია ცდილობდა დაეფარა სამხედრო ხარჯები, მხოლოდ დაამძიმა სამომხმარებლო ბაზრის დასუსტების პროცესი აშშ-ში. მოხმარების მხარდასაჭერი რესურსი საბანკო დაკრედიტების ხარჯზე 2007 წლისთვის პრაქტიკულად ამოიწურა – მოსახლეობა უუნარო გახდა აენახლაურებინა მინიმალური პროცენტებიც კი. საბანკო სექტორი კრიზისმა მიიცვა; წინა წლისათვის კომპანიების მიერ განცდილი დანაკარგების შესახებ ინფორმაციამ გამოიწვია ბირჟაზე პირველი კრახი, სოლო შემდეგ – პლანეტის ყველა საფონდო ბაზარზე - დესტაბილიზაცია. გარკვეული დროის განმავლობაში ამერიკული ინფლაციის ნეგატიური ეფექტი კომპენსირდებოდა მზარდი მსოფლიო ეკონომიკით, რომელსაც ჯერ კიდევ შესწევდა ძალა დაეფარა დოლარის ჭარბი ემისია სახაზინო მარკით, მაგრამ ამ პროცესის უსასრულოდ გაგრძელება შეუძლებელი გახდა.

გადააწყდნენ რა მზარდ პრობლემას, კორპორაციებმა ვერ იპოვეს გამოსავალი. ისინი შალავდნენ დანაკარგებს, ხელოვნურად ამაღლებდნენ მოგების სიდიდეს. კომპანიების მზარდი ფასების მქონე აქციებით ვაჭრობამ წარმოშვა წინააღმდეგობა, რომელიც ადრე თუ გვიან უნდა გამომჟღავნებულიყო. საფონდო ბაზრებზე პრობლემები თავს იჩენდა მთელი მსოფლიო ეკონომიკის შენიღბული პრობლემებით, რაც მოიცავდა საბანკო სექტორის ფუნქციონირებასაც.

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ 2000-იანი წლების სამომხმარებლო დაკრედიტება ხშირად უუნარო იყო პროცენტების ხარჯზე დაეფარა ბანკების ინფლაციური დანახარჯები. მოსახლეობის დაკრედიტება დაბალი პროცენტებით (3%-მდე) წარმოადგენდა კაპიტალის უპრეცედენტო გლობალური ჭარბი დაგროვების პირდაპირ შედეგს, რომლის დაბანდების სფერო ამოიწურული იყო. მსოფლიო ეკონომიკაში შეიქმნა სიცუდეცია, როდესაც ბაზრის შესაძლებლობები ამოიწურა და არსებობად კორპორაციები განკარგავდნენ წარმოების გაფართოებისთვის საჭირო რესურსებს, თუმცა მოგების მიღება სულ უფრო რთულდებოდა.

ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპაში მოთხოვნის შემცირების პირობებში გაიხარდა მნიშვნელობა იმ ქვეყნებისა, რომლებიც ფლობდნენ დიდ შოგა ბაზრებს, უპირველეს ყოვლისა, რუსეთის, ბრაზილიისა და ინდოეთის. ამ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის გაგრძელება გარკვეული

დროით საშუალებას შესაძლებელი ხანდა კრიზისის დაწყების შემდეგ აშშ-ში მოხმარების ვარდნის პირობებში „ახალი ეკონომიკის“ გადაქცევნენ კაპიტალის მიზიდულობის ცენტრებად, რომელთა ზრდადი წილი სპეკულაციური იყო.

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, არა მარტო აშშ-ს მოხმარების, არამედ მსოფლიო ეკონომიკის ზრდა შენარჩუნებული იყო მოსახლეობის (უპირველეს ყოვლისა, დასავლური საშუალო ფენის) დაკრედიტების ხარჯზე. კრედიტების ხელმისაწვდომობამ უზრუნველყო აშშ-სა და სხვა ქვეყნების კორპორაციების მიერ მაღალი მოგების მიღება. წარმოიშვა ხაზარმოო და სამომხმარებლო ბაზრების შორის წინააღმდეგობა. „პირველი სამყაროდან“ წარმოების გაგანამ ობიექტურად შეამცირა მისი სამომხმარებლო შესაძლებლობები, მაგრამ „მესამე სამყაროში“ მიღებულმა მოგებამ შესაძლებელი გახადა დასავლური საზოგადოების (უპირველეს ყოვლისა, აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში) საშუალო ფენისთვის კრედიტების გაცემა. ამ წინააღმდეგობის გამწვავების შეჯამებად სახითათს, მსოფლიო ეკონომიკის ცენტრებიდან პერიფერიებში მრეწველობის სულ უფრო გადატანასთან ერთად, არ შეეძლო არ გამოეწვია გლობალური კრიზისი, თავისი არსით უფრო მძიმე და რთული, ვიდრე ჭარბწარმოების ჩვეულებრივი კრიზისებია (რეცესიები), რომლებიც თითქმის ათწლეულებში ერთხელ მაინც ხდება. აშშ-მა პირველმა იგრძნო გლობალური სისტემური კრიზისის დარტყმა.

გარდა ზემოთქმულისა, 2008 წლისთვის მსოფლიო ფინანსური სისტემისთვის მოულოდნელობად იქცა ინფლაციის დაჩქარება, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, სურსათზე და სათბობზე ფასების ზრდით გამოიხატა. ინფლაციის მიზეზებად ანალიტიკოსთა უმრავლესობა ასახელებს კვების პროდუქტებსა და ენერგომატარებლებზე ფასების ზრდას. მსგავსი ახსნების არაადეკვატურობის მიუხედავად, მსოფლიო ინფლაციის თავისი ობიექტური მიზეზები გაანია, რომელიც უკავშირდება გლობალური ეკონომიკის საერთო კრიზისს.

მიუხედავად იმისა, რომ ინფლაციის ტემპი დაჩქარდა 2008 წლის იანვარ-მარტში მომხდარ რამდენიმე საბირჟო კრახამდე, სწორედ ეს უკანასკნელი გვაძლევს საშუალებას ყველაზე უკეთ გავიგოთ მისი მიზეზები.

საერთაშორისო ინფლაციის თავისებურებაა მისი გლობალურობა. სხვადასხვა ხარისხით ის ეხება პლანეტის ყველა ქვეყანას, რომელიც არათანაბარზომიერად ამცირებს ყველა ფულადი ერთეულის მყიდველობით უნარიანობას. თანამედროვე პირობებში ყველაზე სწრაფად იზრდება ფასები პირველადი მოხმარების საქონელზე - სურსათსა და სათბობზე. აშშ-ში სავაჭრო ქსელები და მცირე მაღაზიები იძულებულნი არიან მოახდინონ პროდუქციის ფასდაკლებებით გაყიდვა, რადგანაც ისინი გადავსებულია არარეალიზებული სამრეწველო საქონლით. როცორც კი პროდუქციის მარაგები გაიყიდება, სამრეწველო საქონელზე ფასები გაიზრდება.

იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიოში ადგილი არ ჰქონია მოხმარების ნახტომისებურ ზრდას, ინფლაციის მიზეზია სახალხლო და ფულად მასას შორის ბალანსის დარღვევა გლობალური ეკონომიკის მასშტაბით. ფულადი მასა მსოფლიო ეკონომიკაში მნიშვნელოვნად გაიზარდა, ხოლო სამრეწველო პროდუქცია თითქმის უცვლელი დარჩა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სახალხლო მასას ფულით უზრუნველყოფა გაიზარდა. ეკონომიკაში ფულადი ერთეული საქონელთა პირობით ერთეულზე უფრო მეტი გახდა. ინფლაციის დაჩქარება დაიწყო აშშ-ს საფონდო და უძრავი ქონების ბაზარზე აქციებისა და ბინების გაუფასურებით. აშშ-ს ეკონომიკაში ფულადი მასა უწინდელ დონეზე დარჩა, მაგრამ მისი შესაბამისი საქონელთა ფასების ზამი შემცირდა გლობალური კრიზისის პირველი გამოვლინების შედეგად. საბოლოოდ, მოშუშავეთა მყიდველობითი უნარიანობა შემცირდა მათი ხელფასის გაუფასურების მიზეზით. მოხმარებამ იწყო ვარდნა, მოთხოვნა კონცენტრირებულ იქნა პირველადი მოხმარების საქონელზე.

თანამედროვე პირობებში ეს პროცესი ეფთარდება, რაც ნიადაგს უმზადებს სავაჭრო კრიზისს, რომელსაც აუცილებლად მოყვება ახალი საბირჟო კრახი. ეს კი, თავის მხრივ, კიდევ უფრო გაართულებს სიტუაციას: ინფლაცია დაჩქარდება, წარმოების განერება და უმუშევრობის ზრდა კიდევ უფრო გაძლიერდება. მოუხელავად შიშისა მსოფლიოში, სურსათის მოხმარება შემცირდება. კარგი აგრარული პირობების მქონე ქვეყნების (კერძოდ, უკრაინის, ენგრეთის, ბალკანეთის ნახევარკუნძულის ქვეყნების) ილეზია იმის შესახებ, რომ ისინი თავიანთ სახარგებლოდ გამოიყენებენ გლობალურ კრიზისს, გაქრება. ნავთობის ფასი

მაღალი იქნება, ვიდრე არ დაეცემა კრიზისის პიკზე. წარმოების შემცირება კიდევ უფრო რადიკალურად შეკვეთის ფულად და სახალხლო მასას შორის თანაფარდობას. გლობალური ეკონომიკა შევა სტაგფლაციის ფაზაში.

მასშტაბური ხაბირჟო კრახის შედეგად, რომელიც ასახავს საერთო ეკონომიკურ კრიზისს, მსოფლიოში შესაძლოა არ დარჩეს არც ერთი მდგრადი ფულადი ერთეული. ამ დროს ევრო, ყოყმანობთ, დარჩება ყველაზე ნაკლები დანაკარგების მქონე ვალუტად. თუმცა, მანაც შეძლება დაკარგოს ბაზარზე თავისი მყიდველობითი უნარიანობის მნიშვნელოვანი ნაწილი. მსოფლიო პერიფერიის ვალუტებიდან კაპიტალის გადინება ევროში (ან დოლარებში, რაც ჯერ-ჯერობით ნაკლებსავარაუდოა, ამერიკული ვალუტა თმობს პოზიციებს, თუმცა მასში ხორციელდება მსოფლიო გარიგების 65%) გააძლიერებს ინფლაციას „მესამე სამყაროში“, გაზრდის რა სარეზერვო ვალუტის უზრუნველყოფადობას და მის პრობლემებს გადაიტანს ერთიწელ ვალუტაზე. მრავალვალუტიან სისტემაში ყველა საქონლის ფასთა ჯამისა და ეკონომიკაში ფულადი მასის ტოლობის კანონი მისი მიმოქცევის სიჩქარეზე კორექტირებით არაერთგვაროვად მოქმედებს. ვალუტები ერთმანეთის მიმართ ასევე საქონელია, რომლებიც ერთმანეთს ეკიბრებიან სახაქონლო მასით უზრუნველყოფადობაში. ეს ეკონომიკური გაკვეთილის სისტემაში პოზიციის გასამყარებლად.

აშშ-სა და სხვა ქვეყნების მთავრობებმა მოახდინეს გლობალური ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლისთვის სრული მოუმზადებლობის დემონსტრირება. რუსეთის პრემიერ-მინისტრმა კი მოისხნა ყოველგვარი პასუხისმგებლობა მოსახლეობის შემოსავლების ინფლაციურ შემცირებაზე. პრობლემისადმი არავითარი ადეკვატური ნაბიჯები არ იქნა გადადგმული თანამედროვე პირობებში. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ერთ-ერთი გამოვლინების – გლობალური ინფლაციის დრმა სისტემური მიზეზის გამო, არავითარი საფუძველი არ არსებობს იმისა, რომ ყველაფერი მის დასრულებას უახლოეს მომავალში. ყიდრე გამოყენებული ანტიინფლაციური ღონისძიებები (როცორც ანტიკრიზისული სტრატეგიის ნაწილი) არ შეეხება ინფლაციის მიზეზებს, მისი შემცირება გამორიცხულია.

თავისი გამოვლინებით აშკარად ხანს, თუ რაოდენ უფრო მსუბუქი თანამედროვე გლობალური კრიზისი 1991, 1998-1999 და 2001 წლების რეცესიებთან შედარებით. ამავე დროს, ცხადია, რომ 2008 წელს დაწყებული გლობალური კრიზისი არ უკავშირდება მხოლოდ საქონლის ჭარბწარმოებას, არამედ წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკის სისტემური წინააღმდეგობების შედეგს. გამძაფრებულ კრიზისს არ შეუძლია უბრალოდ გადაეროს დაგროვებული სასაქონლო მასა, რომლის შემდეგაც ეკონომიკა კვლავ სწრაფად გავა ზრდის ახალ საფეხურზე. აშშ-ში მიმდინარე საქონლის ტოტალური გაყიდვა, რომელმაც სრულად გააყარა ბაზარი, უძლურია გამოიწვიოს ამერიკული და გლობალური ეკონომიკის გამოცოცხლება. კრიზისის შედეგად უნდა გადაწყდეს ზოგიერთი წინააღმდეგობა მსოფლიო ეკონომიკაში, რაც ნეოლიბერალური მოდელის უფრო ახლით და პროგრესულით შეცვლის ტოლფასია.

კრიზისი თავისი ბუნებით, რომელიც განპირობებულია მის მიერ გამოწვეული წინააღმდეგობებით, მოწოდებულია მოახდინოს თვისებრივი ცვლილებები მსოფლიო სამეურნეო სისტემაში, მისადმი ეფექტიანობის დაბრუნებით.

მსოფლიო ეკონომიკამ 1929-1933 წლების დიდი დეპრესიის შემდეგ განვითარების რამდენიმე სტადია გაიარა, კერძოდ, კონდრატიევსკული ძველი და დაძველი ტალღები. 1933-დან 1948 წლამდე ადგილი ჰქონდა დაძველ ტალღას. 1949 წლის კრიზისის შემდეგ, 1973 წლამდე გაგრძელდა ახალი ტალღა, რომელიც ხასიათდებოდა სამუშაო ძალისა და კაპიტალის გაქსორებით, წარმოების აქტიური ტექნოლოგიური განახლებით. ამ პერიოდში ჩრდილო ევროპული და ამერიკული მრეწველობა განიცდიდა სამუშაო ძალის დიდი ოდენობით დეფიციტს, რომელიც შემოედინებოდა პერიფერიის ქვეყნებიდან. დასავლეთის საზოგადოებაში გაბატონებული იყო ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების კეინზიანური პრინციპი,ადგილი ჰქონდა სოციალური სახელმწიფოს პრინციპის რეალიზაციას. მკვეთრად გაიზარდა მოსახლეობის საგანმანათლებლო დონე. უმაღლესი განათლება მახასიათებელი გახდა. მაგრამ, 1970-იანი წლების დასაწყისში ევროპული ეკონომიკური სისტემა ხიხში შევიდა. ახალი კრიზისი კიდევ უფრო გააშწავა განვითარებულ ქვეყნებში პროფკავშირული მოძრაობის გაძლიერებამ, რომელიც იშვიათად მოიცავდა ახალი წარსულში პრიველეგიური პროფესიის ადამიანებსაც. დიდი როლი შეასრულა საფრანგეთის 1968 წლის მოვლენებმა, მასობრივმა გამოსვლებმა აშშ-ში. ამასთან, ყოფილ კოლონიებში წარმოებულმა მოდერნიზაციამ ფართო ასპარეზი მისცა პერიფერიის რესურსების ახლებურად გამოყენებას.

ცხადია, რომ მსოფლიო სისტემაში ერთმანეთის მონაცვლე ადმავალ და დაღმავალ ტალღებს სპეციფიკური შრომისები ახასიათებს. ტალღების ხანგრძლივობა 1790-2008 წლების შეალედში მერყეობდა 16-დან 30 წლამდე. დაღმავალი ტალღები მოიცავს კაპიტალიზმის ცენტრების მიერ მსოფლიო პერიფერიის რესურსების ექსპლუატირებას ათვისების პერიოდებს. დაღმავალი ტალღების პერიოდებში ფინანსურ ოპერაციებს პრიორიტეტი ენიჭება წარმოებაში დაბანდებებთან შედარებით და ამ უკანასკნელს საკუთარ ინტერესებს უქვემდებარებს. საპროცენტო განაკვეთი კაპიტალის აქტიურად დაყოფებას გამო შემცირების ტენდენციით ხასიათდება. სამუშაო ძალაც იაფდება ან, ცალკეულ შემთხვევებში, სრბითლური რჩება, რადგანაც შრომის ბაზარზე მიწოდება აჭარბებს მოთხოვნას. სურსათის ფასები მცირდება. დაღმავალი ტალღები გამოირჩევა კომუნიკაციის - ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის პროგრესით და წარმოების ტექნოლოგიის ნელი განვითარებით.

ადმავალი ტალღები, პირიქით, ხასიათდება ინდუსტრიის სწრაფი ტექნოლოგიური პროგრესით. სამუშაო ძალა ძვირდება, რამდენადაც მოთხოვნილება კვალიფიციურ სპეციალისტებზე იზრდება. კაპიტალიც ძვირდება, რომელიც ახტიმულირებს შრომის მწარმოებლურობის ზრდას. ცოდნის ხარისხოვნებრივი ფასეულობა იზრდება. აღმავალი ტალღები ცვლის დაღმავალს, როდესაც მსოფლიო ეკონომიკური სისტემის რესურსების ექსტენსიური გამოყენება კარგავს თავის ეფექტიანობას, ხოლო დადებითი შედეგი შეიძლება მოგვცეს მხოლოდ მისმა მაქსიმალურად რაციონალურად გამოყენებამ. გლობალურ ეკონომიკაში ტალღების ცვლილება მიმდინარეობს მისმე ეკონომიკური კრიზისების (ერთი ან რამდენიმეს) მეშვეობით, რომლის დროსაც ჭარბწარმოებას ემატება მსოფლიო მეურნეობის სისტემური წინააღმდეგობები. მსოფლიო ეკონომიკის შემდგომი ევოლუციური განვითარების შეუძლებლობა თავის

გამოხატულებას პოელობის კაპიტალის ჭარბად დაგროვებაში, რომლის მოშუებიანად დაბანდებისთვის აღვილი არ რჩება.

ოთხი ეკონომიკური კრიზისი 1969-1971, 1973-1975, 1978-1980 წლებისა - გამოირჩეოდა ნავთობზე ფასების მკვეთრი ზრდით და 1981-1982 წლებისა - მაღალი ინფლაციით. ბოლო ორი კრიზისი განსაკუთრებით მძიმე გამოდგა ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნებისთვის. დაიწყო მრეწველობის მასობრივი გადარჩენა მსოფლიო პერიფერიის ზონაში, რომელიც 2008 წლისთვის სანედლეულოდან სამრეწველო პერიფერიად გადაიქცა. ინდუსტრიის ტექნოლოგიური გადაიარაღებისა და მომუშავეთა კვალიფიკაციის ამაღლების პოლიტიკა შეიცვალა „მესამე სამყაროს“ ქვეყნებში იაფ მუშახელზე ორიენტაციით. ახალი პოლიტიკის წარმატებამ განაპირობა საკომუნიკაციო, ენერგიულეს ყოველისა, მართვის სფეროსთან დაკავშირებული ტექნოლოგიების: კომპიუტერების, ინტერნეტის, სათანამშრომლო კავშირის სწრაფი განვითარება. მკვეთრად გაიზარდა კაპიტალის გადაადგილების სინქრონ. წარმოიშვა ელექტრონული ფული. „პირველი სამყაროს“ ეროვნული მოხოპოლიები გადაიქცა ტრანსნაციონალურ კორპორაციებად. კეინსიანური განვითარების იდეოლოგია შეიცვალა ლია ეკონომიკის ნეოლიბერალური დოქტრინით. ახალმა სამეურნეო ეპოქამ მიიღო ფინანსური გლობალიზაციის სახელწოდება.

XX ს. 70-იანი და XXI ს. ათიანი წლების გლობალიზაციის შედეგად, რომელიც წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ახალ ხეტაპს, პლანეტის უმეტესი ქვეყანა აგრარულიდან სამრეწველოდ გადაიქცა. ასობით მლნ ადამიანი იძულებული გახდა უარი ეთქვა ნატურალურ მეურნეობაზე და გადაიქცა დაქირავებულ მომუშავეებად. საბაზრო ურთიერთობათა სიერცე გაფართოვდა, სამუშაო ძალა უფრო იაფი გახდა, ვიდრე სამრეწველო ტექნოლოგია. „ძველი ინდუსტრიული ქვეყნების“ მთავრობებმა დაიწყეს „ბალასტის მოშორების“ პოლიტიკის გატარება: სოციალური მოხაპოვრის ლიკვიდაცია, განათლებაზე და სხვა სახოგადოებრივ სფეროებზე დანახარჯების შემცირება.

ნეოლიბერალურ ეკონომიკურ მოდელს თავის საფუძველში გააჩნდა წინააღმდეგობა, რომლის განვითარებამ განსაზღვრა მისი არსებობის დასასრული. პერიფერიის ქვეყნებში წარმოებული საქონელი უნდა გაეტანათ ცენტრებში – განვითარებული დასავლეთი ევროპის და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებში. მაგრამ, ამ ქვეყნებიდან წარმოების

გაუარესის კვალობაზე მოსახლეობის საშომხმარებლო შესაძლებლობები შემცირდა, რომლებიც მხოლოდ შეზღუდული მასშტაბებით თუ კომპენსირდებოდა „ახალი ინდუსტრიული ეკონომიკებით“: მომსახურების სფეროთი და ინფორმაციული ტექნოლოგიებით. სამრეწველო პერიფერიის ქვეყნების საშომხმარებლო ბაზრების ზრდამ ვერ შეძლო დაეფარა მოახსენის ზრდალი ტემპები.

გლობალიზაციის პერიოდში კაპიტალმა დაიწყო თავისუფლად გადაადგილება პლანეტის ერთი ზონიდან მეორეში, მაგრამ სამუშაო ძალა ხელოვნურად იქნა ნაკეთილი ნაციონალურ საზღვრებში. კორპორაციებს შრომის ბაზრის სიმრავლიდან შეეძლოთ აერჩიათ ნებისმიერი. ნაკეთილმა საზღვრებმა და მკაცრმა ანტიმიგრაციულმა კანონებმა ხელი შეუშალა მომუშავეების დაეეროვებინათ ზონები, სადაც გამეეებული იყო შრომითი და სოციალური კანონმდებლობის არარსებობა და ადამიანთა უეფლებობა. თეკი მეშები მაინც ახერხებდნენ არარეგალურად ეკრო,კავშირში, აშშ-სა და სხვა ქვეყნებში გადასვლას, მაინც უეეულებოთი რიებოდნენ. ასეთი პოლიტიკა კორპორაციებს უადვილებდა „ძველი ინდუსტრიული ქვეყნების“ მოქალაქეებისთვის ხელფასის შემცირებას, აერეთკე სოციალური და შრომითი კანონმდებლობების საკუთარი ინტერესებისთვის მორგებას. ამის შედეგად, ამერიკული და ევროპული ეკონომიკის მიეელ რიგ დარგში "ფასიმე მსოფლიო" აღმოჩნდა „პირველის“ მიღმა. პერიფერიის მოშლილი სოციალური სისტემები ვერ უფრო აგრძელებდა მილიონობით ემიგრანტის გადასროლას განვითარებული ქვეყნების შრომის ბაზარზე. თუკი 1960-იანი და 1970-იანი წლების დასაწყისში ეოფილი კოლონიებიდან ემიგრაცია დასავლეთისკენ უკავშირდებოდა სამუშაო ძალაზე შრდად მოთხოვნას, 1990-იანი წლების ბოლოდან მასობრივი გადასახლება გადაიქცა ინერციულ პროცესად, რასაც ხელს უწყობდა სამხრეთის სოციალური კრიზისი და ადამიანთა სწრაფვა თანაბარი ეოფილიყო სამომხმარებლო სახოგადოებისა. თავის მხრივ, ჩრდილოეთის ქვეყნებში ამ დემოგრაფიულმა და სოციალურმა ძვრებმა ხელი შეუწყეს რასისტული, ულტრამემარჯვენე და ნეოფაშისტური პოლიტიკური ძალების ზრდას.

უზრუნველეო რა კორპორაციების რენტაბელობის ზრდა, გლობალური ეკონომიკის ნეოლიბერალური მოდელი მიკლებული აღმოჩნდა სასტვერ პერსპექტივის. შემდგომში განვითარებისთვის მსოფლიო

ეკონომიკა საჭიროებდა თვისებრივ ცვლილებებს. კორპორაციების მასალამ მოგებამ, რომელიც მიღებულ იქნა შესამე სამყაროს" ქვეყნებიდან მშრომელების უმკაცრესი ექსპლოატაციის შედეგად, უხვუნელყო კაპიტალის გაიაფება, რამაც საშუალება მისცა განვითარებულ ქვეყნებს 2001 წელს გადაეგადათ სისტემური კრიზისი სამომხმარებლო და ოპოთეკური კრედიტების უპრეცედენტო გაფრცელების ხარჯზე. მაგრამ ეს რესურსი ამოწურული აღმოჩნდა ეკონომიკური ზრდის შესანარჩუნებლად გლობალურ სისტემაში მხოლოდ 2007 წლიდან.

ახალი მსოფლიო კრიზისი დაიწყო საკრედიტო პირამიდის რღვევით აშშ-ში, პლანეტის სამომხმარებლო ცენტრში (აშშ-ზე მოდის ყველაზე ური მოხმარების 40%). ამერიკელ მომხმარებელთა დიდი ნაწილი უნარი აღმოჩნდა ყიდა საქონელი უპრეცედენტო რაოდენობით საკუთარი შემოსავლებით, რომელიც შემცირდა 1980-იანი წლების დასაწყისიდან. აშშ-ს მოსახლეობამ მოახდინა აგრეთვე ყველაზე იაფი კრედიტების გადახდის უუნარობის დემონსტრირება. ანალოგიური პრობლემები წარმოიქმნა დიდ ბრიტანეთსა და ევროკავშირში. შედეგად, მთელი გლობალური ეკონომიკის ახალი კრიზისი, რომელმაც შეუქალა დიდი სამყაროს ტალღები. მსოფლიო ეკონომიკამ ვერ შეძლო ჰეგემონურად განვითარება.

1975-2008 წლებში კორპორაციები და სახელმწიფოები აქტიურად აშშ-ის ძალის შეგნებულად გაიაფების პოლიტიკას. კომპანიებმა წარმოება გაიტანეს „მესამე სამყაროს" ქვეყნებში, რითაც გააუარესეს საკუთარ ქვეყნებში დაქირავების პირობები. 30 წელზე მეტი ხნის მანძილზე რეალური ხელფასი თითქმის არ გაზრდილა, ხოლო სამშრომელის კვირის ხანგრძლივობა გაიზარდა.

2001 წლის კრიზისის შემდეგ განვითარებულმა სახელმწიფოებმა გააძლიერეს ემისია. ევროკავშირმა ბრუნვაში გაუშვა 500 ევროიანი კუპიურები, რუსეთმა – 5000 რუბლი. ყველაზე აქტიური აღმოჩნდა აშშ-ს საემისიო პოლიტიკა. ბოლო დაძაბული წლების პერიოდში საქმიან სამყაროში გამოყენებული იყო იაფი სამშრომელის დოქტრინა. თვალნათლად, რომ საწარმოებისა და ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა პირდაპირ დამოკიდებულია ხელფასის ხიდიდეზე და ეროვნული ვალუტის სიიაფეზე. ეკონომისტებისთვის, რომ რაც უფრო დაბალია ეს მაჩვენებლები, მით უფრო ეფექტიანია ეკონომიკა. მაგრამ, გლობალური დეფლაციის პირობებში, სამუშაო ძალაზე ფასების ვარდნა წინააღმდეგობაში აღმოჩნდა მის სამომხმარებლო ფუნქციასთან. მსოფლიო ეკონომიკაში სამუშაო ძალის არსებული გაიაფება, რომელიც კრიზისის გამო უმართავი გახდა. წამგებიანს ხდის საქონლის წარმოებას უწინდელი ოდენობით და არსებული ტექნიკური განვითარების დონით. ამ წინააღმდეგობის დასაძლევად საჭიროა შრომის მწარმოებლურობის მნიშვნელოვანი ზრდა, რაც შეუძლებელია ინდუსტრიაში ტექნიკური რევოლუციის გარეშე.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის წარმოშობა და მისი შემდგომი განვითარების სცენარი ქრონოლოგიურად შეიძლება შემდეგნაირად სამოვაჭალიბით:

1. თანამედროვე პირობებში მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი იმყოფება ადრეულ სტადიაზე, რომელიც ძირითადად ფინანსურ სფეროში გამოვლინდა, თუმცა, ეს მსოფლიო ინდუსტრიის რამდენიმე გიგანტსაც შეეხო (მაგალითად, „ჯენერალ მოტორსს");

2. კრიზისით ყველაზე მეტად დაზარალდა აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და ევროკავშირის ქვეყნები, სადაც მწიფდება სავაჭრო კრიზისისა და სამრეწველო წარმოების ვარდნის ახალი ტალღა;

3. აშშ-სა და სხვა განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე მოთხოვნის ვარდნის კვალდაკვალ კრიზისი გაფრცელდება „ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებში", სადაც მოსალოდნელია წარმოების მნიშვნელოვანი დაქვეითება;

4. გაყიდვების მოცულობის და მსოფლიო სამრეწველო წარმოების შემცირება გამოიწვევს ყველა წამგებიან საფონდო ბაზარზე ახალ კრახს და ინფლაციის სტაგფლაციაში გადაზრდას, მკვეთრად შემცირდება ნავთობზე ფასები, გაიზრდება უმუშევართა რიცხვი, ადგილი ექნება მოხმარების მასშტაბურ ვარდნას;

5. კრიზისი შეეხება ყველა ქვეყანას, რომელიც ამა თუ იმ ხარისხით ჩართულია მსოფლიო ეკონომიკაში და თანდაყოლილი იქნება ხანგრძლივი დეპრესიით, გლობალური სამეურნეო დესტაბილიზაციის დამანგრეველი შედეგები იქნება მასშტაბური;

6. კრიზისის განვითარების სავარაუდო ვადებია: 2010 წელი – კრიზისის პიკი (ძირითადი ვარდნა), 2010-2013 წლები – დეპრესია, მსოფლიო ეკონომიკის გარდაქმნა ახალი განვითარებისთვის;

7. მსოფლიოს ქვეყნების მთავრობებს არ გააჩნიათ კრიზისის დაძლევის სტრატეგია;

8. არ არსებობს არანაირი საფუძველი იმისა, რომ ველოდოთ კრიზისის სწრაფად დასრულებას, მისი გაჭიანურება მოგვცემს პოლიტიკურ და სოციალურ კონფლიქტებამდე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

Modern global economical crisis: causes, results and perspectives

M. Chikobava

In given work are analyzed causing factors of a modern economic crisis. Manufacture growth in «the new industrial countries» should serve consumption in the USA and EU. However, in connection with carrying out from these «old industrial countries» many manufactures in them the real wages steadily decreased, the tendency to incomplete and a stable employment amplified. «Good workplaces» in the industrial developed countries were replaced low-paid places in the periphery countries there were no trade unions, social and labor legislation. The industrial boom in the «third world» occurred simultaneously with primary proletarianization of peasants. Coming off a subsistence economy, they became hired workers and consumers (mainly). Manufacture concentrated in the «south countries» the main commodity markets remained in a «north zone». Demand falling in the USA, the Great Britain, EU and a number of other countries could not compensated for the account of consumption of the middle class of global periphery. Consumption decrease in the centre inevitably turned around a manufacture stop on periphery that conducted to dismissals and automatically undermined purchasing capacity of local.

After crisis of 2001 year' the countries have strengthened issue. EU denominated in 500 Euros, Russia – 5000 rubles. Emission policy of the USA has appeared the most active. The last downward waves in the business world the doctrine of a cheap labor dominated. It was considered, that competitiveness of the enterprises and national economies directly depends on size of wages and cheapness of national currencies. It was supposed, if these indicators more low, the more effectively economy. The event in Global economy the reduction in price of the labor, which has become because of crisis uncontrollable, does unprofitable manufacture of the goods in former quantity and on a former technological level. For removal of this contradiction jump in the labor productivity, meaning technical revolution in the industry is required.

საერთაშორისო პროექტების ეკონომიკური როლი აბრეშუმის გზის ქვეყნების ინტეგრირებულ განვითარებაში

გიული ქემულარია
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი,
სახელმწიფო თსუ ასისტენტ-პროფესორი

დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა ახალი საბაზრო ურთიერთობების შექმნის საფუძველია. მას თავისი წვლილი შეაქვს ამ ქვეყნების ინსტიტუტებს, სამეცნიერო დაწესებულებებსა და საწარმოებს, ბაზარსა და წარმოების შორის კავშირების ჩამოყალიბებაში, რეგიონის მოსახლეობის ცხოვრებისა და მუშაობის დასავლურ სტილთან დაახლოებასა და სოციალურ-ეკონომიკური პირობების შესაბამისობის მიღწევაში. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ახალი ტექნოლოგიების, ინსტრუმენტებისა და ინოვაციური პროდუქტების გამოყენების ხელშეწყობა, ახალი პრაქტიკის და მუშაობის მეთოდების განხორციელება საქმიანობის სფეროს გაფართოების, მსოფლიო ბაზარზე შეღწევის, ცოდნა-გამოცდილების გაზიარების, პროცესების დაჩქარებისა და დანახარჯების შემცირების თვალსაზრისით.

In this article the author analyses the evolution of national currencies of Russian empire and Central Eurasian countries. He examines stages in their development and the impact of globalization on this process. The special attention is given to the processes of formation of the Russian (imperial) rouble zone, its transformation into the Soviet rouble zone, collapse of the latter and emergence of national currencies of Central Eurasian countries. The general and specific features of restoration of the regional countries' national currencies with a special accent on widespread in the region dollarization phenomenon also are under consideration.

ცენტრალური ევრაზიის ქვეყნების ვალუტების ევოლუცია: საერთო და განსაკუთრებული

ე. ისმაილოვი

სტატიაში ავტორი აანალიზებს რუსეთის იმპერიისა და ცენტრალური ევრაზიის ქვეყნების ეროვნული ვალუტების ევოლუციას. ის იკვლევს მათ განვითარებასა და ამ პროცესზე გლობალიზაციის ზეგავლენას. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია რუსული (იმპერიული) რუბლის ზონის ფორმირების პროცესზე, მის რღვევასა და ცენტრალური ევრაზიის ქვეყნების ეროვნულ ვალუტათა აღმოცენებაზე. ასევეა განხილულია რეგიონის ქვეყნების ეროვნულ ვალუტათა საერთო და განსაკუთრებული მახასიათებლები, თანაც, ყურადღება გამახვილებულია რეგიონში დოლარიზაციის ფენომენის გავრცელებაზე.

ინტერნეტ-ბანკინგი საქართველოს საბანკო სისტემაში და მისი განვითარების ტენდენციები (სტატისტიკური კვლევის მეხედვით)

ჯამლეთ მამითრიშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი,
ნინო ხიმთარიშვილი
თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის
მაგისტრანტი,
ლეონა მამითრიშვილი
საქართველოს პარლამენტის სტაჟიორი

XXI საუკუნეში, ეკონომიკური გლობალიზაციისათვის დამახასიათებელი დაჩქარებული სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და მაღალკონკურენტული გარემოს პირობებში, ბანკების ყოველდღიური ზრუნვის საგანია საბანკო მომსახურებაში ინოვაციური პროდუქტებისა და ტექნოლოგიების დანერგვა.

ამ თვალთახედვით, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევაა ინტერნეტი, რომელიც კომპიუტერების საჯარიდ ხელმისაწვდომობის ქსელურ სისტემას წარმოადგენს. ინტერნეტმა თავის მხრივ ხელშესაწყობობის ქსელურ სისტემას წარმოადგენს. ინტერნეტმა თავის მხრივ ხელშესაწყობი მისცა ახალი საბანკო პროდუქტების, მათ შორის, ინტერნეტ-ბანკინგის შექმნას. საბანკო ტექნოლოგიების სფეროში ინტერნეტ-ბანკინგის პიონერად ითვლება აშშ (1995წ), ხოლო პოსტსაბჭოურ სივრცეში ანალოგიური საბანკო მომსახურება 1998 წლის მაისში თავის კლიენტებს შესთავაზა რუსეთის "ავტობანკმა."[1]

საქართველოს რეალობაში პირველი ინტერნეტ-ბანკინგის პიონერად მოგვევლინა "ბაჰისბანკი", რომელმაც 2002 წლიდან დანერგა მხოლოდ ინფორმაციული სახეობის ინტერნეტ-ბანკინგის სისტემა. ამ

[1] ნ. ჯარსიშვილი. ინტერნეტ-ბანკინგი საქართველოში, ნაშრომები, №27, 2004 წ.

ტექნოლოგიით (ინტერნეტ-ბანკინგით) აქტიური საბანკო ოპერაციების შესრულება საქართველოს მოსახლეობას იმავე 2002 წლის ოქტომბერში პირველად "თიბისი ბანკმა" და "საქართველოს ბანკმა" შესთავაზა. დღეისთვის ინტერნეტ-ბანკინგი დანერგილია მსოფლიოს 1500-ზე მეტ ბანკში, მათ შორის საქართველოს 12 ბანკში (20 ბანკიდან).

ინტრნეტ-ბანკინგი წარმატებით (თუმცა განსხვავებული ტემპით) ვითარდება მთელ მსოფლიოში, რადგან მზარდი კონკურენციის პირობებში, ბანკს ამ პროდუქციის მეშვეობით საშუალება ეძლევა შეინარჩუნოს არსებული და მოიზიდოს ახალი კლიენტები; ამასთანავე, მაქსიმალურად, თითქმის 100-ჯერ, შეამციროს ინტერნეტ - ბანკინგით განხორციელებული ერთი ოპერაციის ხარჯი (ფილიალში ოპერატორის მიერ გაკეთებულ იგივე ოპერაციაზე გაწეულ ხარჯთან შედარებით).[1]

ბიზნეს-ტექნოლოგიების კვლევაზე დაბაზებული ფირმა "ჯუფითერ რიზერჩის" მონაცემებით, აშშ-ში ადგილი აქვს ინტერნეტ-ბანკინგით მოხარგებლე დიახალხისების რიცხოვნობის სიხტემატურ ზრდას, რის შედეგადაც მათი რიცხოვნობა 2003 წლის 29,6 მლნ-დან 2008 წლისთვის თითქმის გაორმაგდა და 56 მლნ შეადგინა, ხოლო რუსეთში ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით დადგინდა, რომ ინტერნეტ-ბანკინგით განხორციელებული ოპერაციების ბრუნვის მოცულობა 2008 წელს, 2007 წელთან შედარებით, 1.5-ჯერზე მეტად (54%-ით) გაიზარდა.[2]

საქართველოს საბანკო სისტემაში ინტერნეტ-ბანკინგის ნოვაციური პროდუქტების დანერგვის ტენდენციაზე მჯელობისას, საინტერესოდ და აუცილებლად მიგვაჩნია იმის ცოდნა, **თუ რა მდგომარეობაშია დღეს ქართული ინტერნეტ-ბანკინგი, რამდენად იცნობს მას მომხმარებელი, თვლის თუ არა მას პერსპექტიულ პროდუქტად ან რა არ აკმაყოფილებს და რის გაუმჯობესებას ისურვებდა იგი?**

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა სოციოლოგიური გამოკვლევა დაახლოებით 500 აბონენტის გამოკითხვით. გამოკითხვის ანკეტა შედგენილ იქნა დასმულ კითხვებზე ამომწურავი პასუხების მიღების უზრუნველყოფის გათვალისწინებით. კვლევამ მოიცვა მოსახლეობის ყველა სოციალური ფენისა და ასაკობრივი ჯგუფების წარმომადგენელი. მოსახლეობის სხვადასხვა ნაწილის გამოკითხვა დაეკვემდარა განვეახლვრა ის კონკრეტული სეგმენტი, რომელიც უფრო მეტადაა დაინტერესებული აღნიშნული მომსახურებით, ასევე გამოვკვლიეთ კლიენტების ის პოტენციური ჯგუფები, რომლებიც სათანადო ინფორმირებისა და პროდუქტის გაცნობის შემდეგ აუცილებლად გახდებიან ინტერნეტ-ბანკინგის კლიენტები.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მონაცემები გავაანალიზეთ როგორც მთლიანობაში, ასევე გამოკითხულთა ასაკობრივი და პროფესიული ნიშნების მიხედვით. კერძოდ, რესპონდენტები დავყავით **4 ასაკობრივ ჯგუფად: I ჯგუფი**: 20-დან 30 წლამდე, **II ჯგუფი**: 31-დან 40 წლამდე, **III ჯგუფი**: 41-დან 50 წლამდე და **IV ჯგუფი**: 50 წლის ზემოთ. გამოკითხულია ასაკობრივი დიფერენციაციის მიხანი იყო დაგვედგინა: რომელი კატეგორიის მოსახლეობა იცნობს უკეთ ინტერნეტ-ბანკინგს, რომელი მათგანი იყენებს მას უფრო ინტენსიურად, საკუთარი პროდუქტის პოზიციონირების დროს რომელ ასაკობრივ ჯგუფზე უნდა იყოს ორიენტაცია ბანკმა, არის თუ არა საკმარისი ბაზა იმისათვის, რომ შეიქმნას სისტემის დიფერენცირებული ინტერფეისი სპეციალურად რომელიმე ასაკობრივი ჯგუფისათვის, დადგინდეს, რა მიმართულებით უნდა მოხდეს მომავალში პროდუქტის რეკლამირება.

რესპონდენტთა დიფერენციაცია ასევე მოხდა **პროფესიული ნიშნის** მიხედვით, იმის დასადგენად, თუ რომელი პროფესიის ადამიანებისათვის არის უფრო საჭირო ინტერნეტ-ბანკინგის გამოყენება და რომელი კატეგორიის მოსახლეობა იყენებს მას შედარებით ინტენსიურად, რათა კვლევის შედეგების საფუძველზე გვქონოდა საშუალება, განგვესაზღვრა რა ხასის ცვლილებებისა და დამატებების შეტანაა აუცილებელი სისტემაში მისი მომხმარებლების რიცხოვნობის ზრდისათვის.

აღნიშნულის შესაბამისად, თავდაპირველად შევისწავლეთ ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით ჩატარებული კვლევის შედეგები. გამოკითხულთა უმრავლესობა-287 აბონენტი (ანუ გამოკითხულთა დაახლოებით 57%) მოხვდა პირველ ჯგუფში; 31-40 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში რესპონდენტების რაოდენობამ შეადგინა 140 (27.8%), შესაბამისად, 41-დან 50 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში-60 (11.7%) და 50-ზე მეტ ასაკობრივ ჯგუფში დაფიქსირდა 17 აბონენტი (3.5%).

კითხვაზე-"გსმენიათ თუ არა ინტერნეტ-ბანკინგის შესახებ"? 30 წლამდე ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტთა 62.7%-მა (180 კაცი) უპასუხა დადებითად, ხოლო 37.3%-მა (107) – უარყოფითად. II ჯგუფის (31-

[1] Егорова А. М., Интернет-банкинг в мировом масштабе. банковские технологии, 2000. №9.
[2] I Forum, Итоги 2008 года. 13.05.2009

40%) რესპონდენტთა დაახლოებით 39% (54 კაცი) ფლობს ინფორმაციას ინტერნეტ-ბანკინგზე. ხოლო 61%-ს (86) საერთოდ არაფერი სმენია ამ ინოვაციური პროდუქტის შესახებ. III ჯგუფში დაფიქსირებული 60 გამოკითხულიდან 43-მა (თითქმის 73%), ხოლო IV ჯგუფიდან კი 88%-ზე მეტმა (17-დან 15 პიროვნებამ) არ იცის არაფერი ინტერნეტ-ბანკინგის, როგორც მომსახურების ინოვაციური პროდუქტის თაობაზე.

ნაშრომში გამოკვლევიდან ნათლად ჩანს, რომ ახაკის მატების პროპორციულად მცირდება ინტერნეტ-ბანკინგის შესახებ ადამიანთა ინფორმირებულობის დონე. კერძოდ, თუ I კატეგორიის რესპონდენტებში ინტერნეტ-ბანკინგის სისტემის შესახებ ე.წ. "მცოდნეთა" (ინფორმირებულთა) რიცხვი გამოკითხულთა რაოდენობის ნახევარზე მეტია (62.7%), უკვე ბოლო IV ასაკობრივი ჯგუფისთვის იგი მცირდება და 12%-საც ვერ აღწევს. მთლიანი შედეგის მიხედვით კი სულ გამოკითხულთა 50,2%-ს სმენია ინტერნეტ-ბანკინგის, როგორც ერთ-ერთი საბანკო პროდუქტის შესახებ, ხოლო შესაბამისად 49,8%-ს არაფერი გაუგონია ასეთ მომსახურებაზე.

ინტერნეტ-ბანკინგის შესახებ ინფორმაციულობის დონის გარკვევასთან ერთად, კვლევის მიზანს შეადგენდა იმის განსაზღვრა, თუ როგორია ამ მომსახურებით მოსახლეობის სარგებლობის დღევანდელი რეალური მდგომარეობა (იხ. ცხრილი).

ინტერნეტ-ბანკინგის მომსახურებით სარგებლობის მაჩვენებლები (გამოკითხვის შედეგები)

ასაკობრივი ჯგუფები	გამოკითხულთა რაოდენობა	დადებითი პასუხი		უარყოფითი პასუხი	
		რაოდენობა	%	რაოდენობა	%
20-30 წ.	287	53	18.5	234	81.5
31-40წ.	140	16	11.4	124	88.6
41-50წ.	60	2	3.3	58	96.7
50-ზე ზევით	17	2	11.8	15	88.2
სულ	504	73	14.5	431	85.5

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, სისტემის ყველაზე მეტი მომხმარებელი დაფიქსირდა I ასაკობრივ ჯგუფში (18,5%). შემდეგ კატეგორიებში მათი რიცხვი მკვეთრად კლებულობს, ხოლო 41-50 წლის ასაკობრივ ჯგუფში მისი ხვედრითი წონა 3,3%-ს არ აღემატება. რესპონდენტთა მთლიანი რაოდენობის მიხედვით აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა მხოლოდ 14.5% ფლობს ინტერნეტ-ბანკინგით (73 ადამიანი), ხოლო მათი აბსოლუტური უმრავლესობა (85.5%) არ მიმართავს ან საერთოდ არ იცნობს ინტერნეტ-ბანკინგით მოსახურებას.

ინტერნეტ-ბანკინგით მომსახურების დღევანდელი არახარისხიანი (დაბალი) მაჩვენებლის მიუხედავად, საქართველოს მოსახლეობა მას მომავლის პროდუქტად მიიჩნევს. ამას ადასტურებს გამოკითხვის შედეგები, რომლის მიხედვითაც, **კითხვაზე-"თქვენით თუ არა ინტერნეტ-ბანკინგს მომავლის პროდუქტად"?** გამოკითხულთა უმრავლესობამ დადებითი პასუხი გასცა. კერძოდ, რესპონდენტთა 97% მას მომავლის მომსახურებად აღიარებს და მხოლოდ 3% თვლის, რომ ინტერნეტ-ბანკინგი არ გაამართლებს. თუმცა, კითხვაზე, თუ რატომ მიანნიათ ასე, თითქმის ყველამ პასუხისგან თავი შეიკავა.


რაც შეეხება **პროფესიული ნიშნით** ჩატარებულ გამოკვლევას, აქაც საკმაოდ ჭრელ სურათთან გვაქვს საქმე. ხელოვნების ჯგუფიდან დაფიქსირდა ინტერნეტ-ბანკინგის სისტემის მხოლოდ ერთი მომხმარებელი, მედიკოსებში – 5, ეკონომისტებში – 27, ხელუნრებში – 4, სოციალურ და სახოგადოებრივ მეცნიერებებში – 42. ასევე დადგინდა, რომ ტექნიკურ ჯგუფში და დიახალხებში დღეისათვის არავინ არ სარგებლობს ინტერნეტ-ბანკინგის მომსახურებით. ყველაზე მეტი მომხმარებელი აღმოჩნდა იურისტებში- 59 გამოკითხულიდან – 37%; ეკონომისტებში – 180-დან (15%). დანარჩენ ჯგუფებში კი უმნიშვნელო მაჩვენებლები დაფიქსირდა.

როგორც გამოკითხვამ გვიჩვენა, რესპონდენტების 50%-ზე მეტს სმენია ინტერნეტ-ბანკინგის შესახებ, რომელთა 11%-მა ინფორმაცია მიიღო რეკლამის საშუალებით, 37%-მა – მეგობრისგან, 27%-მა – კონკრეტული ბანკის თანამშრომლებისგან, 11%-მა – სხვადასხვა წყაროდან.

ამასთან, ინტერნეტ-ბანკინგის მომსახურების გამოუყენებლობის ძირითად მიზეზად გამოკითხულთა 58%-მა დაასახელა ინფორმაციის უქონლობა, 16% არ იცნობს ინტერნეტ-ბანკინგის უპირატესობებს, 14%-მა არ იცის, როგორ გახდეს სისტემის მომხმარებელი, 7% არ უნდობა უსაფრთხოების ზომებს, ხოლო 4%-ს არა აქვს პერსონალური კომპიუტერი და ინტერნეტი.

ამასთან დაკავშირებით, თუ ინტერნეტ-ბანკინგის **რომელი ფუნქცია დაიმკვიდრებს** განსაკუთრებულ **პოპულარობას** საქართველოს მოსახლეობაში, გამოკითხვის შედეგები ასეთია (იხ. დიაგრამა):

ინტერნეტ-ბანკინგის ფუნქციათა გამოყენება (%)



სადაც: 1-ბიბლიოგრაფიის ავანსის შეტყობა; 2-ბალანსის შეტყობა და ამონაწერის მიღება; 3-კომუნალური და სხვა გადასახდელების გადახდა; 4-სხვადასხვა გადარიცხვების წარმოება; 5-საკრედიტო ოპერაციების განხორციელება; 6-კონვერტაციის ოპერაციის განხორციელება.

ჩატარებულმა სოციოლოგიურმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ინტერნეტ-ბანკინგით სარგებლობისას მომხმარებელი უპირატესობას ანიჭებს კომუნალური და სხვა გადასახდელების გადახდას – 34.5%, მობილურის ავანსის შევსებას – 22.2%, სხვადასხვა გადარიცხვის წარმოებას –16.8%, ბალანსის შეტყობას და ამონაწერის მიღებას – 12.7%, კონვერტაციის ოპერაციას – 7.4%, საკრედიტო ოპერაციების განხორციელებას – 6,4%.

ინოვაციური საბანკო პროდუქტების პოპულარიზაციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მოტივაციის იმ კონკრეტული სახეობების დადგენას, რომელზეც ყველაზე მეტად რეაგირებს მოსახლეობა. შესაბამის კითხვაზე – **"თქვენთვის რაში მდგომარეობს ინტერნეტ-ბანკინგის გამოყენების მოტივაცია?"**- პასუხები შემდეგია:

რესპონდენტების ერთი მესამედი (33%) მიიჩნევს, რომ ინტერნეტ-ბანკინგით შესაძლებელია დროის ეკონომიურად გამოყენება; 26%-ის აზრით, იგი კლიენტებს აძლევს საკუთარ ანგარიშებთან მუდმივი წვდომის საშუალებას; 18% ფიქრობს, რომ ინტერნეტ-ბანკინგი არის საკუთარი დანაზოგების უკეთ კონტროლის ინსტრუმენტი, ხოლო 13%-ს მიაჩნია, რომ იგი საბანკო ოპერაციების დამოუკიდებლად განხორციელების საშუალებაა.

რესპონდენტებმა ინტერნეტ-ბანკინგის **უპირატესობად** ნათელეს:

– ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების სისწრაფე;

– სწრაფი გადახდები და საკუთარი ფინანსური აქტივების მართვა ნებისმიერი ადგილიდან;

– მეტი კომფორტულობა, ბინიდან საკუთარი ანგარიშების მართვის შესაძლებლობა;

– მოგზაურობის დროს მუდმივად საქმის კურსში ყოფნის შესაძლებლობა.

– საკუთარი კაპიტალის თვითმართვის საშუალება;

– დროის და ფინანსური ხარჯების დაზოგვის საშუალება;

– რისკის შემცირება;

– მომსახურების სიმარტივე;

– მოქმედების თავისუფლება;

– ცხოვრების წესის გამარტივება;

– თანამედროვე გამოწვევების დაკმაყოფილების საშუალება.

ამასთანავე, გამოკითხულებმა აღნიშნეს, რომ **მომავალი ინტერნეტ ტექნოლოგიებისაა** და, შესაბამისად, ინტერნეტ-ბანკინგს ამ მხრივ წარმატების მიღწევის დიდი შანსი აქვს.

რაც შეეხება იმას, თუ **"რის გაუმჯობესებას ისურვებდნენ ხისტემაში?"**, გამოკითხულთა უმრავლესობამ ერთხმად აღნიშნა, რომ აუცილებელია მოხდეს პროდუქტის შესახებ მეტი ინფორმაციის გავრცელება. ხურთ, ტარდებოდეს ფართო სარეკლამო კამპანია, რათა უფრო მეტმა ადამიანმა გაიგოს სისტემის უპირატესობები. ნატარდეს PR (პიარ) აქციები, გაუმჯობესდეს მომსახურების ხარისხი და სისწრაფე, გამარტივდეს პროცედურები, უფრო ფართოდ გავრცელდეს სისტემის გამოყენების ინსტრუქციები, გაუმჯობესდეს დაცვის მექანიზმი, მოხდეს ტექნიკური ხარვეზების შემცირება.

გამოკითხვის შედეგებმა ნათლად დაგვანახა ის პრობლემები, რომლებიც ხელს უშლის როგორც ინტერნეტ-ბანკინგის, ასევე სხვა ინოვაციური საბანკო პროდუქტების განვითარებას. ჩვენს მიერ ნატარებულმა კვლევამ და მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით გაკეთებულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ დღეისათვის ქართულ საბანკო სისტემაში მომსახურების ინოვაციური პროდუქტების დანერგვას სერიოზულად აფერხებს შემდეგი გარემოებები:

1. **უსაფრთხოების სისტემების შესახებ მოსახლეობის არასაკმარისი ინფორმირებულობა.** ქართული ბანკების მიერ გამოყენებული ინტერნეტ-ბანკინგის დაცვის სისტემები, შეიძლება ითქვას, სრულად შეესაბამება ამ სფეროში არსებულ მოთხოვნებს და დახავსებულის განვითარებული ქვეყნების ბანკების მიერ გამოყენებული დაცვის სისტემების იდენტურია. ამიტომ, ქართველ მოსახლეობას თითქოს არ უნდა ჰქონდეს მისთვის საჭირო ოპერაციების ინტერნეტ-ბანკინგით განახორციელების შიში. მაგრამ უნდობლობის მიზეზი ძირითადად მოსახლეობის ინფორმირებულობის დაბალი დონეა. როგორც კვლევამ აჩვენა, გამოკითხულთა 7% იმიტომ არ სარგებლობს სისტემის მომსახურებით, რომ უბრალოდ არ ენდობა მას. ამიტომ, ვფიქრობთ, ბანკები უნდა დაფიქრდნენ გამოკვლევით მიღებულ შედეგზე და მკვეთრად შეცვალონ თავიანთი პოლიტიკა ინტერნეტ-ბანკინგთან დაკავშირებით, კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ის, რომ აუცილებელია პროდუქტის წინწაწევის პირობებში უფრო მეტი აქცენტი გაკეთდეს უსაფრთხოების სისტემების ეფექტიან მუშაობაზე.

2. **ახალი პროდუქტების ცუდი შეფუთვა, მათი წინწაწევისა და რეალიზაციის არაეფექტიანი მეთოდების გამოყენება.** მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც გამოიკვეთა კვლევის პროცესში, არის ბანკების მხრიდან ინტერნეტ-ბანკინგის პოპულარიზაციის მიზნით შემუშავებული მარკეტინგული ღონისძიებების საერთოდ არარსებობა ან მათი სისუსტე. შევიხსენებთ რა ყველა ქართული ბანკის მიერ ამ კუთხით გატარებული ღონისძიებები, აღმოჩნდა, რომ ერთადერთი მარკეტინგული მიდგომა, რომელიც აღნიშნული პროდუქტის მიმართ ფიქსირდება, არის ხსენებასხვა პროდუქტის კომპლექსური გაყიდვა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი (თუ არა ყველაზე მთავარი) მომენტი ახალი პროდუქტის რეალიზაციისათვის არის მოსახლეობის ინფორმირებულობის მაღალი დონე. ქართული ბანკები ამ მხრივაც მოისუსტებენ. კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულთა ყველაზე დიდი რაოდენობა (58%) სწორედ არაინფორმირებულობის გამო არ არის სისტემის მომხმარებელი, ასევე 16% არ იცნობს სისტემის უპირატესობებს, ხოლო 14%-მა არ იცის, როგორ გახდეს მომხმარებელი. შეხსენებისად, მოქმედებს ზოგადი რეაქცია:

არ არსებობს ინფორმაცია → არ არსებობს ინტერესი → არ არსებობს მოთხოვნა.

ინფორმაციის გავრცელების დაბალი დონის პირობებში, ბანკები კარგავენ დიდი რაოდენობით კლიენტებს, რაც საბანკო ეკონომიკისა და გამჭვირვალე კონკურენციის პირობებში დაუშვებელია;

3. **კომუნიკაციების თანამედროვე საშუალებებისადმი მოსახლეობის ხელმიუწვდომლობა და არასაკმარისი ცოდნა.** ცნობილია, რომ ინტერნეტსა და პერსონალურ კომპიუტერს ფაქტობრივად მთელი აწყობილი დღეს ყველა ნოვაცია საბანკო სექტორში. ვინაიდან საქართველოში ამ რესურსების დეფიციტია, შეხსენებისად, არ არსებობს აღნიშნულ პროდუქტზე მოთხოვნაც და ასევე შეზღუდულია მოსახლეობის განათლების დონე ამ სფეროში. ამის დასტურად საკმარისია აღინიშნოს, რომ სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, 2008 წელს საქართველოში ინტერნეტში ნაროული იყო დაახლოებით 613,5 ათასი ადამიანი, ანუ ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის მხოლოდ 14%.

4. **ქართველთა მენტალური თვისებები.** ერთ-ერთი საკმაოდ ანეკდოტურია პრობლემა ის, რომ ქართველები ხასიათის ადვილად არ ეცლებიან. ჩვენ დიდად არ ვენდობით სხვებს რეკლამებს, ვინაიდან ვიცით, რომ ყველა კომერციული ორგანიზაცია, საბოლოო ანგარიშით, თავისი კეთილდღეობისათვის უფრო იღწვის, ვიდრე მომხმარებლის ინტერესებისათვის. ვფიქრობთ, სწორედ ამითაა განპირობებული, რომ 37%-მა ინტერნეტ-ბანკინგის შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროდ დაასახელა არა რეკლამა, ინტერნეტი, საკუთარი ლიტერატურა ან ბანკის თანამშრომელი, არამედ – მეგობარი. მიგვანია რომ, დროთა განმავლობაში ეს დამოკიდებულება უნდა შეიცვალოს.

ზემოთ მოტანილი მსჯელობების საფუძველზე შეგვიძლია მოკლედ **ჩამოვაყალიბოთ წინადადება – რეკომენდაციები,** რომლებიც, ვფიქრობთ, გამოადგებათ ქართულ ბანკებს თავიანთი საქმიანობის გაუმჯობესებაში:

- კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, აუცილებელია გაიზარდოს ინოვაციების შესახებ **საზოგადოების ინფორმაციულობის დონე.** მეტი რეკლამა და ბანკის თანამშრომლების მხრიდან მეტი აქტიურობა, ეს ის აუცილებელი კომპონენტებია, რაც ხელს შეუწყობს ინოვაციური პროდუქტების პოპულარიზაციის გაზრდას;
- **გადაუდებელ ღონისძიებად** მიგვაჩნია **ყველაზე მარკეტინგული პოლიტიკის შემუშავება,** კერძოდ, ინტერნეტ-ბანკინგის პოპულარიზაციისათვის სხვადასხვა მარკეტინგული მიდგომის გამოყენება, როგორი-

ცია, მაგალითად, ჯგუფური გაყიდვები, წამახალისებელი გათამაშებები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ დღეისათვის არცერთ ქართულ და არც ბევრ სახელვარეულ ბანკში არ ტარდება წამახალისებელი ღონისძიებები. იქნება ეს განხორციელებული ოპერაციების მოცულობიდან, დარეგისტრირების ნომრიდან, თუ სხვა მახასიათებლებიდან გამომდინარე. არადა, როგორც ცნობილია, ასეთი წამახალისებელი აქციებით ბანკს ყოველთვის შეუძლია მიაღწიოს თავის სახელვარეულ მიზანს და შედეგებს;

• აცილებელია ბანკმა, დროდადრო, მოახდინოს თავისი **მომხმარებლების კვლევა**, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს როგორც არსებული მომხმარებლების შესაძლებლებების შეფასებას, მათი სურვილებისა და შენიშვნების გათვალისწინებას, ასევე – **პოტენციური მომხმარებლების** ახალი ჯგუფების კვლევას, რაც საშუალებას იძლევა, შეფასდეს კლიენტების გემოვნება და შეიქმნას მათ მოთხოვნილებებზე ზუსტად მორგებული მომსახურების პროდუქტები;

• ისეთი პროდუქტის პოპულარიზაციისათვის, როგორიც ინტერნეტ-ბანკინგია (ასევე სხვა ონლაინ–მომსახურებები), დიდი მნიშვნელობა ენიჭება **პროგრამის სასიამოვნო ინტერფეისის** შექმნას. არსებობს კვლევის სხვა მეთოდებიც, რომლებიც ბანკების ჭიშარება, მიაღწიონ თავიანთ მიზანს ამ საკითხში. მათ შორის ყველაზე ეფექტურია ისეთი ვებ-გვერდის გახსნა, რომელიც ამომწურავად ახასიათებს მომხმარებელთა სურვილებს. ამასთან, თუ ბანკში კლიენტის მოზიდვის ერთ-ერთ მთავარ ხერხად სახიამოვნო ინტერიერი, გარემო და მომსახურე პერსონალის თბილი და ყურადღებიანი დამოკიდებულება ითვლება, ინტერნეტ-ბანკინგის შემთხვევაში ამ ყველაფერს ცვლის მარტივი, ადვილად გასაგები და მოსახერხებელი ინტერფეისი;

• პროდუქტის პოპულარიზაციის მიზნით შესაძლებელია **საფასო პოლიტიკის** გამოყენებაც. კერძოდ, მეტად ახრობირებული პრაქტიკაა ინტერნეტ-ბანკინგით განხორციელებულ ოპერაციებზე ყველაზე დაბალი საკომისიო განაკვეთის დაწესება ან საერთოდ გაუქმება. როგორც წესი, საფასო პოლიტიკაზე მომხმარებლები ყველაზე მეტად რეაგირებენ, შესაბამისად, ეს მათი ახალი სისტემით დაინტერესების საკმაოდ ძლიერი საშუალებაა. გარდა ამისა, დაბალი საკომისიო გადახახელები ზრდის როგორც სისტემით განხორციელებული გადარიცხვების ბრუნვის მოცულობას, ასევე კლიენტურის რაოდენობასაც;

• პროდუქტის მეტი პოპულარიზაციის მიზნით, ასევე შესაძლებელია **საზოგადოების თავშეყრის ადგილებში შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის დამონტაჟება,** რაც კლიენტს საშუალებას მისცემს ინტერნეტ-ბანკინგით სწრაფად განახორციელოს ოპერაციები. ამით მკვეთრად გაიზრდება სისტემის მომხმარებელთა რიცხოვნობა. მოგვანია, რომ პირველ ხანებში მაინც, სასურველია ბანკში თუნდაც ერთი სპეციალისტის გამოყოფა, რომელიც ადწერილ სისტემაზე იქნება მიმაგრებული და, საჭიროების შემთხვევაში, დაეხმარება მომხმარებლებს სხვადასხვა ოპერაციის განხორციელებაში, აუხსნის მათ სისტემის გამოყენების წესებს და უზრუნველყოფს ყველა საჭირო ინფორმაციით. ეს მომსახურება განსაკუთრებით მისახვრებელი იქნება კლიენტთა იმ წრისათვის, რომლებიც არ ფლობენ პერსონალურ კომპიუტერს და არ არიან ნართულნი ინტერნეტის ქსელში.

სპეციალური კომპიუტერების გამოყენებით ბანკს საშუალება მიეცემა შეიტანოს ინტერნეტ-ბანკინგი მომხმარებელების ახალ მიზნობრივ ჯგუფში, ასევე მოიპოვოს და დაისაკუთროს ბაზრის გარკვეული ნაწილი ამ სეგმენტში. სამომავლოდ კი ეს იმის გარანტიაა, რომ ყოველი მომხმარებელი, რომელიც დღეს სარგებლობს ბანკში ადწერილი პროდუქტით, საკუთარი პერსონალური კომპიუტერის შესყიდვის შემთხვევაში, აუცილებლად გააგრძელებს თანამშრომლობას ბანკთან. ამდენად, ამ ღონისძიების გატარებით ბანკები ფაქტობრივად ზრდიან კლიენტების რიცხვს დღეს და "ორჯერვეგენ" მათ მომავლისათვის;

• მნიშვნელოვანია, კომპიუტერმა ბანკებმა დროდადრო ჩაატარონ **ინტერაქტიული გამოკითხვები,** შესაძლებელია ეს იყოს მათ პერსონალურ საიტზე დადებული კითხვა, რომელიც ინტერნეტ-ბანკინგით განხორციელებული რაიმე ოპერაციის შესახებ იქნება დასმული.

ამასთანავე, სასურველი იქნება ხათანადო საიტის შექმნა როგორც ინტერნეტ-ბანკინგის, ასევე სხვა საბანკო პროდუქტების შესახებ გამოკითხვების ჩასატარებლად, სადაც შესაძლებელია კითხვარების დადება რომელიმე ეკონომიკური პროფილის ვებ-გვერდზეც. მაგალითად, ამ მიზნით ურიგო არ იქნება რუსულ ინტერნეტ სივრცეში არსებული საიტის www.internet-banki.ru, გამოცდილების გადმოღება, სადაც ტარდება სხვადასხვა ბანკის ინტერნეტ-ბანკინგის პერიოდული შეფასებები, მომხმარებელი ტოვებს თავის კომენტარებს, სურვილებს სისტემის გაუმჯობესების შესახებ. უკუზანის ბანკს კითხვების მიხედვით ჩაინტერესი

საკითხებზე, რაზეც ბანკის კომპეტენტური თანამშრომლები პასუხობენ.

ამდენად, ქალაქდება აქტიური დიალოგი ბანკსა და კლიენტებს შორის, რაც ნებისმიერი კომერციული ორგანიზაციისათვის მეტად მნიშვნელოვანი და უთუოდ გარკვეული სარგებლის მომტანია.

Internet banking in Georgian banking system and its developing tendencies

J. Shatirishvili,
N.Khitarishvili,
L.Shatirishvili

Internet banking is the modern innovation product, which is inculcated in more than 1500 banks in the world and twelve Georgian banks among them.

There is presented internet banking developing tendencies in the issue. Sociological research has been made according to the age groups and professions of population. There is analyzed:

- modern situation of Georgian internet banking;
- The knowledge level of this innovation product among the population;
- Prevent things from usage this product;
- it's the perspective product or not;
- what aren't the satisfactory factors and what should be improved.

According to the research results, there is presented suggestions about the improvement and extension of internet banking services.

ეკონომიკური განუსაზღვრელობისა და რისკის თეორიული მეფასება [1]

სიმონ ჭელაძეშვილი
თსუ ეკონომიკის და ბიზნესის
ფაკულტეტის სრული პროფესორი

ადამიანის საქმიანობის ნებისმიერი სფეროსათვის დამახასიათებელია რისკი, რადგან იგი დაკავშირებულია მრავალ პირობასა და ფაქტორთან, რაც გავლენას ახდენს მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე. მაგალითად, როდესაც ვდებთ ფულს ჩვენს საბანკო ანგარიშზე, არ ვიცით როგორი იქნება მისი მეიდვილობითუნარიანობა იმ მომენტისათვის, როდესაც მოგვინდება ამ ფულით სარგებლობა. ასევე უცნობია მომავალში აქციის ფასი, რაც ნაწილია ღელეს. უცნობია სპეციალობის ანახლაურება, რომელიც უნდა მიიღოს უმაღლეს სასწავლებელში სწავლების. ამრიგად, როდესაც ადამიანები არა არიან დარწმუნებული მომავალში, ისინი მიდიან რისკზე. ყოველდღიურ ცხოვრებაშიც ძალიან ბევრია რისკის ფაქტორი – ავტოკატასტროფაში მოხვედრის რისკი, გაკოტრების ან დაავადების რისკი. რისკი ადამიანთა ცხოვრების ნაწილია და არავითარ გენიალურობას, არავითარ ადამიანურ შეხაძლებლობას არ ძალუძს მისი სრულად აღმოფხვრა. ადამიანებს შეუძლიათ მხოლოდ ნაწილობრივ დაიცვან თავი შესაბამისი მოვლენისაგან რისკის შემცირების მეშვეობით, მაგალითად, დაზღვევის გზით.

სწორედ ამიტომ შეიქმნა ეკონომიკურ სტრუქტურებს, ეკონომიკური განუსაზღვრელობისა და რისკის პრობლემებს უფრო საფუძვლიანად უნდა მივუდგეთ. ამისათვის კი აუცილებელია ჩვენი უნივერსიტეტების შესაბამის ფაკულტეტებზე ისწავლებოდეს ეკონომიკური განუსაზღვრელობისა და გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, რაშიც შეიცავდეს სტატისტიკური მეცნიერება.

[1] წარმოდგენილი სტატია მომზადებულია სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის - „ბიზნესმენთა ქცევის ტიპები და სტრატეგია ეკონომიკური განუსაზღვრელობის პირობებში" – ფარგლებში

როგორც მეწარმეობის კონცეფციის ისტორიული განვითარების ამერიკელი მკვლევარები რ. ჰებერტი და ა. ლინკი აღნიშნავენ, მეწარმეობის თეორიაში რისკის ადგილი ის თემაა რომელზედაც საკმაოდ გამოცდილი და ცნობილი ავტორები, როგორც წარსულში, ასე აწმყოში, მთლიანად ვერ თანხმდებიან. ამასთან, რისკის და განუსაზღვრელობის ანალიზი გახდა აუცილებელი ელემენტი და კვლევის ინსტრუმენტი მეწარმეობაში.

ისტორიაში პირველად რისკის ცნება როგორც მეწარმეობის ფუნქციონალური მახასიათებელი, წამოყენებული იყო XVII საუკუნეში შოტლანდიური წარმოშობის ფრანგი ეკონომისტის რ. კანტილიონის მიერ. ის განიხილავდა მეწარმეს როგორც ფიგურას, რომელიც იღებდა გადაწყვეტილებას და იკმაყოფილებდა ინტერესებს განუსაზღვრელობის პირობებში.

მეწარმის მოგება დაკან ზარალი რისკისა და განუსაზღვრელობის შედეგი და მისი გადაწყვეტილების თანმხლებია. თვით მოგება ანუ შემოსავალი განისაზღვრება იმ სხვაობით, რომელიც არის წარმოების ფაქტორების ან საქონლის განსაზღვრულ შესასყიდ ფასსა და იმ განუსაზღვრელ ფასს შორის, რა ფასადაც ისინი შეიძლება შემდგომ გაიყიდოს.

მეწარმე მუდმივად აკვირდება ფასების ცვლილებას და ამით ის ხდება მოთხოვნისა და მიწოდების ბალანსის მიღწევის პროცესის სუბიექტი სხვადასხვა ბაზარზე. „მეწარმე ბაზრის მუდმივი მოთამაშეა, რომლის მიზანია მაქსიმალური მოგება მინიმალური დანახარჯებისა და რისკის პირობებში".[1]

მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმას, რომ კანტილიონის მიხედვით, მეწარმე შეიძლება იყოს ნებისმიერი ინდივიდი, რომელსაც აქვს განჭვრეტის ანუ პროგნოზირების უნარი და ამასთან ერთად სურვილი – თავის თავზე აიღოს რისკი, რომელიც მიისწრაფვის მომავლისაკენ და რომლის ქმედებებიც ხასიათდება შემოსავლის მიღების იმედით და დანაკარგებისათვის მზადყოფნით.

რისკის კონცეფციის განვითარება, რომელიც სამეწარმეო ფუნქციის მნიშვნელოვანი ელემენტია, უპირველესად დაკავშირებულია

[1] Gelaschwili S. Anwendung der Spieltheorie bei der Prognose von Marktprozessen. Statistische Diskussionsbeiträge. Nr. 11. Universität Potsdam, s. 9.

მეწარმის შემოსავლის ბუნების შესწავლასთან. კანტილიონის მიმდევრებიც მსგავს შეხედულებებს იზიარებდნენ რისკის შეფასებაში: სამეწარმეო შემოსავალი ან მისი ნაწილი ამა თუ იმ ფორმით არის რისკის საფუძური და თვისებრივად განსხვავდება შემოსავლისაგან ავანსირებულ კაპიტალზე ან ხელფასზე.

XIX საუკუნის გერმანული კლასიკური სკოლის წარმომადგენელმა ი. ფონ ტიუნენმა პირდაპირ დააკავშირა სამეწარმეო შემოსავლის ხდიდე სამეწარმეო რისკის წარმოშობასთან. ამ დროს ამოსავალ პირობად ტიუნენი უპირველესად იმ გარემოებას თვლის, რომ „... არ არსებობს ისეთი სადაზღვევო კომპანია, რომელიც თავს დაიცავს ყოველი იმ რისკისაგან, რომელიც ბიზნესთანაა დაკავშირებული. ყოველთვის რისკის ნაწილი მეწარმემ თავის თავზე უნდა აიღოს".[1]

რისკის თეორიის მიხედვით, მეწარმის შემოსავლის განსაზღვრას შემოაქვს დროებითი დანაკარგის და შემოსავლის ცნებები მოქმედების ალტერნატიული კურსის გამოუყენებლობის შედეგად. ტიუნენის მიხედვით, მეწარმის მოლოდინი განსაზღვრავს შეგნებულ არეულის განუსაზღვრელი სიტუაციის სახარგებლოდ. მისთვის არასახურველი სიტუაციის შემთხვევაში მან, მოსამსახურისაგან განსხვავებით, შეიძლება ყველაფერი დაკარგოს. ამრიგად, გერმანელი ეკონომისტის მიერ აღწერილ სიტუაციაში, მოგება როგორც მინიმუმი, უნდა უდრიდეს მოსამსახურის შემოსავალს. მაგრამ, მეწარმე რისკავს და რაც უფრო დიდია რისკი, მით უფრო მეტი უნდა იყოს მოგება მოსალოდნელ დანაკარგებთან, ე. ი. მინიმალურ შემოსავალთან შედარებით.

მეწარმის მთლიან შემოსავალში რისკისთვის ანაზღაურების გარდა შედის ასევე ანაზღაურება სამეწარმეო ხელოვნებისათვის. ამ შემოსავლის საფუძველი მეწარმის, როგორც ნოვატორის მოქმედებაა და როგორც ნოვატორ-გამომგონებელი, მეწარმე ჯილდოვდება ამ ფუნქციისათვის მოცემული გაუმჯობესების ან გამოგონების გამოყენებით მიღებული ეკონომიკური ეფექტისაგან. ამრიგად, მეწარმის სახით გააერთიანა რა რისკის ტარების ფუნქცია და სიახლეების რეალიზაციის შესრულება, ტიუნენმა გადალახა მეწარმეობის თეორიის ფუძემდებლის რ. კანტილიონის ცალმხრივი შეხედულებები, რაც გამოიხატებოდა მხოლოდ რისკის ტარებაში.

[1] Дынкин А. А. Предпринимательство в конце XX века, М., Наука,1992. с. 17.

კიდევ ერთმა კლასიკური გერმანული სკოლის წარმომადგენელმა გ. ფონ მანგოლდტმა 1855 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „მეწარმის ნამდვილი დანიშნულება და სამეწარმეო მოგების ჭეშმარიტი ბუნება". თავისი თეორიული კვლევის ცენტრში, რომელიც მეწარმეობას შეეხება, მან დააყენა რისკის ტარება, როგორც მეწარმის ფუნქციის მნიშვნელოვანი როლი, მაგრამ უფრო დაწვრილებით განიხილა იგი წარმოების სიბრტყეში. „ის, რაც თავისთავად განკუთვნილია გაგებიდან „მეწარმე", მდგომარეობს ერთის მხრივ, წარმოებულ პროდუქციაზე კონტროლით, მეორეს მხრივ – თავის თავზე პასუხისმგებლობა აიღოს ნებისმიერი ხასიათის მოსალოდნელ ზარალზე". მანგოლდტმა რისკის თეორიაში გამოყო ცნებები - „წარმოება შეკვეთაზე" და „წარმოება ბაზრისათვის". „წარმოება შეკვეთაზე" - გარანტირებულია შემოსავალი, ვინაიდან წინასწარ არის ცნობილი შემკვეთი და განსაზღვრულია ფასი, შესაბამისად რისკი მინიმალურია ან საერთოდ არ არსებობს. შესაბამის ხიტუაციებში ფაქტობრივად მოსსნილია განუსაზღვრელობა, რომელიც თან ახლავს წარმოების დაწყებას და საბოლოო პროდუქტის გაყიდვას. ბაზრისათვის წარმოებაში ასეთი განუსაზღვრელობა არსებობს, რადგან პროდუქტი განკუთვნილია გასაყიდად გაურკვეველი მოთხოვნის ფასების პირობებში.

მიაკუთვნა რა მეწარმის საქმიანობა „ბაზრისათვის წარმოებას", მანგოლდტმა პირველმა დასვა საკითხი რისკის ხარისხის შეფასებაზე, რომელსაც ატარებს მეწარმე. ასეთი შეფასებისათვის მას შეჰყავს თავის კვლევაში დროის ფაქტორი. რაც უფრო დიდია დროის მონაკვეთი საქონლის წარმოების დაწყებამდე და მის გაყიდვამდე, მით უფრო დიდია წარმატების განუსაზღვრელობა, უფრო მეტია დანაკარგების რისკი მეწარმისათვის და შესაბამისად, მეტია შრომის დაბალი ანაზღაურების ალბათობა. მეწარმე იღებს თავის თავზე გადაწყვეტილების მთელ სიმძიმეს, რაც დაკავშირებულია ინვესტიციების მოსალოდნელ რენტებსა და ფულად შემოსავლებთან დროში. აქედან გამომდინარე, მანგოლდტის მიხედით, რისკის ტარების ეკონომიკური ფუნქციის პრაქტიკული გადაწყვეტა მეწარმის როლის დანიშნულებაშია - მიიღოს გადაწყვეტილება განუსაზღვრელ გარემოში. ამასთან, მეწარმე რჩება შეგუებული მის ნება-სურვილზე დამოუკიდებელი სიტუაციების ცვლილებებისადმი. მაგრამ, ამასთან ერთად, სახელდობრ „მანგოლდტის მეწარმე" პირველად იღებს თავისი საქმიანობის დროის პორიზონტს, რამაც საფუძველი დაუდო სამეწარმეო რისკის საკითხების დამუშავებას და შესაბამის სამეწარმეო შემოსავალს.

განსაკუთრებით სრული განვითარება რისკის ფაქტორმა როგორც სამეწარმეო ფუნქციის მნიშვნელოვანმა შემადგენელმა, მიიღო ამერიკელი ეკონომისტის ფრენკ ნაიტის შრომებში. ნაიტმა დაუკავშირა სამეწარმეო შემოსავალი არა ნებისმიერ რისკს. მეტიც, მანამდე განხორციელებულ სამეწარმეო რისკის ბუნდოვან და არასრულ კვლევებს ის უკავშირებდა რისკის სხვადასხვა სახეობის არსებობის არაკეთილ გაგებას. იგი თვლიდა, რომ სამეწარმეო რისკი არ არის მხოლოდ ბიზნესმენთან დაკავშირებული.

რისკი, ნაიტის მიხედით, წარმოადგენს ამა თუ იმ მოვლენის ობიექტურ ალბათობას და შეიძლება იყოს გამოხატული რაოდენობრივად, კერძოდ შემოსავლების ალბათური განაწილების სახით. რაც მეტია სტანდარტული გადახრა მოსალოდნელი სიდიდისაგან ასეთი განაწილებით, მით ნაკლებია რისკი და პირიქით.

ამავე დროს არსებობს განუსაზღვრელობა, რომელიც იმას ნიშნავს,რომ მოსალოდნელი შემოსავალი პრინციპში შეიძლება მიღებულ იქნეს, მაგრამ ასეთი შემოსავლის გაზომვა ან გამოთვლა შეუძლებელია. ასეთ ხიტუაციებს ფ. ნაიტი მიაკუთვნებდა. მაგალითად, სამოხმარებლო მოთხოვნის ქცევასა და მომართულებას.

რისკი, გაზომილი ალბათური განაწილებით, უნდა მიეკუთვნოთ წინასწარ დაზღვეულ კატეგორიას. სახელდობრ, რისკი როგორც ასეთი, გათვალისწინებულია საწყის საინვესტიციო გადაწყვეტილებებში და გარდაიქმნება, ნაიტის ხიტყვებით, „სარჯების მუდმივ ელემენტად" დაზღვევის სახით. ასეთი რისკი არ არის მეწარმისათვის განუსაზღვრელობის ფაქტორი და შესაბამისად წარმოალგენს მისი მოგების ან დანაკარგის მიზეზს.

რისკთან ერთად აუცილებელია განვიხილოთ „ჩამდვილი" განუსაზღვრელობა, რომელშიც ვლინდება სამეწარმეო ფუნქცია, ასევე მისი შემოსავალი. სახელდობრ - დაუზღვეველი განუსაზღვრელობა, რომელიც ინვესტორ-მეწარმეთა კაპიტალში არ არის გათვალისწინებული და გარკვეულწილად ხდება მეწარმის საქმიანობის „ფარ-

[1] Дынкин А. А. Предпринимательство в конце XX века. М., Наука.1992. с. 23.

მი". შემოსავლის ნაშთი, რომელსაც იღებს მეწარმე, ეკლიბლება ყველა ვალდებულების შესრულებისა და დაკმაყოფილების შემდეგ, მათ შორის სადაზღვევო რისკისაც. ამ ნაშთის სიდიდე კი დამოკიდებულია ნაწილობრივ მეწარმის "ენარზე "გაიარის" განსახღვრულობაში, და აგრეთვე არსებულ ეკონომიკურ გარემოში შემთხვევითი ფაქტორების მოქმედების ხასიათზე. შედეგად „მხოლოდ იმ რისკს მივყავართ სამწარმეო მოგებასთან, რომელიც წარმოადგენს უნიკალურ განუსაზღვრელობას და გამომდინარეობს საბოლოო პასუხისმგებლობიდან, რაც თავისი ბუნებით არ შეიძლება არც დაზღვეოს, არც კაპიტალიზებული და კომპენსირებული იყოს ჯამაგირით."[1]

მომავლის განუსაზღვრელობა ყოველი შემდგი დღის განუყრელი მახასიათებელია და მხოლოდ ის ინდივიდები, რომლებსაც მუდმივად აქვთ მასთან საქმე თავიანთ ეკონომიკურ მოღოდინში, არიან მეწარმეები. რ. კანტილიონი თვლიდა, რომ მეწარმეობის ფუნქცია - ეს განუსაზღვრელობაში მოქმედებაა, რაშიც ის პოულობს თავისი მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების წყაროს. სწორედ ეს ფუნქცია ნაცდო მისი საბაზრო სისტემის კონცეფციის საფუძველში.

განუსაზღვრელობის პირობებში პირადი პასუხისმგებლობა მიღებულ გადაწყვეტილებებზე არის ასევე ე. შეკლის კვლევის მოტივი. მისთვის დამახასიათებელია წონასწორობის მდგომარეობის საერთოდ უარყოფა, რომლის გარეშეც შეუძლია იარსებოს მეწარმემ და რომლის დარღვევაც მისი საქმიანობის მიმართულებაა. იგი მიიჩნევს, რომ მთავარი ფუნქცია განუსაზღვრელობის გადატანა და გადაწყვეტილების მიღებაა. ეს უკანასკნელი ხორციელდება ინტუიციის ან ინსტინქტის დონეზე სრული პასუხისმგებლობით. განუსაზღვრელობა აგრეთვე არის „გონების მდგომარეობა", რადაც სუბიექტური, მაგრამ რომელიც შეხლულია როგორც პირადი, ასევე გარემო პირობებით.

ფ. ნაიტის კვლევები სამწარმეო შემოსავალზე საფუძვლად დაედო თანამედროვე ხედვას რისკსა და განუსაზღვრელობაზე. მისი შედეგები საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ კორპორაციების ტრადიციულ მართვასა და მეწარმეობას შორის არსებული ხაზღვრები.

ეკონომიკური მოქმედების რეალიზაცია ხდება რეალური სოციალურ-ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების არაერთგვაროვანი მიმდინარეობის, გადაწყვეტილებათა მრავალი შესაძლებელი მდგომარეობისა და სიტუაციის პირობებში. ნებისმიერი სამეურნეო გადაწყვეტილების მიღების მუდმივი ელემენტია რისკი, ვინაიდან განუსაზღვრელობა – მეურნეობრიობის პირობების განუყრელი მახასიათებელია. გადაწყვეტილების მიღების მომენტში ყოველთვის არ არის შესაძლებელი დროში დაშორებულ პერიოდში მიღღო სათანადო მონაცემები ყველა მოქმედ და მოსალოდნელ შინაგან და გარეგან ფაქტორებზე. ობიექტურად არსებობს აგრეთვე აღმოუხერელი განუსაზღვრელობა, რომელსაც გადაწყვეტილების მიღებისას აქვს ადგილი, რასაც საბოლოოდ მივყავართ იმ ახართან, რომ რისკი არასოდეს არ არის ნულოვანი. ამის მიზეზი კი დასახული მიზნის მიღწევის თავდაუკერებლობაა. და, შედეგად, დასახული მიზანი მეტ-ნაკლებად ვერ მიიღწევა.

განუსაზღვრელობის წყარო რამდენიმეა, მაგრამ, უპირველესად ეს ეკონომიკურ ხედროსა და არსებულ გარემოზე ადამიანთა ცოდნისა და სათანადო ინფორმაციის უკმარისობაა. მსგავს განუსაზღვრელობას ადამიანი ყოველთვის აწყდებოდა მას შემდეგ, რაც მან დაიწყო გააზრებული გადაწყვეტილებების მიღება. ბუნების კანონების არცოდნა ხელს უშლიდა ხაწარმოო საქმიანობას და არ იძლეოდა მეურნეობის ეფექტიანად გაძღოლის საშუალებას.

განუსაზღვრელობის შემდგი წყარო – ეს შემთხვევითობაა, კერძოდ ის, რომ მსგავს პირობებში არაერთგვაროვანი სიტუაციები ხდება, რაც წინასწარ შეუძლებელია გამოიცნო. ყველა მოცემული შემთხვევის წინასწარ დაგეგმვა შეუძლებელია. მაგალითად, მოწყობილობების მწყობრიდან გამოსვლა და მოსახლეობის მოთხოვნის უეცარი შეცვლა პროდუქციაზე, ნედლეულის მიწოდების უეცარი შეწყვეტა – ყველაფერი ეს შემთხვევითობის კონკრეტული გამოვლინებებია.

არის განუსაზღვრელობის მესამე მიზეზიც – საპირისპირო ანუ უკუქმედება. ასე. მაგალითად, უკუქმედება შეიძლება გამოვლინდეს მომწოდებლების მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის, რაიმე სახეობის პროდუქციაზე მოსახლეობის მოთხოვნის უეცარი შეცვლის, პროდუქციის გასაღების ხირთულეების შემთხვევაში. ამ მიზეზების გამო ხდება განსხვავება რისკსა და განუსაზღვრელობას შორის. განუსაზღვრელობა აღნიშნავს შესაძლებელ მომავალ მოვლენებზე ინფორმაციის ნაკლებობას, რისი კი იმ სიტუაციას აღნიშნავს, როდესაც

[1] Дынкин А. А. Предпринимательство в конце XX века. М., Наука.1992. с. 27.

ადამიანებმა ზუსტად არ იციან, თუ რა მოხდება კონკრეტულად, მაგრამ ყოველი შესაძლო შედეგის ალბათობა შეუძლიათ წარმოიდგინონ და მიახლოებით გამოითვალონ. განუსაზღვრელობისგან განსხვავებით, რისკი გაზომვადი სიდიდეა, მისი რაოდენობრივი ხასიათი შეიძლება იყოს ხელსაყრელი და არახელსაყრელი შედეგის ალბათობა.

სამწარმო რისკის ბუნების გასაგებად ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს რისკისა და შემოსავლის ურთიერთკავშირის ახსნას. ადამ სმიტი თავის ნაშრომში „კვლევები ხალხთა სიმდიდრის მიზეზებსა და ბუნებაზე" წერდა, რომ მოგების ნებისმიერი ნორმის მიღწევაც კი ყოველთვის დაკავშირებულია დიდ ან მცირე რისკთან.[1] საყოველთაოდ ცნობილია, რომ მოგების მიღება მეწარმეს გარანტირებული არა აქვს მის მიერ დახარჯული დროის, შესაძლებლობების, ხსვა რესურსების შედეგი შეიძლება იყოს მოგება ან ზარალი.

მეწარმე მზადაა წავიდეს რისკზე განუსაზღვრელობის პირობებში, ვინაიდან წაგების რისკთან არსებობს აგრეთვე დამატებითი შემოსავლების შესაძლებლობა. ი. შუმპეტერი წიგნში - „ეკონომიკური განვითარების თეორია", წერს იმაზე, რომ თუ რისკები არ არის გათვალისწინებული საშეურნეო საქმეში, მაშინ ის ხდება, ერთი მხრივ, წაგების წყარო, მეორე მხრივ - მოგების. შეიძლება არსებული იყოს გადაწყვეტილება, რომელიც ნაკლებ რისკს შეიცავს, მაგრამ ამ დროს მიღებული მოგებაც შეიძლება ნაკლები იყოს.[2]


ქვემოთ მოცემულ სქემაზე ნაჩვენებია რისკისა და მოგების დამოკიდებულება. აქ ნათლად ჩანს, რომ უფრო მაღალი რისკი დაკავშირებულია უფრო მაღალი შემოსავლის მიღებასთან.

გრაფიკიდან ჩანს, რომ ნულოვანი რისკი გვაძლევს ყველაზე ნაკლებ შემოსავალს, ხოლო ყველაზე მაღალი რისკის დროს (R_2) მოგებაც მეტია (P_2). აქედან გასაგები ხდება ცნობილი ანდაზის აზრი: „ვინც არ რისკავს, ის არ ხვდის შამპანურს". მაშასადამე, ეკონომიკური მოგების მისაღებად მეწარმე შეგნებულად უნდა წავიდეს სარისკო გადაწყვეტილებებზე.

შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ განუსაზღვრელობა და რისკი სამწარმეო საქმიანობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს, შეიცავს

[1] Гусейнов Р. М., Горбачева Ю. Л. История экономических учений. М., НГА, 2000, с. 24.
[2] Шумпетер И. Теория экономического развития. М., Прогресс, 1982, с. 369.

შემოსავლისა და რისკის ურთიერთდამოკიდებულება



წინააღმდეგობების დაგვეხსნა და სინამდვილეში არსებულთან. ხიტუაციის განუსაზღვრელობაა ის, რომ იგი დამოკიდებულია მრავალ ცვალებად კონტრაგენტთან, რომელთა მოქმედებები არ შეიძლება წინასწარ განჭვრიტო ზუსტად, თუმცა მაახლოებითი განსაზღვრა შესაძლებელია. მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ასევე მაზნის, კრიტერიუმებისა და შეფასების მანვენებელთა არასწორი განსაზღვრა. ამასთანავე, ეკონომიკური გადაწყვეტილებისა და რისკის წინასწარი დახაბუთება დაკავშირებულია პროგნოზირების მეთოდოლოგიის ცოდნასთან, რაშიც გადამწყვეტი როლი მიეკუთვნება პროგნოზირების სტატისტიკურ მეთოდებსა და ხერხებს. ამ შემთხვევაში ძირითადი ამოცანაა ეკონომიკური რისკის მახასიათებელი შედეგის წინასწარ განსაზღვრა. „ასეთი კვლევის ძირითადი სახეობა შედეგია მეცნიერულად დახაბუთებული პროგნოზული შეფასებების მიღება ამა თუ იმ მოვლენის მომავალი განვითარების შესახებ."[1] გელაშვილი ს. მოვლენათა დინამიკის სტატისტიკური პროგნოზირების

[1] გელაშვილი ს. მოვლენათა დინამიკის სტატისტიკური პროგნოზირების მეთოდოლოგიური საკითხები. თსუ, თბ., 2005, გვ. 11.

რისკის დამოკიდებულების მიხედვით მოსახლეობა შეიძლება დაიყოს 3 ჯგუფად: 1. უპირატესობას აძლევენ რისკს; 2. აჰათიურები არიან რისკის მიმართ; 3. აქვთ ნეიტრალური დამოკიდებულება რისკის მიმართ. რისკის არსებული და შეფასება დიდადაა დამოკიდებულია იმ ადამიანზე, რომელიც მას ირჩევს. ერთი და იგივე ხარისკო სიტუაცია სხვადასხვა მეწარმის მიერ სასიათდება განსხვავებულად, რადგანაც რისკის აღქმა ძლიერ ინდივიდუალურია. არანაკლები მნიშვნელობა აქვს ასევე იმას, თუ რა იმარჯვებს: წარმატების თუ წარუმატებლობის წინათგრძნობა. მეწარმეები, რომელთაც რისკის მიმართ ნეიტრალური დამოკიდებულება აქვთ,ნეგულებრივ კონსერვატული ტიპის არიან და ერიდებიან ხარისკო გადაწყვეტილებებს და ხასხვებს.[1]

მეწარმის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას, რომელიც რისკთან არის დაკავშირებული, მნიშვნელოვან როლს თამაშობს მისი ინფორმირება, გამოცდილება, კვალიფიკაცია, საქმიანი თვისებები. მეწარმე განწყობილია ხარისკო გადაწყვეტილებების მიღებასთან იმ შემთხვევაში, თუ იგი დარწმუნებულია შემხრულებელთა პროფესიონალიზმში. შეცდომები, რომლებიც დაშვებული იყო აღრე, ანალოგიურ სიტუაციაში, კარნახობს მას უფრო ფრთხილი სტრატეგიის არჩევანს. პრინციპული გადაწყვეტილება ხარისკო პროექტის მიღებაზე დამოკიდებულია იმაზე, თუ რას აძლევს ის მეტ უპირატესობას – მოსალოდნელ მომგებიანობას თუ საიმედოობას. ეს უკანასკნელი კი დაკავშირებულია მოგების მიღების ალბათობასთან მცირე რისკის პირობებში.

დღეისათვის ეკონომიკურ თეორიაში ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული რისკების საყოველთაოდ მიღებული კლასიფიკაცია. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ პრაქტიკაში არსებობს რისკის გამოვლინების დიდი რაოდენობა. ამავე დროს რისკის ერთი და იგივე სახეობა შეიძლება აღნიშნულ იყოს სხვადასხვა ტერმინით. ამასთანავე, ხშირად ძნელია ნათლად განასხვაო რისკის ცალკეული სახეობა.

ზოგადად რისკები კლასიფიცირდება მათი გამოვლენის მასშტაბის მიხედვით. ღია საბაზრო სისტემაში იერარქიული სახლვარი მაკრო-, მეზო- და მიკროდონეების შორის იშლება გამოყენელისა და მყიდველის ინტერესების ერთიანობაში ბაზარზე. თანამედროვე ქართული ეკონომიკის პირობებში, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, სახლერები დონეების შორის მკაფიოა.

[1] Долан Э. Дж.. Линдсей Д. Рынок: Микро экономическая модель. С.-Пб.. 1992. с. 317.

მაკროდონისათვის დამახასიათებელია ქვეყნის რისკი – მიმდინარე და მომავალი ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და ფისკალურ-მონეტარული პირობების შესაძლებლობების ცვლილებები ამა თუ იმ ხარისხით. ასეთ ცვლილებებს შეუძლიათ ზემოქმედება იქონიონ ფირმების, ცალკეული დარგების და სახელმწიფოების (მთავრობის) უნარზე უპასუხონ აღებულ ვალდებულებებს უცხოელი კრედიტორების წინაშე. მაკროდონეზე ეკონომიკური რისკები იყოფა შიგა ეკონომიკურ და გარე ეკონომიკურ, წინასწარ განსაზღვრულ და წინასწარ განუსაზღვრელ რისკებად. ფისკალურ-მონეტარული რისკი დაკავშირებულია ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებასთან და მოიცავს ცვლილებებს სახელმწიფოს საგადასახადო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში, რომელსაც სახელმწიფო ახორციელებს.

სოციალურ-პოლიტიკურ რისკებს მიეკუთვნება ცვლილებები პოლიტიკურ სიტუაციებში, მოქმედ კანონმდებლობაში, სოციალურ დაპაპირობებში სახოგადოებაში, მკვეთრი დემოგრაფიული ცვლილებები (განსაკუთრებით ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში) და ა.შ.

მეზოდონეზე ნდება დარგობრივი ბუნების რისკები. ესენია: სამეწარმეო, აგრარული რისკი და მომსახურების სფეროს რისკები. სამეწარმეო რისკი მეზოდონეზე დაკავშირებულია დარგის ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებთან როგორც ინდივიდუალურად, ასევე სხვა დარგებთან ურთიერთკავშირში. დარგობრივი რისკის ფაქტორებს მიეკუთვნება დარგის სასიცოცხლო ციკლის სტადია, რესურსების რაოდენობა და სარისხი, საწარმოო კონკურენცია და კონცენტრაცია, დაბეგვრის რეჟიმი და ა. შ.

მიკროდონეზე ადგილი აქვს რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია კონკრეტული ფირმის სამეურნეო საქმიანობასთან. რისკი ფირმის დონეზე ორ სახეობად იყოფა: ფინანსური და კომერციული. კომერციული რისკი – ეს განსაზღვრული შედეგების არმიღების ალბათობაა ფირმის საორგანიზაციო-ტექნიკური, სამეწარმეო და სამეცნიერო პოტენციალის გამოყენებისას. კომერციული რისკი მოიცავს მარკეტინგულ და საქმიან რისკებს. მარკეტინგული რისკის ფაქტორებს წარმოადგენს ფირმის პროდუქციის კონკურენტუნარიანობა მოლიანობაში, ფასებისა და ასორტიმენტის პოლიტიკა, საკანონმდებლო აქტები და ა.შ. საქმიანი რისკი განისაზღვრება ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა: საწარ-

მის სათანადო ხაზით-ტექნიკური პოტენციალი, საწარმოო და ინფრასტრუქტურა საქმიანობის ეფექტიანობა, ფინანსური მდგომარეობის მდგრადობა, მართვის სისტემის ეფექტიანობა, გამოხაშვები პროდუქციის ხარისხი და სხვ.

გათვალისწინებულ უნდა იყოს ისიც, რომ რისკები ეკონომიკის სხვადასხვა დონეზე ურთიერთკავშირშია და ერთის ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს მეორის ცვლილებები.

Theoretical Evaluation of Economic Uncertainty and Risk

S. Gelashvili

Theory and methodology of economic uncertainty and risks are multi scientific problems of contemporary world which have become especially actual during the last 10 – 15 years, in the period of rather frequent regional and global financial-banking and economic crisis.

There are several sources of economic uncertainty, but first of all, it is caused by lack of human knowledge and appropriate information in economic field and about existing environment. A person always comes across such uncertainty after he has begun making sensible decisions.

There are almost no zero risks in economic and business. Experience, qualification, working skills of an entrepreneur, as well as providing him with proper information plays a considerable role in making decisions which are connected with risks. The entrepreneur is ready to make risky decisions in case he believes in professionalism and honesty of the people responsible for doing the job.

In today's economic theory there is still no internationally recognized classification of risks. This is because of a great number of risks that occur in realty. Herewith, it is not easy to draw a line between different types of risks.

სასურსათის მოხმარების კულტურა, კვების ტიპები და ნორმები

პაატა კოღუაშვილი,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
თსუ პროფესორი

საქართველო უძველესი, თვითმყოფადი აგრარული კულტურისა და საკვებმოპოვების მოწინავე გამოცდილების ქვეყანაა. ქართული ერის კვების ტრადიციები წინა აზიურ სივრცეში ყალიბდებოდა, რომელიც სამართლიანად ითვლება უძველესი მეწარმოქმედებისა და მეცხოველეობის განვითარების კერად. ტრადიციულ საკვებ პროდუქტებზე მოთხოვნილება ქართველებში გენეტიკურია, იგი ათასწლეულების მანძილზე იხვეწებოდა როგორც გემოვნება და მკვიდრდებოდა როგორც კვების ხასიათი. გლობალიზაციის ეპოქაში ქართველებს უნიკალური კვების კულტურის დასაცავად დიდი პიფრთხილე გვმართებს. ზოგადქართული კვების ხასიათიდან გამომდინარე, ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ და გავამდიდროთ კვების რაციონი.

„საქართველოს ბუნებრივი მრავალფეროვნების საფუძველზე ქართველმა ერმა შექმნა მრავალნაირი საკვები და სასმელი, რომლითაც ის თავის ჯანმრთელობასაც იცავს და გემოვნების მოთხოვნილებებსაც იკმაყოფილებს“ (ივანე ჯავახიშვილი). საცივცხლო უზრუნველყოფის სხვა ატრიბუტებთან ერთად ხურასთი საუკუნეთა განმავლობაში ქმნიდა და განახორციელა ცალკეული ერების სპეციფიკურ ეთნოკულტურას. ჩვენს დროშიც კი, როცა მატერიალურ-კულტურული, საყოფაცხოვრებო და სხვა სფეროებში მიმდინარეობს ეთნიკური სპეციფიკის ინტენსიური ნიველირების (გამოთანაბრების) პროცესი, ისტორიულად ჩამოყალიბებული კვების ხალხური, ტრადიციული სისტემა კვლავაც ეროვნული კულტურის ფენომენად რჩება. მასში ვლინდება საცივ-

ოცხლო უხრუწველეოფის კულტურის მემკვიდრეობითი ფასეულობანი. ეთნოსის დამახასიათებელი თვისებები და ეროვნული თვითშეგნება.

საქართველო უძველესი, თვითმყოფადი აგრარული კულტურისა და საკვებმოპოვების მიწინავე გამოცდილების ქვეყანაა. ქართველი ერის კვების ტრადიციები წინა აზიურ სივრცეში ყალიბდებოდა, რომელიც სამართლიანად ითვლება უძველესი მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის განვითარების კერად. ტრადიციულ საკვებ პროდუქტებზე მითხოვნილება ქართველებში გენეტიკურია, იგი ათასწლეულების მანძილზე იხვეწებოდა როგორც გამოვენება და მკვიდრდებოდა როგორც კვების ხასიათი. ყოველივე ამან განაპირობა ქართველთა განსხვავებული ნეგენები, სურვილები და მისწრაფებები ამქვეყნიურ ცხოვრებაში, რაც მიწასთან მარადიული ურთიერთობის თავისებურებებიდან გამომდინარეობს.

ქართველი ერის გენეტიკური ჭრილობის ეთნოლუციურ პროცესში იქმნებოდა მეურნეობის გაძლოლისა და მისი მოვლა-პატრონობის უნიკალური წესები. საქართველოს გეოგრაფიული გარემო, მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური ხორალობა განაპირობებდა მთისა და ბარის ეკონომიკური ზონების ფორმირებას, სოფლის მეურნეობის გაძღოლის სპეციფიკურ თავისებურებას, რომელიც ბუნებათხარგებლობის პრინციპებს, ნიადაგდაცვით მიწათმოქმედებასა და ბუნებრივ-კულტურულ მეცხოველეობას ეფუძნებოდა.

საკვები პროდუქტი ადამიანის მატერიალური კულტურის ერთერთი ყველაზე არსებითი შემადგენელი ნაწილია. ივანე ჯავახიშვილის აზრით, „კვებას ერის ფიზიკურ-გონებრივი განვითარებისთვის უადრესი მნიშვნელობა აქვს და ადამიანის მეურნეობითი შემოქმედების ამ დარგშიც კულტურის განვითარების როგორც მიმდინარეობა, ისევე მისი დონეცა ნანს და ბუნებრივი სიმდიდრის გონიერული გამოყენების ხალხის უნარი კარგად გამოისატება ხოლმე."[1]

საკვების ხასიათა, საკვებწარმოების წესი, კვების პერიოდულობა, ყოველდღიური და რიტუალური საკვები და სუფრის ეტიკეტი ეთნოსის კვების ხასიათს ქმნის. სხვაგვარად, კვების ხასიათი დაკავშირებულია ყოფითი კულტურის ბუნებრივ და სამეურნეო პირობებზე. მას ზე

[1] ჯავახიშვილი ივ. თხზულებანი თორმეტ ტომად, საქართველოს ეკონომიური ისტორია, პირველი ნაწილი, ტომი მეოთხე, თბ., 1996.

გავლენას ახდენს ხალხის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე, ისტორიული გარემო, რელიგია და ეთნოსთაშორისი კონტაქტები.

საქართველოში კვების ხისტემის და კვების კულტურის განვითარების ხელს უწყობდა და ავალიბებდა ეკოლოგიური გარემო, სამეურნეო პირობები, ჭონებრივი და სოციალური მდგომარეობა, ეთნოსის რელიგიურ-საკრალური წარმონა-ნეგენები.

საქართველოს ცალკეულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეს ჰქონდა თავისი ბუნებრივი და სამეურნეო სპეციფიკა, რაც განაპირობებდა ეთნიკური ჯგუფის კვების თავისებურებას (საკვების სახეობა, დამზადების წესი, საკვების მიღების პერიოდულობა). ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესში, მთისა და ბარის ინტენსიური კონტაქტების შედეგად ნამოყალიბდა ზოგათქართული კვების კულტურა.

ქართული კვების კულტურაში მცენარეული კომპონენტების ძირითადი მასა მოდის მიწათმოქმედებიდან. მისი შემავსებელი (და არა დამხმარე) ნაწილი შემგროვებლობის პროდუქტი იყო. მეცხოველეობის განვითარებასთან ერთად, ცხოველური წარმოშობის პროდუქტებიდან ნანადირევის ხვედრითი წონა თანდათან მცირდებოდა და ბოლოს 'დელიკატესად" იქცა. საქართველოში სამხიარო თევზჭერა არეწაო სახითისა არ ყოფილა, ამიტომ თევზი ქართველთა კვების სისტემაში, როგორც ცხოველური წარმოშობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, იყო და არის მოპოვებითი მეურნეობის პროდუქტი.

ქართველთა კვების სისტემაში შერწყმულია ბალახოვანი ველურად მზარდი სახრდო მცენარეები და მებოსტნეობის პროდუქტები: მწვანილი, ხანელებელი ბოხტნეული და მხალი; ასევე, ხიხატელი (ტყის ხილი) და კულტურული ხილი. მემცენარეობის ტიპის ნარჩენებში ქართველთა კვების სისტემიდან შეიძლება გამოვყოთ მემინდვრეობის ქვეტიპის კულტურული მცენარეები – ველა საკვები ნივთიერების (ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები) წყარო: პარკოსანი (ცერცვი, ცერცველა,ხანჭკოლა,ოსპი,ბარდა,მუხუდო,ცულისპირა,ძახა,უცრუხელი, ლობიო), ზეთოვანი (სელი), პურეული მარცვლეულები (ხორბალი, ფეტვი, ქერი, ჭვავი, შვრია). შერწყმული სახითაა წარმოდგენილი, ერთი მხრივ, მემინდვრეობისა და მებოსტნეობის, მეორე მხრივ, მემინდვრეობისა და მეცხოველეობის პროდუქტები. ყოველივე ეს განაპირობებს კარგად ბალ-

ანხორებულ ვეგეტარიანულ კერძებს. მაგალითად, პური (ხახამებული), ხელის ზეთი, პარკოსნები (მცენარეული ცილა+ნახშირწყლები), ბოსტნეული (ნახშირწყლები, ცილა, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, ორგანული მჟავები), ეფექტურად მზარდი ბალახოვანი მცენარეები (ნახშირწყალი, ცილა, დიეტური და სამკურნალო ნივთიერებები), კაკალი და თხილი (მცენარეული ცხიმი) ადამიანს ახლდეს ყველა იმ აუცილებელ ნივთიერებას, რაც უზრუნველყოფს მის ნორმალურ ცხოველქმედებას. საქართველოში ბუნებრივი სამეურნეო პირობები ყველა სოციალური ფენისთვის ყოველთვის უზრუნველყოფდა კერძების იდეალურ ხისტემას. ცხოველური ცილის ძირითადი წყარო, რომელიც ტრადიციულად სასიცოცხლო პირობებს ქმნიდა, არის მეცხოველეობიდან სარძევე მეურნეობა და მეფრინველეობის პროდუქტი – კვერცხი, რომელიც ითავსებდა მემინდვრეობის და მებოსტნეობის პროდუქტებს (რძე + კვერცხი + პური; რძემჟავა პროდუქტები + პური + ბოსტნეული; ყველი + პური + მწვანილი; რძე + პურეული მარცვლეულით; ნადუღი, რძის შრატი + პური + ბოსტნეული). ცხოველური ცილის შემავსებელი წყარო მოპოვებით მეურნეობიდან თევზია. მოხმარების ხალხური ტრადიციების მიხედვით, არასამარხვო პერიოდში ცხოველური ცილის მეორეული წყაროდ ფრინველისა (წლის ყოველ პერიოდში) და ღორის ხორცი (ზამთარი, გაზაფხული) ითვლება. ცხოველური ცხიმებიდან უპირატესი მოხმარებით გამოირჩევა რძის ცხიმი (კარაქი, ერბო, ნაღები), ღორისა და ცხვრის ქონი.

ამრიგად, ხალხურ კვებით სისტემაში შეგვიძლია ეთნოსის თავისებურებებიც დავინახოთ. აქ ელინდება ეროვნულ თვითშეგნებაში გამოხატული სახიცოცხლო უზრუნველყოფის კულტურის მემკვიდრეობითი ღირებულებები. საკვებწარმოების ეროვნულ გამოცდილებაში წარმოდგენილია ეკოლოგიური, სამკურნალო, გერონტოლოგიური, ეკონომიკური და კულტურულ-სამეურნეო, რელიგიური და სოციალური ასპექტები.

ნვენში კვების ღღიური განაწვილი დამოკიდებული იყო წელიწადის დროზე, დახაქმებახა და შრომის ხასიათზე. საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში უმეტესად სამჯერადი კვება იყო დაწესებული (იყო ორჯერადიც, სამხარი და სერობა). ვხედებით ოთხჯერად და ხუთჯერად კვებასაც. სამჯერადი კვება მოიცავდა: საუზმეს (დილის საქმელი შემდგომად გამოლეთხებია – ნუბინაშვილი), სადილს (შუა დღის სანოვაგე – ნუბინაშვილი), სამხარს (სადილის შემდგომი სერი – ნუბინაშვილი).[1] ოთხჯერადი კვება კი, გარდა სამხრისა, ვახშამსაც გულისხმობდა. „დაწოლის ჟამს“ საქმლის მიღებას ეახდნენ „სერის კეთს“.

აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობაში სამჯერადი კვება იყო დაწესებული: მზის ამოსვლისთანავე – „ნაყრი“, შუადღისას – „სამხარი“, სადამოს – „წახრი“. ქიზიყურად საუზმეს „განაწოლება“ ერქვა. სპეციფიკური სამეშაოების შესრულებისას მიმართავდნენ ოთხჯერად კვებას.

სამეგრელოში დღეში სამჯერ იკვებებოდნენ (საუზმე – „ჩაკალიო“, სადილი – „ონდღური“ და ვახშამი – „ოხერშე“).

სულხან-სააბა ორბელიანი საქმლის მიღების დღიური განაწესის დამრღვევებზე ამბობს: ‘არიან კაცნი პირუტყვისებრნი, რომელნი ჭამენ ოთხ და ხუთჯერ. არს პირველი ჭამა განთიად – საუზმე, მეორე ჭამა – სადილი ანუ სამხარი, მესამე სამხრის შემდგომად – ზარმელი, ხოლო მიმწუხრი – სერი და ხერხა შემდგომად, რომელსა სერის-კუდად უხმობენ“.[2]

დღე-დამეში თანამედროვე ადამიანი საკვებად იყენებს დაახლოებით 1,5 – 2 ლიტრ წყალს და 800 – 900 გრამამდე საკვებს. ნვენი პლანეტის მოსახლეობის (6,5 მლრდ) სადღეღამისო რაციონი დღეთახვის 6 მლნ ტონა საკვებს შეადგენს. კაცობრიობის დიდი ნაწილი განიცდიდა და განიცდის ზოგიერთი სახეობის საკვები პროდუქტის დეფიციტს (დღეს მსოფლიოში 1 მლრდ ადამიანი შიმშილობს, ხოლო 2,2 მლრდ სასმელი წყლის დეფიციტს განიცდის).

ჯანსაღი კვების რაციონს ადგენენ იმგვარად, რომ პასუხობდეს ადამიანის ორგანიზმის ინდივიდუალურ თავისებურებებს შრომის ხასიათის გათვალისწინებით; ქვეყნებრივ და ასაკობრივ თავისებურებებს, საცხოვრისის კლიმატურ-გეოგრაფიულ პირობებს.

რაციონალური კვების ცნება განუყოფლად დაკავშირებულია კვების ფიზიოლოგიური ნორმების განსაზღვრასთან, რაც საშუალო მაორიენტირებელი სიდიდეებია, რომლებიც ძირითად საკვებ ნივთიერებებზე

[1] ნუბინაშვილი ნ. ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ. თბ., 1961.
[2] სულხან-საბა ორბელიანი. თხზულებანი. ტომი მეოთხე. თბ., 1963.

მოსახლეობის ცალკეული ჯგუფის მოთხოვნას გამოხატავს. რაციონალური ნორმები არ არსებობს მუდმივ სახეობის და იგი იცვლება კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკური ყოფის ცვლასთან ერთად. ფიზიოლოგიური ნორმები განსაზღვრება კონკრეტულ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში ან ექსტრემალურ სიტუაციებში. სხვა მხრივ, მისი განსაზღვრება არაბუნებრივია.

რაციონალური კვება გულისხმობს სამი ძირითადი პრინციპის დაცვას: ენერგიის ბალანსის უზრუნველყოფა გარკვეულ ხაკვებ ნივთიერებებზე ორგანიზმის მოთხოვნილების დაკმაყოფილება; კვების რეჟიმის დაცვა.

რაციონალური კვების შესახებ არსებობს არაერთი კონცეფცია და სიხტემა, თუმცა, ისინი ამომწურავ პასუხს ვერ სცემს საკვებსა და კვებასთან დაკავშირებულ უმთავრეს პრობლემურ საკითხებს. აქ მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ განსხვავებულია ადამიანთა ხასოგადოებები, ადამიანთა ცნობიერება, გარემო და ცხოვრების წესი, ყოფითი კულტურა, ტრადიციები და თვით კვების კულტურა.

ადამიანის კვების რაციონის შედგენისას, მასში ცილების, ცხიმების, ნახშირწყლების, ვიტამინების, მინერალური ნივთიერებების რაოდენობას კი არ მიუთითებენ, არამედ სხვადასხვა სახეობის სასურსათო პროდუქტისას. თანამედროვე ლიტერატურაში,ადამიანის მიერ გამოყენებული საკვები პროდუქტები ათ ჯგუფად არის დანაწევრებული. კვების ისტორიული გამოცდილებისა და სახიათის გათვალისწინებით, ქართულ სინამდვილეში საკვები პროდუქტების ოდენობა ჯგუფების მიხედვით წლის განმავლობაში, ასე გამოიყურება; I. პური, ფქვილი, ბურღულეული, მარცვლოვანები და მარცვლოვან-პარკოსნები, ფუნთუშეული, მაკარონისა და საკონდიტრო ნაწარმი და აშ. (როდესაც ამ ჯგუფების პროდუქტთა მიღების ნორმებს აფასებენ, სპეციალური კოეფიციენტების მეშვეობით კვლა პროდუქტი გადაიანგარიშება ფქვილზე) – 127,5კგ. 2. კარტოფილი (ამ პროდუქტის დიდი მნიშვნელობის გამო, იგი დამოუკიდებლად არის შესული პროდუქტთა სამოხათვალში) – 62კგ. 3. ბოსტნეული და ბასწეული (აქ შედის აგრეთვე, მათი კონსერვები, მარინადები და აშ. მათი მოხმარების ერთიანი მოცულობის დადგენისას, იგი გადაჰყავთ ნედლ ბოსტნეულზე) – 146კგ. 4. ხილი, ხილის წვენები, კონსერვები, მშრალი ხილი და აშ. (ამ პროდუქტების ერთიან ნიშნულზე დაყვანა ნედლ ხილზე წარმოებს) – 110კგ. 5. შაქარი – 34,7კგ. 6. მცენარეული ზეთები (მართალია, ადამიანის რაციონში ცხიმების 70% მოდის ცხოველური წარმოშობის ცხიმებზე და მხოლოდ 30% მცენარეულზე, მაგრამ ეს უკანასკნელი დამოუკიდებლად შედის კვების პროდუქტების ნამოხათვალში) – 7,3კგ. 7. თევზი და თევზის პროდუქტები (ამ ჯგუფში შემავალი თევზის გადამუშავების პროდუქციის გადაყვანა ხდება ნედლ თევზზე. რაციონში მათი შეყვანის დროს) – 18,3კგ. 8. ხორცი და ხორცის პროდუქტები (ამ ჯგუფში შედის ხალი ხორცი, ქათქათელი, შაშხი, ქონი, სხვადასხვა კონსერვი და აშ. შეყვანისას ყველა აღნიშნული პროდუქტი გადაიყვანება ხორცზე) – 65,7კგ. 9. რძე და რძის პროდუქტები (ამ ჯგუფში შედის ხალი რძე, ყველი, კარაქი, ხაჭო, არაჟანი, მაწონი და აშ. შეყვანების საფუძველია ხალი სტანდარტული შემადგენლობის რძე) – 401,5კგ. 10. კვერცხი (იანგარიშება ცალობით)–292.

აღნიშნულ ნამოხათვალში მართებულია სხვადასხვა სახმელის დამატებაც. უალკოჰოლო სასმელების – ჩაის, ყავის, კაკაოს, მინერალური წყლების სარგებლიანობა საყოველთაოდ ცნობილია. ამ ბოლო დროს სულ უფრო ინტენსიური ხდება მაღალი ღირსების ალკოჰოლიანი სასმელების (მაგ. ღვინო, ლუდი) ზომიერი გამოყენების მიზანშეწონილობის მოსაზრებები.

როგორც წესი, პროდუქტები საკვებად გამოყენების წინ მექანიკურად და თერმულად უნდა დამუშავდეს. მექანიკური დამუშავების დროს დიდია დანაკარგები. მაგალითად, მარცვლეულის გაწმენდის შემდეგ დანაკარგები 15%-მდეა, კარტოფილისა – გათლის შედეგად – 28%, ბოსტნეულის (სახეობების მიხედვით) – 15-30 %, ხილისა – 30%-მდე. დანაკარგების ადგილი აქვს ყველის ცივი დამუშავების შემთხვევაშიც (მაგალითად, კანის მოშორება) 2-4-%-მდე. კვერცხის ნაგუაზე მოდის მისი მასის 13%, ხორცის მექანიკური დამუშავებისას – 28%, თევზის გახუთვებით იკარგება 40-55%. კვების რაციონალური ნორმები არ ითვალისწინებს პროდუქტის დამუშავების შედეგად გამოწვეულ დანაკარგებს. აქედან გამომდინარე, იმისათვის, რომ დაცული იყოს კვების ნორმების მოთხოვნები, საკვები პროდუქტების შეძენისას აუცილე-

ბელია დანაკარგების გათვალისწინება. საკვები ნივთიერებების დანაკარგს ადგილი აქვს თერმული დამუშავების შემთხვევაშიც. მაგალითად, ხარშის, ადუღების, გახმობის, შწვის დროს იკარგება ცილების 10%, ცხიმების 16%, ნახშირწყლების 15%. ორგანული საკვები ნივთიერებებიდან თერმული დამუშავების მიმართ ყველაზე ნაკლებმედეგია ვიტამინები, ამიტომაა მათი მარაგის შესავსებად რეკომენდებული ნედლი ბოსტნეულის და ხილის გამოყენება.

ადამიანის კვების თავისებურებები, მოხმარებული საკვების ოდენობა და სტრუქტურა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, მეტად მრავალფეროვანია კატეგორიების რაციონი, ამასთან, კვების მრავალი ტიპის გამოყოფა შეიძლება.

ამერიკელმა მეცნიერმა კერიელმა დედამიწის ცალკეულ არეალებში საკვები ნივთიერებების წყაროების მიხედვით გამოყო კვების 20 ტიპი.[1]

კვების I ტიპი ახასიათებს აშშ-ს, კანადას და ევრაზიას, უკიდურესი ჩრდილო ნაწილის გარდა (ევრაზიის შემთხვევაში სამხრეთ და სამხრეთ-აღმოხავლეთ ნაწილის გარდა), სამხრეთ ამერიკის და აფრიკის უკიდურეს სამხრეთ ნაწილს; II ტიპი გავრცელებულია ავღანეთში, პაკისტანში, ჩრდილოეთ აფრიკის ზოგიერთ ცენტრალურ რაიონში, მადაგასკარში, ავსტრალიის ცენტრალურ ნაწილში; III ტიპი — შუა აზიაში, აფრიკის ჩრდილო ნაწილში, სამხრეთ ევროპაში; IV ტიპი- – სამხრეთი ამერიკის ჩრდილო-დასავლეთით; V ტიპი – ბრაზილიის აღმოსავლეთ შვერილზე; VI ტიპი– სამხრეთი ამერიკის ცენტრალურ ნაწილში; VII ტიპი – სამხრეთ-აღმოხავლეთი აზიის დასავლეთ ნაწილში; VIII ტიპი – იაპონიაში; IX ტიპი – ჩინეთის სამხრეთში; X ტიპი – სამხრეთ-აღმოხავლეთი აზიის ქვეყნებში, ფილიპინებში, XI ტიპი – ბრაზილიის ჩრდილოეთში, კარიბის ქვეყნებში; XII ტიპი – მექსიკაში, ჩრდილო ამერიკის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში; XIII ტიპი – სამხრეთი ამერიკის ჩრდილო ნაწილში; XIV ტიპი – აფრიკის სამხრეთ აღმოხავლეთში; XV ტიპი – ცენტრალურ აფრიკაში; XVI ტიპი – ინდოეთში; XVII ტიპი – ჩინეთის ჩრდილო-აღმოხავლეთ ნაწილში, კორეის ნახევარკუნძულზე; XVIII ტიპი–მონღოლეთში,ჩინეთის ჩრდილოეთში;

[1] ბახტაძე ლ. კოლეშვილი პ. ქართველთა კვების კულტურა. თბ., 2009.

კვების ძირითადი ტიპები

№	კალორიების მიღების წყარო	ცილების მაღალი წილი
I	ხორბალი, კარტოფილი, ბატონი, ხორცი, ქათამეული და მცენარეული ცხიმები	მსხვილფეხა საქონლის ხორცი, ღორის, ცხვრის ხორცი, რძე და რძის პროდუქტები
II	ხორბალი ფქვილი, ბრინჯი, ცხიმები	ბარდა და სხვა პარკოსნები
III	ხორბალი, ხიმინჯი, ქერი, ცხიმეული და მცენარეული ცხიმები	მსხვილფეხა საქონლის ხორცი, ცხვრის, ხოხბის ღორის ხორცი, სხვადასხვა პარკოსნები
IV	ხორბალი, ხიმინჯი, ქერი, კარტოფილი	პარკოსნები
V	ხორბალი, ხიმინჯი, ბრინჯი, შაქარი	მსხვილფეხა საქონლის ხორცი, პარკოსნები
VI	ხორბალი, ხიმინჯი, შაქარი	პარკოსნები
VII	ბრინჯი	ბარდა და სხვა პარკოსნები
VIII	ბრინჯი, ხორბალი	თევზი, ხიზი
IX	ბრინჯი, ხიმინჯი, ტკბილი კარტოფილი	ღორის ხორცი, თევზი, ხიზი, არაქისი
X	ბრინჯი, ხიმინჯი, ტკბილი კარტოფილი	თევზი, ხიზი და სხვა პარკოსნები, არაქისი
XI	ბრინჯი, ხიმინჯი, ბატონი, შაქარი, შაქარი	ბარდა და სხვა პარკოსნები
XII	ხიმინჯი	პარკოსნები
XIII	ხიმინჯი, ხორბალი, კარტოფილი	მსხვილფეხა საქონლის ხორცი, პარკოსნები
XIV	ხიმინჯი, ფქვილი, ხორცი	ბარდა და სხვა პარკოსნები
XV	ფქვილი და ხორცი, ხიმინჯი, ბრინჯი, ბატონი	ბარდა და სხვა პარკოსნები, არაქისი
XVI	ხიმინჯი, ბატონი, შაქარი	თევზი, პარკოსნები, არაქისი
XVII	ფქვილი და ხორცი, ხორბალი, ხიმინჯი, კარტოფილი	ღორის, ცხვრის ხორცი, ხიზი, არაქისი
XVIII	ქერი	რძე და რძის პროდუქტები, ცხვრის, თხის ხორცი
XIX	ხიმინჯი, ტატო, ბანანი, ჭარხლის კილო	თევზი, ღორის ხორცი
XX	ცხოველური ცხიმები, ხორბალი	თევზი, ქათმეული ცხვრის ხორცი

XIX ტიპი – ოკეანიის კუნძულებზე; XX ტიპი – კანადასა და რუსეთის უკიდურეს ჩრდილოეთში. როგორც კვების ტიპების ტერიტორიული განთავსება ცხადყოფს, მას ეკოგრაფიული ხიახლოვის პრინციპი არ უდევს საფუძვლად. ერთი და იგივე კვების ტიპი შეიძლება დედამიწის მეტად დაშორებულ რეგიონებში არსებობდეს, მაშინ როცა „გეოგრდიგეორდ“ მყოფნი განსხვავებული რაციონით იკვებებოდნენ. ანალოგიური ტიპოლოგიას და, საერთოდ, დედამიწაზე კვების გეოგრაფიას სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს, რომელთაგან უმთავრესია ბიოგეოკლიმატური პირობები, სოციალ-ეკონომიკური განვითარების ისტორიულ-კულტურული თავისებურებები, რელიგია. კვების ტრადიციები, წესის გარემოსთან (ოკეანეებთან, ხმელეთთან) ურთიერთობების შესაძლებლობა. თავის მხრივ, ნამოყალიბებულ კვების ტიპებში რაციონის შემადგენლობა დიდად მოქმედებს ადამიანის ცხოვრების რიგ ასპექტზე, კერძოდ, საცხოვრებელი არეალის ლანდშაფტებზე და აშ.

„კერიელის სქემაში“ დროსა და სივრცეს გარკვეული კორექტივები შეაქვს. ახე მაგალითად, „ველური ლანდშაფტების“ ქმაყოფაზე მყოფი ხალხები, განვითარების კვალობაზე, საკუთარ რაციონში ხრდიან კულტურული მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტებს. ეკონომიკური განვითარება იწვევს ცხოველური წარმოშობის პროდუქტების მოხმარების უპირატეს ხრდას. ამის მაგალითია იაპონია.

საქართველო „კერიელის სქემაში“ შეტანილი არ არის. მიგვანნია, რომ მას, როგორც მსოფლიო გაერთიანების სუბიექტს, უნდა მოენახოს საკუთარი ადგილი.

საქართველო უნდა მიეკუთვნოს იმ ქვეყანათა რიცხვს, რომლებიც, „კერიელის სქემით,“ გაერთიანებულია მესამე ჯგუფში (შუა აზია, აფრიკის ჩრდილოეთი ნაწილი და სამხრეთ ევროპა), სადაც მოსახლეობისთვის კალორიების მთავარ წყაროს მარცვლეული, მცენარეული და ცხოველური ცხიმები, ხოლო ცილის მთავარ წყაროს, სხვადასხვა სახეობის ხორცთან (მ.შ. თევზთან) ერთად, პარკოსნები შეადგენს. ამასთან, საქართველოში ნახშირწყლების, ვიტამინებისა და მინერალური ნივთიერებების უმნიშვნელოვანესი წყარო – თაფლი, მრავალფეროვანი ხილი, ბოსტნეული, ბალეული, კაკლოვანი და სხვა ტრადიციული კულტურებია, რაც, საერთო ანგარიშით, ქართული კულინარული ხელოვნების საფუძველს ქმნის.

დასახრულ უნდა ითქვას, რომ მესხოპოტამიის, წინა აზიისა და სამხრეთ კავკასიის დიდი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ოლქი სამართლიანად ითვლება სამიწათმოქმედო ცივილიზაციის კერად. აქ თავდაპირველად შეიქმნილი მეურნეობებისა და მეურნეობრიობის ფორმები შემდგომში საფუძვლად დაედო ევრაზიის მთელ ტერიტორიაზე (გარდა სამხრეთ-აღმოსავლეთისა) მოგვიანებით წარმოშობილ აგრარულ სამეურნეო-კულტურული კომპლექსების სხვადასხვა ტიპს, რომელიც ძირითადად მარცვლეული კულტურების, მევენახეობა-მეღვინეობის, მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენებასა და მათგან მიღებული პროდუქტების მოხმარებაზე იყო ორიენტირებული. ეს აგროსამეურნეო-კულტურული კომპლექსი და მასთან დაკავშირებული კვების სპეციფიკური თავისებურებანი გავრცელდა მხოლოდ ევრაზიის კონტინენტებზე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჩრდილოეთი აფრიკის მცირე ნაწილს.

თანამედროვე მსოფლიოში კონკურენტუნარიანი უპირატესობის მისაღწევად ბრძოლა მისწრაფებას არა მარტო სახელმწიფოებრივი მოწყობის მოდელებს შორის, არამედ ეროვნულ მეურნეობათა მოდელებსა და ეკონომიკის დარგთა ორგანიზაციისა და გაძღოლის ფორმებს შორისაც. ის, რაც ოპტიმალურია ნინელისათვის ან ამერიკელისათვის, შეიძლება ნვენთვის არ იყოს ოპტიმალური. ნვენ ვეაქვს განსხვავებული ეროვნული სპეციფიკა (სახიათო, წვევები), რომელიც განსაკუთრებული თავისებურებებით წარმართავს ერის ეოფაცხოვრებისა და სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა სფეროს, მექანიზმები ადამიანთა ურთიერთობის რეგულირებისა – ფსიქოლოგიური, ტრადიციისმიერი, ღირებულებათა სკალით განსაზღვრული, კულტურული, მიწასთან დამოკიდებულებისა და სხვა. გაგვანნია განსხვავებული გეოპოლიტიკური გარემო, რესურსული პოტენციალი, ბიოგეოკლიმატური პირობები, საიდანაც მომდინარეობს საკვების შემადგენლობა, კვების თავისებურებები, სახიათი (კვების ტრადიცია) და აშ., რაც, ბუნებრივია, მოითხოვს აგრო-სახურსაიო სექტორის რეფორმირებისა და განვითარების განსხვავებულ მიდგომას, მის რეალიზაციას ქართული (ეროვნული

ტრადიციების) სპეციფიკის გათვალისწინებით და არა უცხოეთის რომელიმე ქვეყნის (თუნდაც, ძალიან წარმატებულის) გამოცდილების მექანიკურად გადმოტანა-გამეორებას.

გლობალიზაციის ეპოქაში ქართველებს უნიკალური კვების კულტურის დასაცავად დიდი სიფრთხილე გმართებს. ზოგადქართული კვების ხასიათიდან გამომდინარე, ჩვენ ვნდა შევინარჩუნოთ და გავამდიდროთ კვების რაციონი.

Food Consumption Culture, Types and Norms of Nutrition

P. Koguashvili

For throughout centuries the victual had been creating and embodying separate nations' specific ethno culture with different attributes of fundamental maintenance.

Georgia is an ancient country of independent agrarian culture and has the advanced experience of food procuring. The Georgian nation's nutrition traditions had been forming in Asia, which is fairly considered to be the ancient hearth of land-tenure and cattle-breeding development. The demand for traditional food is genetic in Georgia. It had been improving as a taste and settling as a character of nutrition for throughout a thousand years. In the epoch of globalization Georgians have to reveal a great deal of caution to protect our unique nutrition culture. Thus, with ensuing common Georgian nutrition character consequences, we must maintain and enrich our food ration.

სწავლების პროცესში სტუდენტური გუნდური პროექტების მომზადება - პრეზენტაციის მეთოდური საკითხები

მურად მისაბიშვილი,
ეკონომიკის დოქტორი

ცივილიზებულ ქვეყნებში ეკონომიკური და ბიზნეს-სამენეჯმენტო დისციპლინების სწავლების პროცესში, სხვა მოწინავე ტექნოლოგიებთან ერთად, ძირითადად გამოიყენება პროექტების მეთოდი.

პროექტების მეთოდი მოწოდებულია გააღვივოს სტუდენტთა ინტერესი აქტუალური პრობლემების მიმართ, დახახოს გზები პრობლემის გადასაჭრელად და კონკრეტული პროექტის მეშვეობით აჩვენოს მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების მიმართულებები.

ბოლო წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომებში ჩვენ ძირითადად ვეხმაურებით თეორიულ და ზოგად მეთოდოლოგიურ საკითხებს.[1] წინამდებარე სტატიაში ახახულია სწავლების პროცესში სტუდენტური გუნდური პროექტების მომზადებისა და პრეზენტაციის კონკრეტული მეთოდიკა, რომელსაც ჩვენეული ინტერპრეტაციით ხისტემატურად ვიყენებთ 1998 წლიდან.

ამ მეთოდიკის მიხედვით, სემესტრის მანძილზე სტუდენტებმა უნდა მოამზადონ გუნდური პროექტები (ბაკალავრიატში – სასწავლო-შემეცნებითი, მაგისტრატურაში – სასწავლო-კვლევითი).

თითოეული გუნდი, 5-7 სტუდენტის შემადგენლობით, ყალიბდება მათი სურვილით, ლექტორთან შეთანხმებით. პროექტის სახეობა და კონკრეტული თემა შეირჩევა ასევე ლექტორთან შეთანხმებით სათანადო ეკონომიკურ-მმართველობითი პარადოქსების, მიკრო- და მინიქეისების წინასწარი განხილვისა და შესაბამისი დებატების საფუძ-

[1] იხ.: მაგალითად: 1) გ. შიხაშვილი. ეკონომიკური დისციპლინების სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები. თსუ სამეცნიერო შრომების კრებული. თბ., „ბარტონი". 2009; 2) გ. შიხაშვილი. ბიზნეს-ტრეინინგები პროექტების მეთოდის გამოყენებით. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი", 2008, №5; 3); გ. შიხაშვილი. პროექტების მენეჯმენტი. ჟურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა" 2008, №5; 4) გ. შიხაშვილი. ეკონომიკის სწავლების მეთოდიკა. საქართველოს ხელოვნური კვლევების და [illegible] ცენტრის ბიულეტენი. 2002, N-71.

ველზე. **ყოველი გუნდი პროექტის შედგენაზე მუშაობს 12-13 კვირის განმავლობაში და გამოიტანს მას სასწავლო ჯგუფში პრეზენტაციაზე სემესტრის ბოლოს მე-14 ან მე-15 კვირაში.**

სემესტრის მანძილზე, საპროექტო გუნდები დამოუკიდებელი საქმიანობისათვის გამოყოფილ დროს მუშაობენ პროექტების შედგენაზე და ყოველკვირეულად, პრაქტიკულ მეცადინეობებზე მოკლე პრეზენტაციების სახით წარმოადგენენ პროექტზე მუშაობის მიმდინარე ანგარიშებს,რომლის გარშემოც იმართება დებატები. ლექტორი სისტემატურად, კონსულტაციებით, მეთოდურად და კონტროლის ფუნქციებით უხელძღვანელებს პროექტების მომზადებას, მიმდინარე პრეზენტაციებს, დებატებს და ამზადებს გუნდებს საბოლოო პრეზენტაციისათვის.

სემესტრის პირველივე მეცადინეობაზე ლექტორი ასწავლის სტუდენტებს საჭირო და ეფექტიანი საპროექტო იდეებისა და წინადადებების გენერაციას (გამომუშავებას), აცნობს ნაბიჯებს და საკითხებს დებატების ნატარებისათვის, საპროექტო გუნდების შექმნისათვის, საპროექტო წინადადებების შემუშავებისა და პროექტების შედგენისათვის. ამ მიზნით ვიყენებთ ჩვენეულ სქემას შემდეგი შინაარსობრივ-ფუნქციობრივი თანმიმდევრობით: **მიკრო-ქეისების ფორმით გადმოცემული სოციალურ-ეკონომიკური და ბიზნეს-პარადოქსები/პრობლემები/კურიოზები ⇒ კვლევა-ანალიზი, დებატები ⇒ საპროექტო იდეები ⇒ საპროექტო გუნდები ⇒ საპროექტო თემები ⇒ საპროექტო წინადადებები ⇒ პროექტების მონახაზები პროექტები.**

სტუდენტები ეცნობიან ჩვენს მიერ შემუშავებულ შემდეგ პარადოქსებს/პრობლემებს/კურიოზებს (მიკრო-ქეისებს):

1.„ხაქართველოს არ ჭირდება აგროსამრეწველო სფეროს, მათ შორის, მეცნიერება-მეღვინეობის განვითარება, ასეთი პროდუქცია მან უცხოეთიდან უნდა შემოიტანოს“!? – რას მოგვეჩვენება მცირე და საშუალო ფერმერული მეურნეობები და აგროტურიზმი? შეიძლება თუ არა არახამწყარშეო იურიდიულმა პირმა აწარმოოს ასეთი ბიზნესი? – ვინ და როგორი პროექტი უნდა შეიმუშაოს პრობლემის გადასაჭრელად?

2...მოქალაქე სახურავმოპარულ საკანალიზაციო ჭაში ჩავარდა და უგზო-უკვლოდ დაიკარგა“. – რა მოაქვს ჯართის ბიზნესს? – ვინ და როგორი პროექტი უნდა შეიმუშაოს პრობლემის გადასაჭრელად?

3...ვარდისა ბედოძემ შვილის სიცოცხლის გადასარჩენად სამედიცინო ინსტიტუტის პირველ კურსზე მიღება გადაწყვიტა. ოჯახი ,რომ

უბინაოდ დარჩა“. ‘შეიცავს თუ არა პიპოკრატეს ფიცი მუხლს მკურნალობის უკერძოლობის (უხასყიდლობის) შესახებ“? „ჯანდაცვის მუშაკები და კონკრეტული ექიმები მოგებისა და საარსებო შემოსავლების მიხედვით ნარობენ ავადმყოფთა სიმრავლეს. ეთიკურად დახაშვებია თუ არა ასეთი ფსიქოლოგიური განწყობა და შესაბამისი ბიზნესი?“ „ჯანდაცვის მომავალი ბიზნესსა და პოლიტიკაშია“!? ვინ უნდა აყირანიბებდეს ჯანდაცვას? – ვინ და როგორი პროექტი უნდა შეიმუშაოს პრობლემის გადასაჭრელად?

4...ხახაყლაოს მუშაკები და კონკრეტული მესაფლავეები მოგებიხა და საარსებო შემოსავლების მიხედებად ნარობენ მიცვალებულთა სიმრავლეს. ეთიკურად დახაშვებია თუ არა ასეთი ფსიქოლოგიური განწყობა და შესაბამისი ბიზნესი?“ – ვინ და როგორი პროექტი უნდა შეიმუშაოს პრობლემის გადასაჭრელად?

5.მაწანწალა „პიტბულის“ ჯიშის ძაღლმა დაკბინა რამდენიმე ადამიანი. გამოცხადდა მისი ძებნა, დარიგდა საგარაუდო ძაღლის ფოტოები. პოვნის შემთხვევაში პოლიციას აკრძალა მისი ადგილზე ლიკვიდაცია და დაევალა სათანადო ხაქალაქო სამსახურისათვის შეეყობინებინა“. „აქვს თუ არა ყოველ მოქალაქეს უფლება იცხოვროს უხიფათო გარემოში?“– ვინ და როგორი პროექტი უნდა შეიმუშაოს პრობლემის გადასაჭრელად.

6.„ატომურ ელექტროსადგურს მოაქვს მხოლოდ სიკეთე“!? – რა მოაქვს ხუდონესს, ნამოხვანესს? იქნებ მცირე ჰესები ჯობია? – ვინ და როგორი პროექტი უნდა შეიმუშაოს პრობლემის გადასაჭრელად?

ამ მასალას ლექტორი უკითხავს აუდიტორიას პირველ კვირაში, შესასწავლი დისციპლინის შესავალი ნაწილის გადმოცემის შემდეგ. მიკრო-ქეისების წაკითხვის და განხილვა-დისკუსიების შედეგად სტუდენტები ეცნობიან ძირითად სოციალურ-ეკონომიკურ და ბიზნეს-სამეწარმეო პრობლემატიკას, რაც უადვილებს მათ საპროექტო თემის შერჩევას. სტუდენტებს შეუძლიათ შეარჩიონ ნებისმიერი სხვა თემა, პრობლემა, რომელიც მათ მიაჩნიათ აქტუალურად როგორც გუნდში მუშაობისათვის, ასევე სამომავლო, პრაგმატული საქმიანობის თვალსაზრისითაც. **ამ მიზნით ლექტორი სტუდენტებს სთავაზობს სანიმუშო საპროექტო თემების ნამონათვალს:**

1.მეცნიერების და ღვინის წარმოების დაგეგმვა და ორგანიზაცია საქართველოში;

2.ბორჯომის (ან სხვა რეგიონების) ელექტროენერგეტიკა;

3.საქართველოში კონიბიზნესის განვითარება;

4.ენერგეტიკის დაგეგმვა და ორგანიზაცია საქართველოში;

5.ტურისტული ფირმის საქმიანობა;

6.თანამედროვე კერძო სკოლა;

7.დანგრეული ტაძრების რესტავრაცია;

8.აგროეკოლოგიური ტურიზმის განვითარება ქიზიყში (ან სხვა რეგიონებში);

9.გველის შაამის ბიზნესი;

10. ლეჩხუმის (ან სხვა რეგიონების) ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები;

11. მცირე ენერგეტიკის განვითარება;

12. ქორწინების ორგანიზება;

13. ტყე შეუნახე შვილებსა;

14. კოკა-კოლას ისტორია და თანამედროვე მენეჯმენტი;

15. აგრობიზნესის განვითარება საქართველოში;

16. საქართველო ხორბლისა და ვახის ქვეყანაა;

17. შაქრის წარმოებისა რეალიზაციის გზები საქართველოში;

18. წიგნი თუ ინტერნეტ-ლიტერატურა;

19. ჩაის წარმოება;

20. ქართული ფეხბურთის თანამედროვე მდგომარეობა და პრობლემები;

21. უნარშეზღუდული ბავშვები საქართველოში;

22. უპატრონო ძაღლების პრობლემები;

23. საბილიარდო ბიზნესი საქართველოში;

24. გარემოს დაბინძურება და მისი აღმოფხვრის გზები;

25. მეფუტკრეობის განვითარება საქართველოში;

26. ბავშვთა კვების პროდუქტების წარმოება საქართველოში;

27. ნარკომანიის პრობლემები საქართველოში.

პირველივე მეცადინეობებზე ვუკითხავთ აუდიტორიას ნუნს მიერ შედგენილ კონკრეტულ კომედიურ სიტუაციას: „მენეჯმენტის მოთხოვნების დარღვევა ბიზნეს-პროექტის შედგენისა და პრეზენტაციისას“ და ვმართავთ სათანადო დებატებს (ჩახე-შეუდეგ). შედეგად, სტუდენტები ნათლად იაზრებენ ხელმძღვანელის ფუნქციებს, გუნდში მუშაობის სპეციფიკას, ფასეულობას და პირად პასუხისმგებლობას, რაც უადვილებს მათ პროექტის შედგენაზე მუშაობას როგორც ხასწავლისხასტერო, ასევე სამომავლო. პრაგმატულ-საკარიერო მნიშვნელობის თვალსაზრისითაც.

დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილ პერიოდში, თემატური, ინტელექტუალური და პიროვნული ინტერესების მსგავსება-თანხვედრის და „გონებრიული შტურმის“ მეთოდის გამოყენების საფუძველზე, სტუდენტები ერთობლივი მუშაობის შედეგად ქმნიან საპროექტო გუნდებს, გამოყოფენ გუნდის ხელმძღვანელს, ირჩევენ კონკრეტულ თემას და 2 კვირაში (მაქსიმუმ – 3 კვირაში) წარუდგენენ ლექტორს წერილობითი სახით.

<u>დავალება სტუდენტებს დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილი პერიოდისათვის I-II კვირაში: საპროექტო გუნდების ჩამოყალიბება</u>

<u>და თემის შერჩევა</u>

უახლეს პედაგოგიურ ტექნოლოგიებში ფართოდ გამოიყენება **„გონებრივი შტურმის“ მეთოდი (Brainstorming, Мозговой штурм).**

ეს არის სასწავლო პროცესში ახალი იდეების გენერირების (გამომუშავების), ორგანიზაციის მიხედის, მიზნების და კორექტირებული ამოცანების ჩამოყალიბების და მათი განხორციელების გზების დახარის მეთოდი.

მეთოდის არსია ის, რომ საპროექტო გუნდის წევრები სათავაზობენ ერთმანეთს ყველანაირ, თუნდაც ყველაზე უცნაურ და ურეგულო იდეებს, ანალიზებენ მათ, აკლიბებენ სათანადო მიზნებს, ამოცანებს და ცდილობენ მათი განხორციელების შესაბამისი გზების დახარას.

ერთი იდეა და მოსაზრება წარმოშობს მეორეს და ამ პროცესში გუნდის წევრები წამოაყენებენ გაცილებით მეტ წინადადებებს, ვიდრე ამას შეძლებდა მისი ყოველი წევრი ცალკე (დამოუკიდებლად) მუშაობისას.

სტუდენტებს ვაძლევთ დავალებას – ამ მეთოდის გამოყენებით შეასრულონ შემდეგი სამუშაო:

1.შეარჩიეთ (დაადგინეთ, აირჩიეთ) გუნდის ხელმძღვანელი (მთავარი მენეჯერი);

2.განიხილეთ სხვადასხვა აზრი და გამოიმუშავეთ წარმმართველი იდეა თქვენი გუნდისათვის;

3.ჩამოაყალიბეთ პროექტის თემა და დაადგინეთ მისი დანიშნულება;

4.ჩამოაყალიბეთ თქვენი ორგანიზაციის (გუნდის) მიხია, მიზნები და კონკრეტული ამოცანები. დახატეთ მიზნის მიღწევის ორგანიზაციული გზები;

5.შეურჩიეთ გუნდს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა (მაგალითად: შპს, სააქციო სახოგადოება, ინდივიდუალური, კავშირი, ფონდი, არაფორმალური (არარეგისტრირებული) ორგანიზაცია და სხვ.). ორგანიზაციის შექმნა შეგიძლიათ, როგორც ვირტუალურად (წარმოსახვით), ასევე რეალურად;

6.შეარჩიეთ ხელმძღვანელის მოადგილეები, გაანაწილეთ ფუნქციები გუნდში, შექმენით მისი ორგანიზაციული სტრუქტურა და გადმოეცით ეს სქემატურად.

ამის შემდეგ იწყება მუშაობა უშუალოდ პროექტის შედგენაზე. მეორე ან მესამე კვირაში სტუდენტებს ეძლევათ სპეციალური მასალა (ინსტრუქცია), რომელიც აკვალიანებს მათ როგორც ამ საქმიანობაში, ასევე პროექტის საპრეზენტაციო გაფორმებაში.

<u>ინსტრუქცია სტუდენტური გუნდური პროექტის შემუშავებისა და საპრეზენტაციო გაფორმებისათვის.</u>[2]

<u>პროექტის თავფურცელზე უნდა აისახოს:</u>

სასწავლებლის და ფაკულტეტის დასახელება;

სწავლების ხაფეხური, სპეციალობა, კურსი; ჯგუფი;

საპროექტო გუნდის სახელწოდება, პროექტის სათაური, პროექტის სახეობა (სასწავლო-შემეცნებითი პროექტი – ბაკალავრიატისათვის და სასწავლო-კვლევითი პროექტი – მაგისტრატურისათვის);

შესახწავლი დისციპლინა;

პროექტის ხელმძღვანელი (დისციპლინის ლექტორი);

სასწავლო წელი, სემესტრი, შესრულების ადგილი (ქალაქი) და წელი.

<u>მე-2 გვერდზე</u> (თავფურცლის შემდეგ გვერდზე) – კვლავ პროექტის სათაური, გუნდის სახელწოდება და საპროექტო გუნდის შემადგენლობა ყოველი წევრის გვარის, სახელის, სასწავლო ჯგუფის ნომრის, პირადი ტელეფონის (ბინისა და მობილურის), ელექტრონული ფოსტისა და გუნდში მისი ფუნქციის (ხელმძღვანელი, მოადგილე, მენეჯერი და სხვ.) ჩვენებით.

<u>მე-3 გვერდზე</u> – <u>სარჩევი</u> (ცალკეული თავების, პარაგრაფების, დანართების და სხვ. გვერდების ჩვენებით.

<u>მე-4 გვერდიდან</u> – ტექსტის გადმოცემა შემდეგი სტრუქტურით:

1.გუნდში მუშაობის აღწერა;

2.ინფორმაცია განმცხადებლისა და შემსრულებლის შესახებ;

3.პროექტის აღწერა;

4.პროექტის შესრულების გარიგი;

5.პროექტის განხორციელების ბიუჯეტი;

6.მოსალოდნელი შედეგები;

7.პროექტის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება;

8.დამატებითი ინფორმაცია (დანართები);

9.გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები.

<u>*განვიხილოთ ეს ნაწილები:*</u>

<u>1. საპროექტო გუნდში მუშაობის აღწერა.</u>

ნაშრომის ამ ნაწილში უნდა აისახოს შემდეგი ძირითადი მომენტები, რომლებიც გვხვდება საპროექტო გუნდის საქმიანობის პროცესში:

გუნდის შექმნის ისტორია, წანამძღვრები, მიხია, მიზანი და ამოცანები;

საპროექტო თემის შერჩევის პრინციპები;

გუნდის პერსონალის შერჩევა და მართვა;

გუნდის, როგორც ფორმის (ბიზნეს-სუბიექტის), ან არასამეწარმეო ორგანიზაციის რეალური ან ვირტუალური (წარმოსახვითი) ორგანიზაციული ჩამოყალიბება (ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შერჩევა, დარეგისტრირება, მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა, ხელმძღვანელობის და საქმიანობის კოორდინაციის სქემა);

გუნდის მთავარი მენეჯერი, მენეჯერები, რიგითი წევრები და მათი ფუნქციები;

გუნდის ფუნქციონირების შიგა და გარე გარემო;

გუნდის საქმიანობის ეთიკური საფუძვლები;

შესაძლო უთანხმოებები და კონფლიქტები გუნდში და მათი მართვა;

გუნდის მართვის ზოგადი ფუნქციების (დაგეგმვა, ორგანიზაცია, ხელმძღვანელობა-მოტივაცია და კონტროლი) განხორციელება და მასზე პასუხისმგებელი პირები;

გუნდის მატერიალური და ფინანსური რესურსების მართვა;

პროექტის შედეგების ბიუჯეტი;

სასწავლო პროცესში გუნდური პროექტის შედეგების მართლის შეფასება.

კოლექტიური მუშაობის პროცესში გუნდის წევრები, წინასწარ, ან გამეორების თვალსაზრისით სისტემატურად სარგებლობენ სასწავლო, სამეცნიერო და საინფორმაციო წყაროებში ასახული მასალებით და მიღებული ცოდნა შეუძლიათ გამოიყენონ კომპლექსურად: 1) უშუალოდ პროექტებზე მუშაობისას; 2) პრეზენტაციებზე; 3)შუალედურ გამოცდებზე; 4)სემინარებზე თემების საბარებისას; 5)ქცევების გარჩევისას; 6) ფინალურ გამოცდებზე. ამასთან, გუნდებში მუშაობა, სხვა გუნდებთან სასწავლო-შემოქმედებითი კონკურენციის პირობებში, მათთვის 12-13 კვირიანი ბიზნეს-სიმულაციური პრაქტიკის გავლის ტოლფასია, რაც სტუდენტებისათვის ცოდნისა და ბიზნესმენისა და მენეჯერის უნარ-ჩვევების შეძენის ეფექტიან საშუალებას წარმოადგენს.

<u>2. ინფორმაცია განმცხადებლისა და შემსრულებლის შესახებ.</u>

ჩვეულებრივ, განმცხადებელში იგულისხმება პროექტის შემდგენელი და ინვესტორთან/სპონსორთან მისი წარმდგენელი. რეალურ პრაქტიკაში ეს შეიძლება იყოს კერძო პირი, საინიციატივო ჯგუფი ან ოფიციალური ორგანიზაცია. ჩვენს შემთხვევაში განმცხადებელს წარმოადგენს პროექტის შედეგებზე მომუშავე გუნდი თავისი რეალური თუ ვირტუალური სტატუსით. ეს ნაწილი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას განმცხადებლისა და პროექტის შესრულებაში დაბან განსორციელებაში მონაწილე პირების (ორგანიზაციების) შესახებ, იმის გათვალისწინებით, თუ როგორია განმცხადებლის სტატუსი, მიზნები და მოთხოვნები.

<u>3. პროექტის აღწერა.</u>

პროექტის აღწერა არის საპროექტო განაცხადის ერთ-ერთი ძირითადი და მოცულობითი შემადგენელი ნაწილი, რომელშიც გაერთიანებულია შემდეგი ინფორმაციები:

1.პრობლემის განსაზღვრა და არსებული სიტუაციის ანალიზი – გულისხმობს იმ კონკრეტული პრობლემის აღწერა-ანალიზს (პრობლემის/საკითხის ისტორია და დღევანდელი მდგომარეობა), რომლის საპასუხოდაც არის მიმართული პროექტი;

2.მიზანი – გულისხმობს ზოგად დებულებებს იმის შესახებ, თუ რისი მიღწევა გსურთ და რომელიც ლოგიკურ კავშირში იქნება აღწერილ პრობლემასთან;

3.ამოცანები – გულისხმობს კონკრეტულ ნაბიჯებს მიზნის მისაღწევად. აქ უნდა მიუთითოთ, რა ამოცანების გადაჭრას ისახავთ თქვენს პროექტში მითითებული მიზნის მისაღწევად. მიზნის მისაღწევად შეიძლება დაისახოთ ერთი ან რამდენიმე ამოცანა იმის გათვალისწინებით, თუ როგორია თქვენი პროექტის სპეციფიკა;

4.განხორციელების გზები – გულისხმობს კონკრეტულ ნაბიჯებს თქვენს მიერ დასმული ამოცანების შესასრულებლად. განხორციელების გზები ასახავს განაცხადის მიზანს და პასუხობს კითხვებს: 1. **„როგორ"** – როგორ განახორციელებთ თქვენი პროექტის ამოცანებს? 2. **„ვინ"** – ვინ მონაწილეობს თქვენი პროექტის განხორციელებაში?

<u>4. პროექტის შესრულების განრიგი.</u>

პროექტის შესრულების განრიგი უნდა შეიცავდეს პროექტით განსაზღვრული საქმიანობის განაწილებას დროში, რომელიც შეიძლება გამოისახოს დროის ტაბულის საშუალებით.

<u>5. პროექტის განხორციელების ბიუჯეტი.</u>

ბიუჯეტი უნდა იყოს ლოგიკურ კავშირში პროექტის აღწერაში მითითებულ ამოცანებთან. ბიუჯეტს უნდა ჰქონდეს ცხრილის სახე, რომელშიც აისახება: სამუშაოს დასახელება, საცალო ღირებულება, რაოდენობა, მოთხოვნილი თანხა და სხვა. ბიუჯეტი უნდა შეიცავდეს მხოლოდ იმ სამუშაოებს (მომსახურების) ხელროებს, რომლებიც შეესაბამება პროექტის ამოცანებს. სასურველია ბიუჯეტში არ იქნეს შეტანილი ის პუნქტები, რომლებიც არ არის არსებითი ან არ არის პროექტთან მისადაგებული. მითითებული ფასები უნდა იყოს საბაზრო (უმჯობესია რომელიმე ფირმის საფასო პრეისკურანტის ჩაროს სახით მითითება). პროექტის განხორციელების ბიუჯეტი არის უმთავრესი ინფორმაცია, რომელიც წარედგინება პოტენციურ ინვესტორს/სპონსორს დაფინანსების თხოვნით. ამიტომ, ამ ნაწილში შეძლებისდაგვარად, მოკლედ უნდა ასახოთ ჩვეულებრივი ბიზნეს-გეგმის ფინანსური განყოფილება (ხარჯები, შემოსავალი, მოგება).

<u>6. მოსალოდნელი შედეგები.</u>

განაცხადის ფორმის ამ ნაწილში აღწერეთ ის სავარაუდო ეფექტი ან მოსალოდნელი შედეგი, რაც მოჰყვება თქვენი პროექტის წარ-

მატებით განხორციელებას რაოდენობრივი ან/და თვისებრივი მაჩვენებლებით (შეცვლილი შედეგები იყოს დათვლადი, რაც ამარტივებს მონიტორინგის პროცედურას და ხშირ შემთხვევაში გაცილებით მოშეებიანია).

7. მონიტორინგი და შეფასება.

განაცხადის ამ ნაწილში თქვენ უნდა აღნიშნოთ, თუ როგორ და ვის მიერ მოხდება თქვენი პროექტის განხორციელებაზე დაკვირვება და რა კრიტერიუმებით შეფასდება მისი წარმატება.

8. დამატებითი ინფორმაცია (დანართები).

დამატებითი ინფორმაციის სახით შესაძლოა წარმოდგენილი იყოს ნებისმიერი ინფორმაცია, დანართები (ცხრილები, სქემები, რუკები, გრაფიკები და სხვ), რაც განმტკიცებს განაცხადს (პროექტს) და გახდის მას უფრო დამაჯერებელსა და გასაგებს. პროექტს შესაძლებელია თან ახლდეს რეკომენდაცია შესაბამის სფეროში აღიარებული ექსპერტებისაგან.

9. გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები.

აქ უნდა აისახოს ბეჭდური და ელექტრონული წყაროები, აგრეთვე შესაბამისი სფეროს სპეციალისტების რეკომენდაციები (ორგანიზაციის და პიროვნების მითითებით).

მოთხოვნები პროექტის საბოლოო პრეზენტაციისათვის

1. გუნდი საბოლოო პრეზენტაციისათვის პროექტს ამზადებს სემესტრის განმავლობაში გუნდის წევრების მიერ არჩეული მთავარი მენეჯერის/კოორდინატორის ხელმძღვანელობით, რომელიც ანაწილებს სათანადო ფუნქციებს ცალკეულ წევრებზე, ნიშნავს შესაბამის მენეჯერებს და პასუხიმგებელია მათი და მთელი გუნდის მუშაობის გამართულობასა და რეალურობაზე;

2. ქულების უშრომლად მიღების მსურველი, ზარმაცი სტუდენტი მენეჯერმა თავიდანვე არ უნდა მიიღოს გუნდში ან ასეთი რამის შემჩნევისას უნდა გარიცხოს იგი გუნდიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ლექტორის მიერ ასეთი სტუდენტის გამოვლინისას მთელი გუნდი მოიხსნება პროექტის მომზადების პროცესში ან თვით პრეზენტაციიდან და შეფასების ამ კომპონენტში გუნდის ყველა წევრს დაეწერება 0 ქულა;

3. საჭიროებულია გუნდის ყველა წევრის გამოცხადება საბოლოო პრეზენტაციაზე;

4. საბოლოო პრეზენტაციაზე გამოტანილ უნდა იქნეს სპეცსაქაღალდეში ჩაკრული ან სათანადოდ აკინძული, ესთეტიკურად გაფორმებული პროექტი კომპიუტერზე ნაბეჭდი სახით (მოცულობა – 25-30 გვერდი; 1,5 ინტერვალი; ოტ უხს; 12 შრიფტი);

5. საჭიროა ასეთი მოთხოვნებით შესრულებული 3 ეგზემპლარი (1 ეგზ. – ლექტორისათვის, 1 ეგზ. – უნივერსიტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრისათვის, 1 ეგზ. – საკუთრივ გუნდისათვის);

6. წარმოდგენილი პროექტისა და გუნდის მუშაობის მაღალი შეფასებისათვის საჭიროა პრეზენტაციის წინ პროექტის შემოკლებული ტექსტის ქსეროასლები დაურიგდეს სახწავლო ჯგუფში არსებულ სხვა საპროექტო გუნდებს (თითო ეგზემპლარი თითოეულ გუნდს), რათა მათ მოეცეთ პროექტის პრეზენტაციის თანმხლებ დისკუსიაში არგუმენტირებული მონაწილეობის საშუალება;

7. პრეზენტაცია უნდა მოხდეს **Microsoft Office PowerPoint**-ში შესრულებული სლაიდ-შოუს (15-20 სლაიდი) მეშვეობით, რომელშიც უნდა აისახოს პროექტის უმთავრესი მომენტები პრეზენტაციის ფორმატის მიხედვით;

8. უკეთესია პრეზენტაცია შეასრულოს გუნდის რამდენიმე წევრმა პროექტის მომზადებაში მათი ფუნქციების ან პროექტის ნაწილების ან პრეზენტაციის ფორმატის მიხედვით. პრეზენტაციის ფორმატი შემდეგია: 1) პროექტის ძირითადი დებულებების გადმოცემა – 15 წთ.; 2) კითხვა-პასუხები – 4 წთ.; 3) დებატები – 6 წთ. (სულ – 25 წთ.). პროექტის ძირითადი დებულებების გადმოცემაში უნდა აისახოს: 1) გუნდში მუშაობის აღწერა – 4 წთ.; 2) პრობლემის/საკითხის ისტორიის და დღევანდელი მდგომარეობის აღწერა – 3 წთ.; 3) საკუთრივ გუნდის მიერ შემუშავებული საპროექტო წინადადებების ძირითადი დებულებების და ბიზნეს-ეკონომიკური (ბიუჯეტი, ხარჯები, შემოსავალი, მოგება) გაანგარიშებების გადმოცემა – 8 წთ.

9. პრეზენტაციამდე ლექტორს უნდა გადაეცეს პროექტის ტექსტისა და სლაიდ-შოუს ელექტრონული ვერსია ნ -დისკოზე ჩაწერილი. ეს მასალა აგრეთვე უნდა გადაიგზავნოს ლექტორის ელექტრონულ ფოსტაში.

პროექტის საბოლოო შეფასება მოხდება გუნდის მიერ არსებული მოთხოვნების შესრულების საფუძველზე 0-დან 20 ქულის ფარ-

გლებში. პროექტის შეფასების ქულა დაეწერება გუნდის ყოველ ცალკეულ წევრს და აისახება სასწავლო-ტექნოლოგიური კომპონენტების სემესტრული შეფასების სკალაში.

პროექტების მეთოდს ჩვენ 1998 წლიდან ვიყენებთ თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე და სხვა უნივერსიტეტებში ეკონომიკური და ბიზნეს-სამენეჯმენტო დისციპლინების სწავლების პროცესში. განვლილ პერიოდში, **სასწავლო ჯგუფებში პრეზენტაციის შემდეგ, საუკეთესო პროექტები სისტემატიურად გაიტანება საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო პრეზენტაციებზე, ჯილდოვდება პრიზებით, გადაეცემა საპუბლიკაციოდ და საპროექტო წინადადებების სახით განსახილველად წარედგინება სათანადო ორგანიზაციებს.**

მეთოდიკის სისტემატური გამოყენების შედეგად, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტთა და ჩვენი პირადი ინიციატივით 2001 წელს შეიქმნა და 2007 წლის 24 დეკემბრის, შემდეგ კი 2009 წლის 10 ივლისის ფაკულტეტის საბჭოს სხდომების გადაწყვეტილებებით, ოფიციალური სტატუსით მოქმედებს სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“, რომლის უმთავრესი მიზანია: ერთობლივი საქმიანობის კოორდინაციის სრულყოფის მიზნით სტუდენტების და ყველა დაინტერესებული მხარის გაერთიანება ეკონომიკის, ბიზნესისა და მენეჯმენტის აქტუალური საკითხების კვლევისა და სათანადო პროექტების შემუშავება-განხორციელების სფეროში.

მიზნების განხორციელებისათვის ცენტრი საქმიანობას წარმართავს შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

- ინტერ-, მულტი-, სუბდისციპლინური და ინოვაციური კვლევების ჩატარება ბიზნესის, ეკონომიკისა და სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში;
- საქართველოში პროექტების მენეჯმენტის შესწავლით დაინტერესებული ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადების ხელშეწყობა;
- სათანადო ხაინფორმაციო-საკონსულტაციო და საერეინინგო სისტემის შექმნა;
- საგამომცემლო საქმიანობა: სამეცნიერო, სასწავლო, ხაინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა სახეობის ლიტერატურის გამოცემა;
- კონფერენციების, სიმპოზიუმების და სემინარების ჩატარება.

სტუდენტური ცენტრი „იდეა“-ს ინიციატივა, ორგანიზებით და მონაწილეობით ბოლო წლებში განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი კონფერენციების, სემინარებისა და ტრეინინგების სახით, რაც სისტემატურად შუქდებოდა პრესაში, სამეცნიერო პერიოდიკასა და სპეციალურად გამოცემულ კრებულებში.

მათ შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე, 2009 წლის 5 ივნისს გორის უნივერსიტეტის ხოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტთან ერთად ჩატარებული პირველი საუნივერსიტეტოშორისო სტუდენტური კონფერენცია „სტუდენტური პროექტები“.[1] რომელზეც წარმოდგენილ იქნა სასწავლო პროცესში შესრულებული 6 საუკეთესო გუნდური პროექტი:

ცენტრი „იდეა“ ახლო მომავალში გეგმავს:

- კონფერენცია „სტუდენტური პროექტები“-ს მასალების კრებულის გამოქვეყნებას;
- ყოველწლიური კონფერენციების – „სტუდენტური პროექტები“ – მოწყობას;
- სხვადასხვა კორტინგენტისათვის ტრეინინგების ჩატარებას პროექტების მენეჯმენტში.

ყოველივე ზემოაღწერილი მიანიშნებს სწავლების პროცესში სტუდენტური გუნდური პროექტების მომზადებისა და პრეზენტაციის მეთოდური ასპექტების შესწავლა-გამოყენების აქტუალურობასა და წამოწყებული საქმის დიდ პერსპექტივაზე.

უახლესი მეთოდიკის მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებელია მისი შემდგომი განვითარება და საყოველთაო დანერგვა ეკონომიკური და ბიზნეს-სამენეჯმენტო კადრების მომზადების მთელ სისტემაში. ეს კი ორგანულად არის დამოკიდებული ეკონომიკური განათლების სფეროს ოპტიმალურ რეფორმირებასა და ყოველი ცალკეული სასწავლებლის დონეზე სწავლების ორგანიზაციის და მეთოდიკის რადიკალურ გაუმჯობესებაზე, რის საფუძველზეც უნდა მოხდეს ქვეყნის ეკონომიკური და ბიზნეს-სექტორის უზრუნველყოფა მაღალკვალიფიციური საკადრო პოტენციალით.

[1] კონფერენციის ამსახველი მასალა იხ: თ. მარუაშვილი. სტუდენტური კონფერენცია „სტუდენტური პროექტები“. გაზ. „ობოლისის უნივერსიტეტი“. 30.06.2009. №9

Methodical questions of preparation - presentation students group programs in the course of teaching of economical disciplines

G. Shikhashvili

In civilized countries, in the process of learning of economical-managerial disciplines, there are used projects methods together with other modern technologies.

Projects method is purposed to arouse the interest of students towards to the actual problems, to plan the problems solving ways and with particular project to show the practical usage of directions of gained knowledge.

Projects must be prepared by students' team during the semester. Each team, composed with 5-7 individuals, is formed by the will of students, with lecturer agreement. Project variety and particular theme will be also selected with lecturer agreement on the basis of relevant economical-managerial paradoxes, preliminary consideration of micro and mini-cases and appropriate debates. Every team is working on project creation during 12-13 weeks and will present it to the learning group at the end of the semester, on 14th or on 15th week. Team gains distinct point estimation as a result of presentation.

In the process of group working team members, in advance, or for the reiteration, systematically using represented materials in learning, scientific and informational sources and they can draw on achieved knowledge multipurpose: 1) Directly during working on project; 2) At the presentation; 3) At the intermediate examinations; 4) At the analysis of themes on seminars; 5) At the analysis of cases; 6) At the final examinations. Working in team, in terms of learning-creative competition with other teams, also equal to the 12-13 week managerial practice for students, which is effective opportunity to receive the knowledge and managerial skills for them.

ბუნებათსარგებლობის მენეჯმენტის ამოცანები და მეთოდები

პარმენ ლეჟავა,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ბუნების დაცვისა და ბუნებათსარგებლობის პროგრამულ-მიზნობრივი ეკოლოგიური მენეჯმენტი. თანამედროვეობის შედარებით ახალი და ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. ასეთი მიდგომა საშუალებას იძლევა საფუძვლიანად განიხილონ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და ბუნების დაცვის ერთიანი მიზანი; სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და ბუნების ტერიტორიული დარეგიონირების მენეჯმენტის კონკრეტული ამოცანები; უზრუნველყოფილ იქნეს ბუნების დაცვის პრობლემების მიზნობრივი ნაწილი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროგრამების შედგენისა და მენეჯმენტის პროცესში.

